

652/
1971/2

საქართველოს
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა



1

9

7

1





ჯ. ქათამაძე — ლექსები	3
ნ. გვარიშვილი — ლექსები	6
ა. კვირიტიძე — ლექსები	9
ჯ. სოფერიძე — შეხვედრა. მოთხრობა	11
ც. ანთაძე — ლექსები	22
3. ზანტურია — გემის მისაჯის ნა- ამბობი, მოთხრობა	24
შ. ანანიძე — ლექსები	34
ა. შერვაშიძე — ლესია, ნაწყვეტი პიესიდან	35
ა. ფატი — ლექსები, თარგმნა გ. სალუქვაძემ	47

**კრიტიკა და
კუბლიცისტთა**

მ. ჯიჯიუშვილი — მიხეილ ჯა- განიშვილის კუბლიცისტური წერილები	50
---	----

წერილები


3. ცაქვიტარია — საქართველოს მე- წმინდათა მთავრობის საზინაო და საგარეო პოლიტიკის საგო- ლომ კრახი	58
რ. სურგანიძე — მამულიშვილი	70
ი. მგვრელიძე — მენსლიანობა აჭარაში	79
ა. ლორია — სიტყვა და წიგნი	86

სატირა და იუმორი

ა. სამსონია — გამომჟღავნებალი წერილების კვალდაკვალ	91
---	----

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საგოთა
მწერლების კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო



659/11

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.II.1971 წ. ნაბეჭდი 6, საგამომცემლო
5 თაბახი. შეკვეთის № 313 ემ 00329, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

ამ მთებზე ლოცვითა

ჩურჩულებს
 ფიფქები,
 თვალებს მჭრის
 ზღვა და ცა,
 სამშობლო
 ღამაში
 ბარით და ბორცვითა,
 ო, ღმერთო,

სულ ცოტა,
 სულ ცოტა
 დამაცა
 და მომკალ,
 თუ მომკლავ,
 ამ მთებზე
 ლოცვითა.

* * *

მეც ერთი ნაღდი კაცივით ვფიქრობ,
 რა ვუანდერძო მშობლიურ მიწას,
 როგორი ჯადო ჩავხვიო სტრიქონს,
 რომელსაც სხვებმა სიცოცხლე მისცა.

როდესაც სხვებმა სიკვდილი დასცა,
 გაუგონარი გმირობა შესძლეს,
 ღია თვალებში გაშლილი ზეცა
 ჰგავდა სანგრებში დაწერილ ლექსებს.

გმირთა მარადი ძახილი არის,
 რასაც ყოველი ტოტიდან ვისმენ,
 გადავიხადო მამულის ვალი,
 შემადლებინებს მამული ისევ.

ნაბიჯი ფრთხილი და რწმენით სავსე...
 ცის გუმბათთანაც ვლანდავთ მწვერვალებს,
 ო, უკან დარჩა რაღაც ძვირფასი,
 წინ სივრცეა და წლები მღელვარე.

ოცნება ლალი და ფიქრი მკაცრი
 შეფუთულია ფაფუკი ნისლით,
 ისევ წყურვილი მწვერვალზე ასვლის,
 და უფრო მეტი მწვერვალთან მისვლის.

ფეხქვეშ ლოდი და ლოდების რიგი,
 იქვე განგების ჭინკა ვერანი...
 და ამჩნევს მწვერვალს, მწვერვალებს იქით,
 მეფე, რაინდი და მომღერალი.

რატომ არ მოხველ წყაროსთან სურით
 და ტყისფოთლება კაბით,
 თუთუნის კვამლში ვახვევდი სურვილს,
 ვახვევდი, მერე ვწვავდი.

რატომ არ მოხველ, იმხელა მთვარე,
 მთვარე გენახა ოღონდ...
 რატომ არ მოხველ, მავ ზღვისფერ თვალებს
 დაგიკოცნიდი გოგო.

გადაგვარგავდა ფოთლებში უცებ
 იდუმალება ტყეთა,
 დაგიკოცნიდი გაბუტულ ტუჩებს,
 რად არ მოხვედი ნეტა?

ეჰ, წლები, წლები ნათილისმარი,
 ნამით გავსილი სული,
 მსურს გავაღვიძო სიყრმის სიზმარი,
 წყაროსთან მოდი სურით.

ფვიმა ზღვაზე


მე სანაპიროს მიეცევი ნელა,
ნელა მომეცება ფერი ულავი,
ნაზად დაეცა ზღვას ცისარტყელა,
წითელ-ყვითელი სამკაულებით.

გალვიძებული აკვანში ბავშვი,
მოვიდა წვიმა, წვიმა ტიტინა,
ტირიფმა თმები გაშალა ქარში
და სიჭაბუკე გამოიტირა.

* * *

ნუ მიხვალ ზღვასთან,
ზღვას ნუ გადარევ,
ზღვას მისი ყოფნის ჯავრიც, ვარამიც,
ზღვას შეიყუდრებს და შეიფარებს
მაგ წამწამების უცხო კარავი.

ნუ მიხვალ ზღვასთან,
ზღვას ნუ ალაგზნებ,
ზღვას ჩუმი შუროთ გული ევსება,
თორემ ზღვა მღვრიე მკლავზე გაგაწვენს
და გაგაქანებს ოქროს თევზებთან.



ქართვლის დედის ხმა

შვილებს ვავედრებ ერის გამჩენი,
მარადისობენ ლერწები ჩემი,
მოდგმის, ჯილაგის ვაზი ვარ მწვანე-
თბილისის ზეცის ფიქრი მაღალი,
გულის ძარღვებში ისევ მაწვალებს
წუთი მშფოთვარე მიწიერ განსჯის, —
ჩემი მარადი შთამომავალის.
ჩემშია ყრმათა წყაროს სათავე
და ყველა ძარღვი კაცური კაცის,
წუთისოფელის ყველა სურვილი, —
ნებიერი თუ უზომოდ მკაცრი.
და ეს ყოველი, ვნება ცხოველი,
კაბა-ქათიბის ნაოჭში ჩამრჩა,
რაც დამრჩა ჯამში ცრემლია ღრუბლის, —
ჩამონაპკური ცის წმიდა ოხვრა,
პირამდე სავსე მიჭირავს ხელში,
უცხოა ჩემთვის წამწამის მოხრა, —
ამას ღალადებს ხმლის პირზე მზეცა...
როდესაც მთვარე სულს დაიმშვიდებს,
შვილებს ვავედრებ თბილისის ზეცას.

ასე მგონია...

სულში გალობენ წმინდა ზარები,
გულია თითქოს სამრეკლო ოშკის,
ღრუბლებთან ახლოს, სულ ახლოს, ახლოს
აღმართეთ კოშკი...

და შიგ იდუმლად გამომაწყვდიეთ,
თუმცა ლაქვარდის ფიქრში ამწიეთ
და მზის მცხუნვარე სუნთქვაა ირგვლივ.
ცაში გვალვიან უიმედობით
წვიმები ნისლის მიწნიან გვირგვინს,
რომ წმინდა წვიმის თბილი წვეთებით
კვლავ ახმიანდეს სამრეკლო ოშკის.
თქვენ მზესთან ახლოს აღმიგეთ კოშკი
და კართან თრთიან ცივი თითები
და კოშკს აწყდება ღამენათევი
ნისლი ბინდ-ბუნდში განაფითრები,
სვეტი ნათელი გამოდარების...
ცის შეცოდებით წამოვა წვიმა
ცივი ვედრებით და მუდარებით
და შეაჩვენებს გარდუვალ იღბალს,
თბილი ცრემლები მოწყდება გუგას,
დაქანცულ თვალთა ლოდინის მიღმა
ქარი მიწვდება სამრეკლოს ზარებს.
ო, გვედრებით ნუ შემეყვარებთ,
ნურც შემეზარებთ...

მზის ჩბხვლა

პალმას ქვიშაზე დაუწყვია თითების ჩრდილი,
მზე ეფერება კვიპაროსის ხუჭუტა კრაველს,
ტალღები ნაპირს ისე უსვამენ ენას,
თითქოს ხარები მარილს ლოკავენ.
ნისლების ბორბალს მოაგორებს ტალღის ლივლივი,
გზა-გზა ევლება აფრების ჩრდილი.
ზღვა ოქროს ბლონდებს მიმოარწევს,
ხარებმა მიატოვეს ლოკვა და ზანტად გაწვნენ,
მნათობი ზღვაში უდარდელად ჩავიდა იქვე,
ტალღები ფანტავენ მზის ლივლივა გზებს,
მთის ვეება ჩრდილი ქვიშაზე დაემხო პირქვე,
მორჩა, ზღვამ მიიბარა მზე.

თუთა და გაზაფხული

აკვირტულ თუთას სახეში უბერავს ქარი,
უბანში ბორიალობს თებერვალი,
წრიალებს თუთა შეშფოთებით,
ბელურებს კვირტებიდან ბარტყეებით
გამოჰყავთ ფოთლები...
ირგვლივ ჟივილია ბელურების,
ცაში გაიარეს ღრუბლებმა თეთრი ურმებით,
ჭრიალებს ქარი, ჭიშკარს ხვდება თუთის შოლტები,
მოდის გაზაფხული და ბილიკზე ავლებს მწვანე ხაზს,
მტკვრის პირას ლოდზე ამოსვლა უნდა ხავსს.
მოდის გაზაფხული და ირგვლივ გრძნობენ მის შემოსვლას.
მოვა, უცილოდ მოვა და კაცის გულს იმედით შემოსავს.
ქარი თუთის შოლტებს აქანავებს ლალად,
მეც ჩიტივით მიხარია რაღაც...

მ ა ჭ ა ხ ე ლ ა

განა სტყუის?

იმ გარდასულ ამბავს ჰყვება,
დავიწყება თუმც არ გემართებს რომლის,
ვინ თქვა, მხოლოდ თოფიანო მაჭახელა —
მდინარეა უპირველეს ყოვლის.
მთებს რომ იხვევს გარს გოლიათ ვაჟკაცებად
და აცოცხლებს მდელს მიდამოს,
იგი მზეა,
არასდროს რომ არ ჩაქრება,
სინათლეა,
სიმართლეა დროის.

და მაშინაც, კარჩხალი რომ გადალხვება,
ნამქერებად რომ წამოვა თოვლი,
უფრო მძლავრად დაიქუხებს მაჭახელა,
გულს აღავსებს ვაჟკაცური თრთოლვით
კალმახების კლდეზე გულით დაჯახება,
ტკბილი განცდა სტიქიასთან ბრძოლის.
მაჭახელა,

მშობლიური მაჭახელა,
ჩანჩქერებად ჩამსხვრეული ბროლი.
არა სტყუის,

იმ ძველისძველ ამბავს ჰყვება,
დავიწყება არა გემართებს რომლის,
ვინ თქვა, მხოლოდ თოფიანო მაჭახელა —
მდინარეა უპირველეს ყოვლის.

მე და ზღვა

ზღვა ღელავს,
ვით სული დიდებანასვამი,
შევყურებ და თითქოს გოლიათს ვედრები.
გულიც რომ აღელდეს,
აღელდეს ზღვასავით,
ნეტავ თუ გაუძლებს აორტის კედლები?
გული ხომ გულია,
ზღვა მაინც ზღვა არი,
ეს დიდებულია,
ეს რაღაც სხვა არი...

ჯამაღ სოფელი

მ მ მ მ მ მ მ მ

ეს რა გაიგონა და მოისმინა ხასანმა. იდგა გაოცებული ხალხში და ყურს უგდებდა მომხსენებელს — მაღალ, გრუზათმიან მამაკაცს, რომელიც ლენინზე, რუსეთის რევოლუციის ლაპარაკობდა.

ხასანი ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მომხსენებელს და თან თავისთვის იმეორებდა: — გლეხებს მიწა... მიწა, მიწა, მიწა...

არასოდეს ჰქონია საკუთარი მიწა ხასანს, მთელი სიცოცხლე ბეგის კარზე გაატარა მოჯამაგირეობაში. ვინ დაუფასა მერე? დაუფასა კი არა და... ერთი ცალი მანდარინი მოწყვიტა მის მიერ გაშენებულ ბაღში და ბევმა მათარხით აუჭრელა ზურგი. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც, ყოველ გახსენებაზე ტკივა ზურგი ხასანს. მას ხომ ერთხელაც არ განუცდია სიხარული, ერთხელაც არ ყოფილა ბედნიერი.

— მანდარინს მიხედვით ხასან!

— ვაშლები დაკრიფე ხასან!

— აბა, ყანაში ხასან!

— აბა, იქით, აბა აქეთ ხასან! — უყვიროდა ბეგი და დოღის ცხენით დააქენებდა. ერთი წუთითაც არ შეეძლო გაემართა მუხლი. ბეგი კი იჯდა კაკლის ხის ჩეროში, ხან ნარდს თამაშობდა, ხანაც ჩიბუხს აბოლებდა და ბაიათებს ღიღინებდა. ხასანს რომ ჰქონოდა ბინა, საკუთარი ქოხი, ხელისგულისოდენა მიწა, ხომ არ დასჭირდებოდა ბევთან მოჯამაგირეობა. ღამით დადლილ-დაქანცული მიეგდებოდა თივაზე და ყოველთვის ერთსა და იმავე სიზმარს ნახულობდა. იჯდა საკუთარ სახლში, საკუთარ კერასთან და ხელებს ითბობდა ცეცხლზე... დილით, როცა გაიღვიძებდა, საშინელი სევდა იპყრობდა, ძნელი იყო სიზმრიდან სინამდვილე-



ში დაბრუნება — აღარსად იყო საკუთარი კერა, არც ცეცხლი. ბეგის სახლში იწვა გაცივებულ კერასთან.

აღიონზე ფეხზე იდგა ხასანი. ჯერ საქონელს გარეკავდა საბალახოზე, მერე წყალს მოზიდავდა, ცივი მკვდით წაიხემსებდა, წყალს დააყოლებდა და ყანას მიაშურებდა. მუშაობაში ძალიან იღლებოდა. ხანდახან რამდენიმე წუთს შეისვენებდა, ხელის ზურგით შუბლზე ოფლს მოიწმენდდა, მერე დაღლილი დაეყრდნობოდა თოხის ტარს და ჩაფიქრდებოდა. რომ გვეითხათ, ვერ გეტყოდათ, რაზე ფიქრობდა. მისი ფიქრი და ოცნება ისეთივე ბუნდოვანი იყო, როგორც სინამდვილე, ცხოვრება...

ერთადერთი ადამიანი რომელიც უყვარდა ხასანს, ბეგის შინამოსამსახურე თუნთული იყო, ხასანივით ობოლი, უპატრონო და მიუსაფარი. ვინ მოთვლის რამდენი ღამე გაუთენებია თეთრად მასზე ფიქრით, ოცნებით. თუნთულასაც უყვარდა ხასანი. ღამ-ღამობით ხშირად მოკალათდებოდნენ სამზადი სახლის გვერდით და ფიქრობდნენ, ოცნებობდნენ. რა კარგი იყო მთვარიან ღამეში ოცნება. აიღებდა ხასანი თუნთულას ხელს, დააცქერდებოდა და იტყოდა:

— ბეგი მიწას მოგცემს, თუნთულ, საკუთარი კერა გვექნება, გავაშენებთ მანდარინის ბაღს, ფულს ავიღებთ, ოჯახს მოვაწყობთ, ხომ თუნთულ?

— აბა არა?! — ეთანხმებოდა გახარებული თუნთული.

შეუღლებით კი შეუღლდნენ, ოღონდ ისევ უსახლკაროდ და უმიწოდ დარჩნენ. ერთი წლის შემდეგ ვაჟი შეეძინათ: დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ბედნიერება. ერთ ღღეს (ღმერთო, შეიბრალე ხასანი, ნუ გაახსენებ იმ წყეულ ღღეს) ყველაფერი დამთავრდა. იმ ღღეს ბეგთან წაასწრო ხასანმა თუნთულას... აშლილ ლოგინთან იატაკზე ეგდო კაბაშემოხეული, თმაგაწეწილი, სახედახოკილი და გულამოსკვნილი. ქვითინებდა და მთელი სხეული უცახცახებდა. არა, ეყო რაც ითმინა ხასანმა, ეყო, ყელში ამოუვიდა ყველაფერი. ახლა აღარ გაჩერდება იგი, ყველაფრისათვის უნდა იძიოს შური, ყველაფრისათვის...

— ახლოს არ მოხვიდე ხასან, — დაიჩხავლა შეშინებულმა ბეგმა, — ხომ არ გაგიჟდი?!

არაფერი ესმოდა გავეშებულ ხასანს. დაძარღვული, მუხის ქერქივით მაგარი, ჯაფისაგან დაკოჟრილ-ჩაშავებული თითები გაფარჩხა და ბეგის ყანყრატომ შეიგრძნო მიწასთან ნაბრძოლი ხელების ძალა. დაყვირება უნდოდა და ვერ ახერხებდა, გაფთვრებული ეწინააღმდეგებოდა, მაინც ვერ ახერხებდა თავის დახსნას; თითები უღმობლად, მარწუხივით უჭერდნენ. თვალები გადმოკარკლა, პირზე დორბლი მოადგა...

მერე ხელები გაუშვა ხასანამ თავის მსხვერპლს და უაზროდ დააჩერა, თავი სიზმარში ეგონა, ახალგაღვიძებულივით შეიშმუშნა. მიეცდა, რომ ყველაფერი ეს სინამდვილე იყო და არა სიზმარი, შემინდობა და გნდა.

ერთხელ კიდევ გადახედა მის ფერხთით გაშოტილ ბეგს და უმაღლესად იქაურობას. გზაზე რომ გავიდა, უკვე ბინდებოდა. თანდათანობით შორდებოდა სოფელს, მიდიოდა და მიდიოდა... დაიღალა, ძლივს სუნთქავდა, მაინც არ ანელებდა ნაბიჯს — ეშინოდა მდევარი არ დამეწიოსო. მიდიოდა მთელი ღამე. განთიადისას დაინახა ზღვა და მის ნაპირზე გაშლილი ქალაქი.



ორი თვის განმავლობაში მეკურტნედ მუშაობდა.

მთელი ღლის ნაშრომ-ნაჯაფი ლასლასით მიემართებოდა ფარლალა ბარაკისაკენ, რომელშიც პორტის მტვირთავები ცხოვრობდნენ. ხმელა პურს წაილუკმებდა, ცივ წყალს დააყოლებდა და ტახტზე მიედებოდა. შვილისა და თუნთულის დარდი არ აძინებდა. გვიან ჩაეძინებოდა და სიზმარშიც მათ ხედავდა.

ასე მიიზღაზნებოდა ერთფეროვანი, უღიმღამო დღეები და თვეები, ასე გადიოდნენ წლები.

ერთხელ, სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, აზიზიეს მოედანზე ხასანი ეილაც მათხოვარმა შეაჩერა. მიაცქერდა მათხოვარს და ჯიბისაკენ წაღებული ხელი გაუშვდა — მის წინ თუნთულა იდგა: ძველმანები ეცვა, ფეხშიშველი იყო და თმაგაწეწილი. საოცრად დაბერებულიყო, ჭუჭყიანი სახე დანაოჭებოდა.

— თუნთულ! — წამოიძახა ხასანმა.

თავი ასწია ქალმა, შეხედა, იცნო, თვალბეზრით ხელი აიფარა და აზლუქუნდა.

— თუნთულ, საცოდავო თუნთულ, — დაიჩურჩულა ხასანმა.

ქალი ცრემლებს ყლაპავდა. უცებ უკან დაიხია, შებრუნდა და შემოიღრმავა.

მანამდე იდგა გოცებულ-გაოგნებული ხასანი, სანამ ქალი თვალს არ მიეფარა. მერე გაახსენდა რაღაც უნდა ეკითხა, მერე მიხვდა სწორად რომ არ მოიქცა. რაღაც კი არა და შვილის ამბავი უნდა ეკითხა.

თუნთულის მოედნის ბოლოს წამოეწია, ის იყო მკლავში უნდა ჩაეკლავდა ხელი, რომ ქალმა შენიშნა და განერიდა, გაიქცა. ხასანმა დაინახა, როგორ დაეტაკა მას ჩამოქროლებული ეტილი ქუჩაში გადასვლისას. აკანკალებული ხელები აიფარა სახეზე და, როდესაც ცრემლით დასველებული ხელები ჩამოუშვა, ხალხის ჩოჩქოლი ჩაესმა და დაინახა როგორ

ლანძღავდა გაფიქვინებული მეეტლე გაუფრთხილებლობისათვის თვეგაჩე-
ხილ მომაკვდავს.

დიდი ვაივაგლახით მივიდა ხასანი მომაკვდავთან, ჩაიჩოქა და დააჩე-
რდა.

— თუნთულ, ეს რა ჰქენი თუნთულ?!

ქალმა თითქოს გაიგონა მისი ჩურჩული, თვალი გაახილა და დიდ-
ხანს უცქირა, იცნო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა:

— მიხედე შვილს... იგი... იგი... — და მან თქვა, სად იყო მათი შვი-
ლი. მეტი არ დასცალდა.



იღვა ახლა ხალხში და ყველაფერს იხსენებდა. იხსენებდა და უკვი-
რდა. ყველაფერი უკვირდა ახლა. ეს ხალხიც, ორატორიც, მისი სიტ-
ყვებიც.

— ნეტავი მე თუ მომცემენ მიწას? მეც ხომ გლეხი ვარ, ფუხარა
გლეხი, უსახლკარო, მოჯამაგირე. — ეს უნდა გაიგოს ხასანმა, აუცილებ-
ლად უნდა გაიგოს.

როცა მიტინგი დამთავრდა და ხალხი დაიშალა, მხოლოდ მაშინ
გამოერკვა ფიქრებიდან. ახალგაღვიძებულივით აახამხამა თვალები
და ორატორი მოძებნა.

— ერთი შეკითხვა მაქვს, ძიავ!

გრუზათმიანმა მოიხედა და მიაჩერდა.

— ბრძანეთ, მაგრამ ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ.

ხელი გაუწოდა.

— გიორგი მქვია.

გაუბედავად ჩამოართვა ხელი ხასანმა და ჩაილაპარაკა — ხასანა!

— ძალიან სასიამოვნოა, რა გნებავდათ.

— ერთი რაცხა მინდოდა მეკითხა და იმიტომ შეგაწუხეთ.

— ბრძანეთ.

— მართალია, რომ ფუხარა ხალხს მიწას მისცემენო?

— მართალია.

— ეინ გამოსცა ასეთი კანონი?

— ლენინმა.

— ლენინი. — გაიმეორა ხასანმა, — ჩაფიქრდა და იკითხა:

— ეინ, ჭოვ, ლენინმა?

— ლენინმა ხასან, იგი პროლეტარიატის — მუშებისა და გლეხების
შელადია.

— კეთილი მეფე ყოფილა.

— არა, ხასან, — გაეცინა გიორგის, — ლენინი მეფე როდია. იგი

ბელადია, თქვენისთანა ხალხის ბელადი, მასწავლებელი და გზის მანქანა-
გამგზავნი.



— რომ მანახა ლენინი, იცი რას ვეტყვი ძიავ?

— რას ეტყვი მაინც, ხასან?

— ვეტყვი, რომ იგი კარგი კაცია, ყველაზე დიდია, თვით ღმერთზე დიდიცაა... ხომ არ ეწყინება, ასე რომ ვუთხრა?

— არა, ხასან არ ეწყინება.

დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა ხასანი, მერე თავი ასწია, გიორგის შეხედა და იკითხა:

— როდის მომცემს ლენინი მიწას?

— მალე, სულ მალე, ხასან.



ხელგაშლით მიეგება ხასანი სტუმარს. გადაეხვია და ეზოში მიიწვია.

— იცი, ძიავ, რა ბაღი გავაშენე ლენინის მოცემულ მიწაზე? შენი მოწონებული. მაინც რაფერ შეიცვალა ცხოვრება. რომ ვუთხროდები, არა მკერა, სიზმარშიაც არ დამესიზმრებოდა ასეთი რამე... ერთხელ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დამიბარა და მითხრა: გეყო ძია ხასან, რაც იშრომე, ახლა უკვე დროა დაისვენო. ჭკუას ნუ მასწავლი, მთელი სიცოცხლე სხვას ვემსახურე და ახლა საკუთარ თავს არ ვემსახურ-მეთქი!

ხელჯავი გაუყვითა სტუმარს და სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— ჰო, მართლა, ევიღეთ ჭოვ მაღლა, ჭერი დამილოცე, ნახე რაფერ გცხოვრობ, რაფერი სახლი ავაგე.

გიორგი მაგიდასთან ჩამოჯდა და როცა მაგიდაზე დაწყობილ წიგნებსა და გაზეთებს ღაჟდა, იკითხა:

— წერა-კითხვა ისწავლე, ხასან?

— ვისწავლე. დავკდები ახლა და ვკითხულობ გაზეთებს, ვგებულობ ქვეყნის ამბებს.

მერე ჩაფიქრდა და თქვა:

— გიორგი, ძალიან ბედნიერი ვარ ახლა, ყველაფერს მოვესწარი, ყველა ოცნება ამისრულდა, მაგრამ იცი რაზე მწყდება გული? მარტო რომ ვარ.

— კი მაგრამ შენი შვილი?

— ჩემი შვილი... ჩემი შვილი შორეული ნაოსნობის კაპიტანია და წელიწადში ერთხელ თუ ამომაკითხავს.

მაგიდას მიუხდნენ. ხასანმა ღვინით სავსე ჭიქა აიღო ხელში და ადგა.

— ერთი სადღეგრძელო მინდა დავლიო, გიორგი, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების სადღეგრძელო. არაფერი გამაჩნდა, არც სახლი, არც კარი, მოჯამაგირე ვიყავი, მეკუთრტნეც. ეს ცხოვრება რომ არა, ახლა ჩემი ცხოვრება მიწაში არ იქნებოდა მიწაში. არასოდეს დამავიწყდება ისინი, ჩემი მომცემი მიწა მომცეს, ახალი ცხოვრება მომცეს, სიხარული და ბედნიერება მომიტანეს. ეს იმათ გაუშარჯოს გიორგი, ვინც ამ ბედნიერი დღეებისათვის იბრძოდნენ და ვერ მოესწრნენ მას...

დალია და დაჯდა.

ნალივით მორკალურ ყურეში მშვიდად დგანან გემები, იახტები და ტანკერები. ნავსადგურის წინ გრძელი საწყობები გაწოლილან და ვარინდებულნი თითქოს თვლემენ მცხუნვარე მზის ქვეშ.

ნავმისადგომთან ხალხს მოუყრია თავი, ხმაურობენ, იცინიან, ლაპარაკობენ. დინჯად საუბრობენ ძველი მეზღვაურები. ირგვლივ თევზისა და მარილის სუნი ტრიალებს. ნავმისადგომთან დგას მაღალი, ახოვანი ზერიკაცი, ხელები წელზე შემოთუწყვია, ფეხები ოდნავ გაუჩაჩხია. დგას ბოძივით და არაფრით არ ამუცლავნებს მოუთმენლობას.

— მამა! — ესმის ნაცნობი ხმა და ფიქრის ძაფი უწყდება ბერიკაცს. თავს წევს და გასცქერის რუხ ტანკერს, რომელიც მისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით დგას.

გემის ტრაპთან მისი შვილი დგას, ახალგაზრდა კაპიტანი და ულიმის. კაპიტანს გვერდით ცოლი და შვილი ამოდგომია.

— ბაბუ, ამოდი ბაბუ! — ეძახის შვილიშვილი და ხელს უქნევს.

შემდეგ ისინი ტრაპზე ეშვებიან და მასთან მიდიან.

— ყველაფერი დავათვალიერე ბაბუ, ყველაფერი. — აღტაცებული ბიჭი ღახტის და ბედნიერებისაგან თვალები უბრწყინავს.

— კარგია ბაბუ, კარგია, — მშვიდად ამბობს ბერიკაცი და ბიჭს თავზე ადებს დაკოჟრილ ხელს, მერე შვილს შესცქერის...

— დღეს მიდიხარ?

— დღეს, მამა!

— სად?

— მარსელში.

— გაგაცილებ.

— კარგია მამა, — ჩემს ჩამოსვლამდე დარჩი აქ, ქალაქში, მე ერთ თვეში დავბრუნდები და მერე ყველანი ერთად წავალთ სოფელში.

— ხო, დარჩი მამა, — ამბობს რძალი...

— არა, შვილო, ამდენხანს როგორ მივატოვებ სახლ-კარს.

...რამდენიმე საათის შემდეგ ისინი ისევ სანაპიროსთან დგანან. კაპი-

ტანი გემზე ადის, მამასა და ცოლშვილს ხელის ქნევით ეთხოვება. ბიჭ
კვლავ დახტის ზღვის ნაპირზე და ყვირის:

— მამა, მალე დაბრუნდი, მალე!

ელიმება კაპიტანს და თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.

მერე მალა იწევა ტრაპი, ზრიალებს ღუზის ოდნავ დაქანგული
ჯაჭვი. ზღაზვნით, სპილოს ხორთუმით იწევა ღუზა... რიტმულად გუგუ-
ნებს ძრავა და გემი ოდნავი ზიგზაგით, თანდათანობით შორდება ნაპირს.

-- მშვიდობით მგზავრობა, ბედნიერი ნაოსნობა შვილო! — ბუტ-
ბუტებს თავისთვის ხასანი და გასცქერის გემს, რომელიც თანდათანობით
იკარგება თვალთა ხედვიდან.

საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა ბერიკაცს. სახე დანაოჭებოდა
და დამკვნარ კომპივით ჩანოყვითლებოდა. მელოტ თავზე ნაჭრილობევი აჩ-
ნდა. არც ერთი კბილი არ ჰქონდა და ჩიფჩიფებდა. იჯდა ბამბუკის დაბალ
სკამზე და ესაუბრებოდა კაპიტანს.

კაპიტანმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, ბერიკაცს მიაწოდა და ჰკი-
თხა:

— დიდი ხანია დატოვეთ საქართველო?

ბერიკაცმა გამოწვდილი ხელიდან თითქმის გამოსტაცა სიგარეტი,
მოუტედა, ხარბად გააბოლა და თამბაქოს ბოლში გახვეული ღუმდა თუ
რაღაცაზე ფიქრობდა კარგახანს.

— დიდი ხანია, — თქვა ბოლოს, — ორმოცდაცხრა წელზე მეტია
უკვე... — ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო — ამ დილით რომ დაგინახეთ
და ქართული ლაპარაკი გავიგონე, ასე მეგონა სიზმარი იყო ყოველივე.
ახლა გაზაფხული იქნება საქართველოში, ჰყვავიან ტყემლები, ატმები...
ბათუმის მაზრაში გექონდა მამულა. მამაჩემი ბეგი იყო. იქ გავატარე
ბავშვობა, მერე საოფიცრო სასწავლებელი პეტერბურგში, რევოლუცია,
წითელი დროშები. საქართველოში ჩავედი... — ბერიკაცი წყვეტილ-წყვე-
ტილად ლაპარაკობდა და კაცს ევონებოდა, სიზმარშია და აბოლებსო. —
გაზაფხული იქნება ახლა საქართველოში, — გაიმეორა ისევ.

— კი, გაზაფხულია. — დაემოწმა კაპიტანი.

— მე ვერასოდეს ვერ ვნახავ ატმებისა და ტყემლების ყვავილო-
ბას, ვერასოდეს დავბრუნდები. ვერ დავიმარხები მშობლიურ მიწაში...
აკვიატებული რწმენა გექონდა რაღაცნაირი, ვერ წარმოგვედგინა უმეფოდ
თუ ვიცხოვრებდით, მერე როგორც იყო შევუბრუნდით მეფის ჩამოგ-
დებას. მენშევიკებს ამოვუღექი მხარში. ვიცოდი საქართველოშიც
მოხდებოდა რევოლუცია. მაინც ვეჭიდებოდი უიმედო იმედს, როგორც
წყალწაღებული ხავსს. ერთხელ, ერთი ცნობილი რევოლუციონერი შე-

ვიპყართ და ციხეში ჩავაგდეთ. დაკითხვაზე ვცემდით და ვაწამებდით. მაინც არ გატყდა, ვერაფერი ვათქმევინეთ. სანდროს ეძახდნენ, გველო კი არ მახსოვს. ჩექმებით შევდექით ბორკილებდადებულს. ვცემდით და ვაწამებდით. ყველაზე უფრო ის მახორობდა, რომ რწმენა ჰქონდა. ზეგნაზე ბეში წერილი ეწახეთ. დედას სწერდა. ახლაც მახსოვს ზოგიერთი ბეჭერი იმ წერილისა.

„სალამი საყვარელო დედა! ვიცი, ჩემზე დარდობ და ნაღვლობ, ნუ იდარდებ, ნუ სწუხარ, მალე გნახავ, კარგად ვარ და ვცდილობ ბოლომდე მივიყვანო დაწყებული საქმე. ჩვენ ხომ შენი, ჩემი და ყველა ჩაგრულის თავისუფლებისათვის ვიბრძვით, დედა! გიხაროდეს, გიხაროდეს, რომ მალე გათენდება ის სანატრელი, ნათელი დღე, რაზედაც მთელი შენი სიცოცხლე ოცნებობდი...“

ერთ დღეს კომენდანტმა დამიძახა და მითხრა — ბატონო ოფიცერო. ღამით პატიმარი ციხიდან უნდა გაიყვანოთ და...

აღბათ არ იცით, თუ რას ნიშნავს პატიმრის გაყვანა ღამით ციხიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ მოფარებულ ადგილას დახვრიტო, შემდეგ კი ასე ჩაწერო ციხის ოქმში — „შემოგვაკვდა გაქცევის ცდისას“.

პატიმარი საცნიდან გამოვიყვანე და გზას გაუუდექი. შემოდგომის წყნარი ღამე იყო, მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. პატიმარი — ჩემი ტოლა ბიჭი წელში გამართული, მოზომილი ნაბიჯებით მიდიოდა და ერთთავად ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა.

„ნეტავი თუ იცის რა ელის“, გავიფიქრე მე. ნახევარ საათში, შეიძლება უფრო ადრეც, იგი ცოცხალი აღარ იქნება. რატომ ვხოცავთ ერთი მეორეს, მაინც რა გვაქვს გასაყოფი? ვინ არის მაინც ხალხის მტერი, ისინი — რევოლუციონერები თუ ჩვენ? გამახსენდა მისი სიტყვები, რომლითაც ციხის კომენდანტს მიმართა:

— თქვენ ფიქრობთ, რომ რწმენა შემაცვლევინოთ, არაფერი გამოგივათ. რაც არ უნდა მიქნათ, იდეა მაინც გაიმარჯვებს, ჩვენი საქმე სამართლიანია. ყველას ვერ ჩაყრით ციხეში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მაინც დამყარდება. თქვენ კი, გულწრფელად გეუბნებით, ძალიან მეცოდებით. თქვენი დღეები დათვლილია. სადაც არ უნდა დაიმალოთ, ვერ გადაურჩებით ხალხის რისხვას...

რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე. პაპიროსი გავაბოლე. პატიმარი შემობრუნდა, ხარბად მომაჩერდა. მასთან დალაპარაკების უფლება არა მქონდა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— ეწევი?

— ვეწევი, მინდა კიდევ, მაგრამ არ გამოგართმევ, ხალხისა და სამშობლოს გამყიდველების არაფერი მინდა.

გავბრაზდი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ისევ განვაგრძე გზა. ჭალაში

ჩავუხვიეთ. ღამის სიმყუდროვეს ჩვენი ნაბიჯების ხმა და პატარა ნიჟარის რაკრაკი არღვევდა.

პატიმარი შედგა და ანკარა წყაროს დააჩერდა.

— რატომ გაჩერდი? — ვკითხე მე.

— შეიძლება დავლიო?

— აკი სამშობლოს მოღალატისაგან არ ღებულობ მოწყალებას. — ვუთხარი დაცინვით.

— ეს თქვენი წყალობა არ არის. ჩემი მიწის. ჩემი სამშობლოს წიაღიდან ამოხეთქილი წყაროა, — თქვა წყნარად და ხელბორკილი ააჩხარუნა.

— არა, არ 'შეიძლება' — ვუთხარი მე.

დამცინავად შემომხედა, შებრუნდა და უხმოდ განაგრძო გზა.

— ახლა რომ ხელები გაგიხსნა, გაიქცევი? — ვკითხე გამომცდელად.

— არა, არ გაიქცევი. — თქვა მან ისე, რომ არ შემოუხედავს.

— რატომ?

— ისინი, ვის მხარესაც სიმართლეა, არასოდეს არ გარბიან.

ათ წუთს კიდევ ვიარეთ, შემდეგ გაჩერდი, რევოლვერი ზურგში დავემჩინე და ვუბრძანე:

— გაჩერდი!

გაჩერდა, შემობრუნდა და შემომაქცერდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. იდგა, დამცინავად მიცქეროდა. ვერ გავუძელი მისი თვალების ელვარებას, თავი გვერდით მივაბრუნე და დავუყვირე:

— რას შემომაქცერდი, შებრუნდი!

სახეზე დამცინავი ღიმილი აღებეჭდა, დამემორჩილა. ზურგი შემომაქცია და ცას ახედა. საგულდაგულოდ ამოვიღე მიზანში... და რატომღაც შევწყოყმანდი.

— რაღას უცდი, მესროლე ბარემ, — თქვა მან მშვიდად.

არ ვიცი, რამ შემაჩერა მაშინ, იარაღი დავუშვი.

— წადი, მე შენ გათავისუფლებ!

შევამჩნიე როგორ აუცახცახდა მხრები, შემობრუნდა და მომაშტერდა.

— რას მიცქერი? — დავუყვირე მე, — წადი, წადი, გამშორდი, ვიდრე არ გადამიფიქრია.

— გავიქცე, რომ გაქცეულს მესროლო? — მწარედ გაეღიმა პატიმარს.

მაშინ რევოლვერი ზეადგმართე და ყველა ტყვია ჰაერში დავცალე.

— ახლაც არ გჯერა? წადი, წადი!

იგი უხმოდ გაემართა წინ. რამდენიმე მეტრი რომ გაიარა, შემობრუნდა და დამიძახა:

— თუ კიდეც შევხვდით ერთმანეთს, გადაგიხდი სამაგიეროს...

— ამ არემარეში ნუ გამოჩნდები, — მივაძახე მე, — თორემ დავი-
ლუბები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვიცი, ვიცი — თქვა მან, და გამშორდა.

— რა ჰქენი? — მკითხა კომენდანტმა, როცა ციხეში დავბრუნდი.

— უკვე აღარ არის, — ვუთხარი და თავი დავხარე.

— ჰო, კარგია, კარგად მოქცეულხარ, — შემაქო მან და თვალი ჩამიკრა, — სამიშ ხალხს რაც უფრო ადრე მოიშორებ, მით უკეთესია ბე-
გო!

ბერიკაცმა თხრობა შეწყვიტა, ჩაფიქრდა და მერე კვლავ განაგრძო:

— დადგა ის დრო, როცა სამშობლო დაეტოვე. არ მინდოდა წასვლა, მა-
გრამ ვერ გავბედე დარჩენა. მეშინოდა... ჩემი უფროსები არ მომეშ-
ვნენ: აწი აქ გაგიჭირდება ყოფნა, ევროპაში კი მეფესავით იცხოვრებო.
სასტიკად მოვტყუდი. სად არ მახეტიალა ბედმა, რომელ ქვეყანაში არ
ვიყავი, რამდენი გაჭირვება გადავიტანე. ვიყავი მოჯამაგირე, მტვირთავი,
შოფერი, ახლა კი მათხოვარი ვარ.. ახლა სხვანაირად ვუყურებ ყველა-
ფერს, ახლა უკვე მჯერა ის, რაც მაშინ არ მჯეროდა. ახლა უკვე ვიცი,
რისთვის მოჰკლა მამაჩემი მისმა მოჯამაგირემ.

— თუ გახსოვთ, რა ჰქვიოდა იმ მოჯამაგირეს? — დაეკითხა რაღა-
ცით დაეჭვებული კაპიტანი.

— ხასანა, ხასანა ჰქვიოდა, — გაიხსენა ბერიკაცმა.

კაპიტანი შეიშმუშნა, ვერაფერი თქვა. თანამემწეს შეხედა.

ბერიკაცი გამოერკვა, სახეზე აფარებული ხელები ჩამოუშვა,
ცრემლებით სავსე თვალებით გადახედა ორივეს.

— მაპატიეთ შვილებო, თავი მოვაწყინეთ. რომ იცოდეთ, როგორ
მტკივა გული და როგორ მიხარია ჩემიანების დანახვა. რამდენი წელია
ქართული ლაპარაკი არ გამიგონია, ვცდილობდი არ დამეჩიყებოდა მშო-
ბლიური ენა და საკუთარ თავს ვესაუბრებოდი ყოველთვის. ყველანი
სულელად მთვლიდნენ. მითხარით, ღვთის გულისათვის მითხარით, როგო-
რია ახლა საქართველო, როგორ ცხოვრობენ ქართველები? მითხარით
შვილებო, გთხოვთ!

კაპიტანმა შუბლი მოისრისა და დაიწყო...

ბერიკაცი გულისყურით უსმენდა და დროდადრო დანახებით აქნე-
ვდა თავს.

— აი, ასეთია ახლა საქართველო, — დაამთავრა თხრობა კაპიტანმა
და წაბოღმა, — ახლა კი გვაპატიეთ, უნდა წავიდეთ, გემზე საქმე გველო-
დება.

— დღეს გადიხართ, არა?

— ჰო, ღამით.

— მოვალ, საღამოს გაგაცილებთ.



— ესეც შეხვედრა, — მიუბრუნდა კაპიტანი თავის თანამეგობარს, როცა გემის ტრაპზე აღიოდა, — იცი ვინ არის ეს ბერიკაცი? იგი შვილია იმ ბეგისა, რომელიც მამაჩემმა მოჰკლა...

— აჟ!!

— კი, ის არის, ვიცანი!

ბერიკაცი ნავმისადგომთან იდგა და გასცქეროდა გემს, რომელიც ნავსადგურიდან გადიოდა. გემის ანძაზე საბჭოთა საქართველოს დროშა ფრიალებდა და ასე ეგონა ბერიკაცს, გემი კი არა საქართველო შორდებოდა მას. ყოფილი ბეგი, ახლა კი მათხოვარი ცრემლით სავსე თვალებით მიაცილებდა გემს, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ ქართულ ნავსადგურში, ქართულ მიწასთან ჩაუშვებდა ღუზას. იდგა და ყურს უგდებდა ქართულ ჰანგებს...

— ისევ მეძახი, შენ ისევ მეძახი, — წაიხურჩულა და მაგრად მიიკრა მკერდზე ქართველი კაპიტნის მიერ ნაჩუქარი დასუთათებული წიგნი, წიგნი საქართველოს შესახებ...

გემი თვალს მიეფარა. იგი კი კვლავ იდგა და გასცქეროდა ცარიელ სივრცეს. მერე გამოერკვა და ბარბაცით გავიდა ქუჩაში.

„შენ დიდი ქალაქი ხარ მარსელ და თავზე დაგნათის სამშობლოს ცა“, მოესმა კაბარედან მთვრალთა სიმღერა. ობლად, მიუსაფრად იგრძნო თავი, ასე ეგონა, სრულიად მარტოდმარტო იყო ამ უზარმაზარ, უცხო ქალაქში, სადაც თავზე სხვისი ცა გადმოჰყურებდა. მიდიოდა ახმაურებულ ქუჩაში და თავისთვის ბუტბუტებდა... მოულოდნელად რაღაც დაეჯახა და მაჯლაჯუნასავით დააწვა გულზე, საშინელი ტკივილი იგრძნო, ამოიკვნესა და ჩაიკეცა. სისხლით მოსვრილი ტუჩები ააცმაცუნა. უკანასკნელად წაიხურჩულა რაღაც. იწვა სისხლში გათხვრილი ბერიკაცი ცივ ასფალტზე და ცივად გამომზირალი თვალებით, შემაზრზენად შესცქეროდა ცას, რომელიც ღრუბლებს დაეფარა...

გული მაინც იზეიმებს

ყველა სურვილს ვერ მიაღწევ,
ბედი სად არ იხიზნება,
გული მაინც იზეიმებს,
თუ მიუშვებს ჟამი ნებად.
გული მაინც იზეიმებს
სულ ბატარა ალტაცებით

და სიცოცხლე წავა გზებზე
ახალი დღის ახალ გზნებით...
სული მაინც იბობოქრებს,
სანამ გულის ფეთქვა ისმის.
დღეს მზის ფერი თუ შერჩება
და სიმწვანე დედამიწის...

რ ბ ტ ი მ ...

უკვე გათავდა, უკვე გათავდა,
ბავშვობის წლებთან დავსვი წერტილი,
ჩემი სული კი ისე წრიალებს,
ვით მძაფრი ქარი, თავაწყვეტილი,
ჩემი სული კი ისევ წრიალებს,
ძველი სკივრიდან კენკავს მიზეზებს:
იმედებს ქარის ჩაცხრობის შემდეგ,
ქარში ვინც კარგავს, მხოლოდ ის ეძებს...
თუმცა მიხმობენ ახალი გზები,
გზები, რომელზეც არა ვარ მარტო,
და მაინც რატომ წრიალებ სულო?!
და მაინც რატომ...
და მაინც რატომ?!

წყაროსთახ დიდხანს, დიდხანს გელოდე,
ბოლოს აიესო კოკა პირამდე,
მერე წავედი, შენზე სათქმელი
იმ ჭორიკანა ნიავს მივანდე,
რომ ჩამჩუჩეულა, აღარ მოვაო,
ამაოებად მექცა ლოდინი,
ჩასახლდა სულში ახალი ფიქრი
და დამიმძიმა გული ლოდევით...

ჰომეროსი ჭანჭუჩი

გემის მესაჭის ნაამბობი

ზღვისპირა კაფეში შევედი.

ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდას მხნე ბერიკაცი და რამდენიმე ახალგაზრდა უსხდნენ.

ეს ბერიკაცი ბაბუა პანტელეიმონი იყო, ჩვენს ქალაქში დიდი თუ პატარა, ყველა თაყვანს რომ სცემდა.

სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, განსაკუთრებული პატივისცემით ეგპყრობოდით მას. ზოგი ქუდმოხდით მოიკითხავდა, ზოგიც მოკრძალებით დახრიდა თავს.

ბაბუა პანტელეიმონი კი ზღვის მეუფესავით აუჩქარებლად მოაბიჯებდა და ყველა კეთილმოსურნეს მარჯვენა აწეული ესალმებოდა.

ქალაქის მკვიდრთა ასეთი გულთბილი მოპყრობა უზომოდ სიამოვნებდა მოხუცს.

ამბობდნენ, ბაბუა პანტელეიმონმა ნახევარი საუკუნე ზღვას შეალიაო.

იმასაც ამბობდნენ, ბაბუა პანტელეიმონის კრიალოსანი ხელოვნების იშვიათი ნიმუშიაო.

ბეერ სხვა რამესაც ლაპარაკობდნენ მასზე.

ბაბუა პანტელეიმონის დანახვა გამიხარდა, მოხუცსა და ჩემს კოლეგებს უხმოდ, თავის დაკვრით მივესალმე.

მეგობრებმა მიიწ-მოიწიეს, დროზე მოხვედით, მითხრეს ჩუმად.

— ამ სირმის ხეზე იმდენი მძივია ასხმული, რამდენ ქვეყანასაც პირისპირ შევხვედრივარ. — ამბობდა ბერიკაცი და გრძელი თითებით კრიალოსანს მარცვლავდა.

შემდეგ კრიალოსნის ერთ-ერთი მძივი აიღო, სხვებისაგან განაცალკევა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და კრიალოსანი ჩვენ გადმოგვცა, ნახეთო.

ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდით კრიალოსანს. თითოეული მძივის ერთ გვერდზე ამა თუ იმ ქვეყნის ემბლემა იყო ამოტვიფრებული ხოლო მეორეზე — გემის სილუეტი. სურათი სურათს სცვლიდა: „ფრანგული მინგო“, „თვალაცრემღებული ლომი“, „აქლემი“, „ქალის ქანდაკების კვარცხლბეკზე მიჯაჭვული ზანგი“.

გვითხულობდით გემების სახელებს: „თერგი“, „ოდესა“, „სტელა“, „საქართველო“. ყოველ მათგანს საკუთარი ბიოგრაფია ჰქონდა ალბათ. გემებიც ხომ ადამიანებივით იბადებიან, ბერდებიან და კვდებიან.

ზოგს ნაადრევად ჩაქოლავს ზღვა.

ვინ მოთვლის რამდენი ხომალდი უმსხვერპლია ომს.

მხოლოდ თითო-ოროლა თუ შეაბერდება ოკეანეს.

მაგრამ ასეც ხდება: ზოგიერთი გემი უკვდავებასთან დაიდებს ბინას და მისი სახელი დიდების შარავანდედით შეიმოსება ხოლმე. გავიხსენოთ თუნდაც ბერძნების ათნიჩიანი „არგო“, რომლის მეზღვაურებს კოლხი მედეა მოუტაცებიათ თითქოს. კრეისერ „ავრორას“ ხომ ვერასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა.

ბაბუა პანტელეიმონის ხმამ გამომარკვია, სმენა დავძაბე.

— მე ხშირად შევცქერი მძივებზე ამოტვიფრულ გემებს, რომელთა საჭესთან არაერთი წელი ვმდგარვარ. მათ შემყურეს ჩემი ცხოვრების მრავალი ეპიზოდი მახსენდება. უამისოდ ძალიან გამიძნელდებოდა ალბათ, — ენაწყლიანობდა ბერიკაცი.

— პანტელეიმონ ბაბუა, თქვენ რომელ გემზე მიიღეთ პირველი საზღვაო ნათლობა? — კითხვა ჩაუბრუნო ვიღაცამ.

— „თერგზე“. მარტილი ჩამოგვქონდა ფოთში. — მიუვო მოხუცმა და ხანმოკლე ღუმილის შემდეგ განაგრძო — გემებს ხომ ყველაზე მეტად აჩნია ცხოვრების ნიშანკვალი. აბა, სად გიგანტი „საქართველო“ და სად ციკქნა ნავჭურჭელი „სტელა“. განა შეიძლება მათი შედარება? თუმცაღა იმჟამად სახელგანთქმულ გემებს შორის „სტელა“ უკანასკნელი როდი იყო. მის ანძებზე აფრის გაშლას ბევრი ზღვაოსანი ეშურებოდა.

კრიალოსანს რომ ვმარცვლავდით, გასაოცარ მძივს წავაწყდით. ამ მძივზე ამოჭრილმა სურათმა წყლის უკიდვანო სივრცეში გადაგვახედა. ზღვის შუაგულში ტალღის ქედზე გედივით კისერმოღვრებული ქალი იდგა. ბრინჯაოსფერ გულმკერდზე თმა ჩამოშლოდა, ხელში ასპიტი ეჭირა.

ამ სურათმა ძალიან დაგვაინტერესა.

— „ასპიტის ქალი“ რომელ ქვეყანას განასახიერებს? — ვკითხე მე.

ბაბუა პანტელეიმონმა კრიალოსანი აიღო, „ასპიტანი ქალს“ დაეცა და მცირე დუმისის შემდეგ თქვა:

— ჩემი საზღვაო თავგადასავლის ყველაზე ტკბილსავე დღეს ვიყავი ავე დროს ყველაზე მწარე მოგონება ამ მძივზეა ამოკვეთილი.

მერე ჩიბუხი გააღვივა და ერთიმეორეს ააღევნა კვამლის რგოლები.

წარბშეკმუხნილი მოხუცი ერთხანს ქალაქსა და ზღვას გადასცქეროდა. ეტყობოდა, მოგონებათა წიგნს ფურცლავდა მდუმარედ.

— თუ სადმე არ მიიჩქარით, „ასპიტანი ქალის“ ამბავს მოგიყვებით, მაგრამ შესაძლოა იგი არც ისე საინტერესო იყოს და ზოგიერთმა თქვენგანმა ტყუილუბრალოდ დაჰკარგოს მშვენიერი საღამო.

არცერთი ჩვენგანი აღვილიდან არ დაძრულა. მოხუცმა განაგრძო.

— ალბათ შეამჩნევდით, აფრიანი გემი „სტელა“ და „ასპიტანი ქალი“ ერთ მძივზეა ამოკვეთილი.

— პანტელეიმონ ბაბუა, თქვენ „სტელაზე“ როგორ მოხვდით? — სიტყვას ვაწყვეტინებთ ბერიკაცს.

— გეტყვით. „ოდესაზე“ კაპიტნის უფროს თანაშემწეს ავეშალე. მან მემამბოხედ მომნათლა და ალექსანდრიაში ჩასვლისთანავე გამავდო გემიდან. ბევრი ვიხეტიალე ამ უძველეს ქალაქში, მისი სახელგანთქმული წიგნსაცავისა და კლეოპატრას სასახლის ნანგრევებიც ვნახე. ფული მაღლე შემომგელია. სამუშაოს შოვნაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. უთავბოლო ბორიალს აზრი არ ჰქონდა და ზღვისპირად მატროსების სახლს შევაფარე თავი, ამ აქოთებულ ბორდინგჰაუზში ბევრი ჩემისთანა უმუშევარი იკრიბებოდა. ძონძებგადაფარებულ ფიცარზე ვეგდეო. დღეში ორჯერ თუ მოგვიწევდა კუჭის მოტყუება. საღამოხანს კათხა ლუდით გავგვიმასპინძლდებოდა პატრონი, რომ მერმე ერთითად ეზღვევინებია და ნახარჯი.

ჩვენ მაინც ყაბულს ვიყავით. მეტი რა გზა გვქონდა.

ერთ საღამოს ბორდინგჰაუზის ყავახანაში ლუდს ვწრუპავდით. ანა-ზდეულად ჩემს კათხაში პურის ნატეხმა ტყაპანი გააღინა. მივიხედ-მოვიხედე და... ლუდში უკვე ქაშაყის კუდი დაცურავდა.

სისხლი თავში ამივარდა. წინა მაგიდასთან მჯდარი სამი ოინბაზი ერთიმეორეს მივაცოლე და ბურთივით გადავისროლე ზღვაში.

ყავახანა აჩოჩქოლდა.

იმწუთსვე პოლიციელმა შემოყო თავი და ჩემკენ გამოემართა. გზად ვილაც ბრგე კაცი გადაეღობა. მერმე პოლიციელმა გამიღიმა და იქაურობას გაეცალა. ის ბრგე კაცი კი ჩემთან მოვიდა და მომესალმა, მე „სტელას“ კაპიტანი ჰანს მიულერი ვარო, გამომეცნაურა. მეც გავაცანი ჩემი ვინაობა.

— გუტ, გუტ, — გაიძახოდა მიულერი.

სწორედ შენისთანა მეზღვაური მინდაო, მითხრა ბოლოს.



იმავე საღამოს ვეახელი „სტელას“.

მიუღერმა მესაჭედ ამიყვანა.

მეორე დღეს ბორდინგჰაუსის სამივე ოინბაზი გამომეცხადა. მე მათთან ერთად უნდა მეზიდა თურმე მატროსის ჭაპანი. ამ გემზე საერთო ენის გამონახვა არ გავგჭირვებია. ბევრი რამ მიაშბეს კაპიტან მიუღერის ავკაცობაზე. ჩვენი იმდამინდელი შეხლა-შემოხლაც მიუღერის მორიგი ნომერი ყოფილა.

მე რომ სამივე არ მიმებეგვა, „სტელას“ სიზმრადაც ვერ ვიხილავდი თურმე.

მიუღერი მხოლოდ ფიზიკურ ძალას სცემდა თაყვანს. მეზღვაურებმა ისიც თქვეს, რომ ჰანსს მასზე ძლიერი ზღვაოსნები მიაციდამაინც არ ეპიტანებოა. ასე იყო თუ ისე, მე უკვე „სტელას“ ეკიპაჟის წევრი ვიყავი.

„სტელა“ სწრაფმავალი გემი იყო. მალე გავლიეთ ხმელთაშუა ზღვა. აფრიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ სამხრეთისაკენ გადავსერეთ ატლანტის წყალი და ინდოეთის ოკეანეში შევეცურდით. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ყოველმა მატროსმა იგემა მიუღერის ჯირკვიით მუშტის ძალა. ღონიერი იყო, დაუნდობლად სცემდა მატროსებს.

მიუღერი ხშირად გამოიბრუებოდა, თვალები დაუწვრილდებოდა, ისედაც წითური სახე ცეცხლივით აენთებოდა და მორიგ მსხვერპლს მაძებარივით უთვალთვალებდა გემბანზე.

გვრძნობდი, რომ ჩემი ცაც იღრუბლებოდა. ერთხელ, ნასადილეგს მოულოდნელად მომვარდა მიუღერი და საშინელი ძალით დამარტყა მზის წნულში. ტკივილმა ჩამაჩოქა, მაგრამ საჭისთვის ხელი არ გამიშვია. ძალა მოვიკრიფე და წამოვდექი.

— გუტ, გუტ, — წაიდუღუნა მიუღერმა და გამშორდა.

აფრავაშლილი „სტელა“ ლალად მიაპობდა ინდოეთის ოკეანეს. დრო ჩქარა გადიოდა. სამი ათასი კუნძულის ქვეყანას ვუახლოვდებოდით. გვიხაროდა, რომ მალე მიწაზე დავადგამდით ფეხს. საღამოობით მეზღვაურები ხშირად კიჩოზე იყრიდნენ თავს. მათი ხორხოცი აყრუებდა იქაურობას. ერთხელ ანაზლად შეწყდა მეზღვაურთა გულიანი სიცილ-ხარხარი.

მიუღერი მოდიოდა.

ყველა ფეხზე წამოდგა.

კაპიტანმა მატროსების მწყრივი ჩამოიარა და თითოეულ მათგანს თვალებით დაუწყო ბურღვა.

— გუტ, გუტ — ბუტბუტებდა ჰანსი.

მერმე ჩემკენ მობრუნდა და ღრიალით ისკუბა.

ჰანსის მუშტს კი დავაღწიე თავი, მაგრამ ამჯერად მოთმინება არ მეყო, თვალის დახამხამებაში ისეთი მუშტი ვუთავაზე მიუღერს, რომ თავი ვერ შეიმაგრა და შტურვალის მორგეს მიასკდა, დაბარბაცდა და ცხვირპირდასისხლიანებული იქვე ჩაემხო.

უცაბედად ჩამოვარდნილი სიჩუმე კაპიტნის უფროსმა დაარღვია. კაპიტანს რა დაემართაო, იკითხა. მე უკან დასახევი ნდა. მოვახსენე რაც მოხდა.

— რა პირდაღებული დგახართ, ახლავე კაიუტაში ჩაიყვანეთ კაპიტანი! — ბრძანა უფროსმა თანაშემწემ. შემდეგ მე მომმართა, ჩემთან გამოცხადდიო.

ეს მაღალი, გამხდარი ინგლისელი მკაცრი მომთხოვენი იყო, მაგრამ სამართლიანიც.

უფროსის თანაშემწის კაიუტის კართან შეეჩერდი. შემოდისო, მანიშნა და ვისკით სავსე ორთომელი მომაჩეჩა ხელში. თვითონ ბოთლი მიიყუდა და ერთბაშად გამოსცალა. მერმე მაგიდას მიუჯდა. დროგამოშვებით შემომხედავდა. ლამა ანთო, წამოდგა. გაიარ-გამოიარა. ჩემ წინ შეჩერდა. თვალი თვალში გამიყარა.

— გირჩევ ახლავე დასტოვო გემი. სამხრეთის ჯვრის ვარსკვლავედის მიმართულებით ერთი მომცრო კუნძულია. რამდენიმე მილი უნდა გასცურო. ნებტუნი იყოს შენი შემწე. წადი!

მადლობის მეტი რა მეტქმოდა.

მეგობრებს დავემშვიდობე და ოკეანეში გადავეშვი.

„სტელას“ აფრები სულ მალე შთანთქა ლამის წყვდიადმა.

ნელა მივიწვედი წინ.

ძალას ვიზოგავდი.

სავსე მთვარე ამოტივტივდა ოკეანიდან და ვერცხლისფრად აბრწყვიალდა წყლის ზედაპირი. სიბნელიდან გამოტაცებული კუნძულის ქოჩორი რომ დავინახე, გამეხარდა, გაემხნევი, ძალა მომემატა, ცურვას მოვუჩქარე.

მალე ტალღების შრიალი მომესმა. ფეხქვეშ მიწა რომ ვიგრძენი, შევბოთ ამოვისუნთქე.

ნაპირზე გასულს მუხლი მომეკვეთა. ოკეანესთან ჭიდილში ძალ-ღონე გამომლეოდა. თბილ ქვიშაზე მივწეკი. ცოტას მივისვენებ-მეთქი, ვიფიქრე და მყისვე ჩამეძინა.

ტროპიკული მზის მცხუნვარე სხივებმა გამომალღიძეს.

იმედის თვალთ გადავხედე მთვლემარე ოკეანეს. მატროსის დანით კომბალი გამოვჭერი და ზღვისპირს გაუყევი.

არსად არ ჩანდა კაცის ნაკვალევი. არც ნადირის ჭაჭანი ისმოდა, მხოლოდ ჩიტები დაფრთხილებდნენ ჟივკივით.

მალე შემოვიარე ზღვისპირეთი. კვლავ იმ ადგილს დავუბრუნდი, სადაც პირველად დავდგი ფეხი. შეიძლება ამ მხრიდან უფრო ადრე გამოჩნდეს რომელიმე გემი-მეთქი, ვიფიქრე.

საირდილობელი შევკარი ზღვისპირას

დღედაღამე ოკეანეს გავცქეროდი. საშინელი რამ ყოფილა ლოდში,
დაუსრულებელი ლოდინი.

უკვე მეთაე დამეს ვათევდი ამ პატარა, უსახელო კუნძულზე, ადრე გამომეღვიძა. საჩრდილობელში შემოსასვლელთან ფართო ფართო-
ლი ეფინა და ზედ კენკრა ეყარა ბლომად. წამოვხტი, მივიხედ-მოვიხედე,
მაგრამ არავინ არ ჩანდა. ჯერ ცვარი არ შესრობოდა კენკრას. ნეტავი ვინ
გამომეცხადა ამ სისხამ დილით-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემ თავს.

მეორე დილით დაბორკილი ჩიტის ფართხალმა გამიკრთო ძილი. ზო-
ხობს ჰგავდა იგი. შემეცოდა და მაშინვე ვაფრინე ბორკილებაყრილი
ფრინველი.

ადამიანი თუა რატომ იმალება-მეთქი, მიკვირდა.

ჩაუესაფრდი უჩინარს, მაგრამ ამაოდ, მის ლანდსაც ვერ მოვკარი
თვალი, თითქოს მიწამ უყო პირი.

საშინელი ფიქრები ამეშალა. გემი გამოჩნდება თუ არა-მეთქი, ამაზე
ვოცნებობდი, ახლა კი ამ ამბავმა სულ ამაფორიაქა.

ერთხელ ალიონზე წამოვდექი.

ისევ ხილი!

გარეთ გავიხედე, მოშორებით ზღვისპირად მჯდარი ქალი შევნიშნე.
გული ამიტოკდა. სიზმარში მეგონა თავი, თვალები მოვიფშვნიტე, საჩრდი-
ლობელიდან გამოვედი და უცნობისაკენ გავემართე. მას ჩემი დანახვა არ
გაჰკვირვებია, არც კი განძრეულა. ილიმებოდა. კოხტად მიჯრილი თეთრი
კბილები უელავდა. ბრინჯაოსფერ ტიტველ გულმკერდზე შავი თმა ჩამოშ-
ლოდა, მარჯვენა მხარეზე ფოლადისფერი ფრთა ეკეთა.

მე თავი დავუკარი და შევეხმიანე.

ვერაფერი გავიგეო, მეუბნებოდა მისი მოღიმარი სახე. თვითონაც შე-
მესიტყვა, მაგრამ ვერც მე მივხვდი.

ჩემს წინ მაცდუნებელი სილამაზის ქალი იდგა. ევროპელს ჩამოგავდა.
მისი შიშველი სხეული ერთობ ნატიფი და სრულქმნილი ჩანდა.

ზღვის ფერია ზომ არ არის-მეთქი, გამიელვა თავში. მისკენ ნაბიჯი
გადავდგი, მარცხენა ხელი გამომიშვირა და რაღაც წაიურჩულა... უმაღვე
საზარელი ასპიტი გამოსრიალდა და ქალის გამოწვდილ მკლავს შემოე-
რაგნა.

ამ სურათმა თავზარი დამცა და გამაქავა. უხმოდ, უმოძრავოდ ვიდექი
ერთხანს. ასპიტისანი ქალის სახეს კი ღიმილი არ შორდებოდა. კვლავ უჩუ-
რჩულა ქალმა ქვეწარმავალს და ისევ გაქრა.

ქალისა და ასპიტის მეგობრობამ გამაოგნა.

ჩამოვექიო, თვალებით მანიშნა უცნობმა, ქვიშა მოასწორა და ჩემთ-
ვის გაუგებარი ნიშნების ხაზვა დაიწყო. ზუსტად ვერ ვიტყვი, რისი თქმა
სურდა. ალბათ იმას მეუბნებოდა, ასპიტი ჩემი ერთადერთი მეგობარი
და მცველიაო.

უცნობი ქალი ყოველდღე მოდიოდა და ხილი მოჰქონდა ერთმანეთის ენა რომ ვერ გავიგეთ, ხელები მოვიშველიეთ. მქვია-მეთქი, ვეუბნებოდი.

— პანტო, პანტო! — კისკისებდა ქალი.

დიდხანს ვერ გავაგებინე რისი თქმა მინდოდა, მაგრამ ბოლოს როგორც იქნა მიმიხვდა.

— პანტო! — დამიძახა მან და საჩვენებელი თითი მეკრძღე იქრა. თავისი სახელი დამიმარცვლა. არ იქნა, ვერ გავიგეოვრე.

— კესა! — ეთქვა უნებლიეთ მე.

მას ჯერ სიცილი წასკდა და ბავშვივით ხელი ხელს შემოჰკრა, შემდეგ ხტუნვა ხტუნვით და კესას ძახილით დაბურთულ ტყეში გაუჩინარდა.

თანდათან ვეჩვეოდი ასპიტთან ქალს. ერთ დღეს ჩვეულებრივზე ადრე მესტუმრა, საჩრდილობელი დამინვრია, ხელი წამაელო და ტყისაკენ გამაქანა. შურდულივით შეიჭრა ტყერში. ძლივს ვეწეოდი, ორიოდ წუთში კორდზე გავედით.

კესა აღაპარაკდა, დანა გამომართვა, ტოტები მოჭრა და მიწაში ჩაასო. მივუხვდი, კორდისა და ტყის მიჯნაზე ახალი საჩრდილობელი დაედგით.

მერე კესა ტყეს შეეფარა. ნაშუადღევს დაბრუნდა და ვამლით დახუნძლული ტოტი მოიტანა. ვიგემოთო, მანიშნა და ხარბად ჩაკბიჩა ვარდისფერი ნაყოფი.

კესა ვერ ისვენებდა. ხშირად გაისმოდა მისი ხმამაღალი სიცილი. ხან თავის თავს ეტიტინებოდა, ხანაც ბურთივით ხტოდა.

ზღვისპირად რომ გავიდოდი, კესა მყისვე ჩემს გვერდით გაჩნდებოდა, ხელს მკლავში ჩამავლებდა და ტყისაკენ მეწეოდა.

ვეცადე როგორმე ამეხსნა კესასთვის, თუ რა გზით მოეხვდი აქ, სადა არის ჩემი მშობელი მხარე და რატომ გავდივარ ასე ხშირად ოკეანის სანაპიროზე.

გულუბრყვილოდ შემომძქეროდა კესა. მას ვერ ვაგვო, რა მძიმე ლოდი მაწვა გულზე. მაგრამ გრძნობდა კი, რომ გემს ველოდი.

კესა ამ ამბავმა დაანალვლიანა, ერთხანს დუმდა, მერე უცებ სახე გაუნათდა და მერცხალივით აჭიკჭიკდა. ბევრი რამ უნდოდა ეთქვა ჩემთვის.

ამაო იყო ყოველი ღონე და ხერხი. ჩვენ ერთმანეთისა არა გავგეგებოდა, კვლავ მოიწყინა კესამ, საღამოხანს ისე გამშორდა, არც კი დამეშვიდობებია.

მეორე დღით კვლავ მოეტანა კენკრა.

გულს მიტყვევებდა მისი ველური უბრალოება.

ზღვისკენ გავიქეცი.

კესა მუხლამდე წყალში ჩამდგარიყო, ლიფსიტა თევზების გუნდი

ელაციცებოდა მის ფეხებს. დამინახა თუ არა, ნაღვლიანად შემოიხრია,
შველას მოხოვდა თითქოს.

საოცარი გრძნობა მიპყრობდა და მეშინოდა კიდევ ამ გრძნობის
ვატყობდი, კესა შემომხედდა თუ არა, სახე აელეწებოდა. მეც აღმოური
მედებოდა.

ერთ დღეს მე და კესას შეუმჩნევლად შემოგვეპარა ღაისი. მინდვრის
ყვავილის სურნელი იფრქვეოდა კორდიდან. გლადიოლუსს მოგავდა ბალა-
ხზე პირადმა გაწოლილი კესა. მისი ფართოდ გახელილი თვალების სიღრმე-
ში ფოჩიანი ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

გრძნობა მომერია, დანისაკენ გავაცურე ხელი, მაგრამ თავი შევიკავე.
ქვეწარმავალს სიცოცხლე შეეუნარჩუნე, ასპიტის სიკვდილით კესას დავ-
კარგავდი უთუოდ.

კესა თითქოს ჩასწვდა ჩემს გუმანს, უეცრად წამოვდა. წადიო, წასჩუ-
რჩულა ასპიტს. ერთხანს უბრად, უმოძრაოდ იჯდა, შემდეგ ჩემკენ გამო-
ცოცდა და ათრთოლებული მკლავები შემომაჭმო კისერზე. სიყვარულის
დაუოკებელი გრძნობა თითქოს ჯუნგლებში მიიკვლევდა გზას.

უცაბედად შემადრწუნებელი ყვირილი გაისმა ტყეში. ორივენი წა-
მოვხტიტ, მხეცური გნიახი და ჩემთვის უჩვეულო ყიჟინი სულ უფრო
გვიახლოვდებოდა.

კესა ხმას არ იღებდა.

მე დანა მოვიმარჯვე.

კესამ ხელი ხელზე დამადო და მანიშნა, დანა დამალეო.

შუბებით შეიარაღებულმა ველურმა მემორებმა ალყა შემოგვარტ-
ყეს. ერთი მათგანი კესას გამოელაპარაკა.

წავიდეთო, დამიქნია თავი კესამ.

ოკეანისაკენ მიმავალ ბილიკს გავყევით.

ზღვისპირას კატამარანში ჩავსევს.

ნიჩბოსნები დიდხანს ებრძოდნენ ოკეანეს.

მხოლოდ დაფიონზე გამოჩნდა ხმელეთი.

კუნძული დიდი ჩანდა.

დიდხანს გვატარეს ველურებმა დაბურულ ტყეში საცალფეხო ბილი-
კებით, ჩხარს რომ მივალწიეთ, შეგვაჩერეს. შევამჩნიე, ველურები კესას
მორიდებით ეპყრობოდნენ. ამან გამათამამა და მცველთან გამოლაპარაკე-
ბა ვცადე. მემომარბა შუბის წვერი მკერდზე მომაბჯინა და გაჩუმდით მანი-
შნა.

უკან დავიხიე. კესა მიმიხვდა და ხელი მკლავში ჩამავლო. დაწყნარ-
დიო, მემუდარებოდნენ მისი თვალები.

სხვა რა გზა მქონდა, მარტო რას გავხდებოდი.

მზე რომ გადაიწვერა და გრილმა სიომ ხის კენწერო შეარხია, მცვე-
ლებმა ყურები ცქვითეს. სადღაც შორს სტვენა გაისმა. ეტყობოდა, ნიშა-

ნი მისცეს. დარაჯებმა წამოგვაცენეს და იარეთო, გვანიშნეს. ბილგერკელავ ულრან ტყეში შეიჭრა. ეს ხელოვნურად გაკაფული გზა გვირახს მოგვადდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე და სიბნელე იყო.

ბილგერკელავ
ეროვნული
მუზეუმი

გამყოლები გვაჩქარებდნენ.

მალე ჟივილ-ხივილი მოგვესმა. ტყე შეთხელდა და ჩვენს წინ ფართო მინდორი გადაიშალა. აქ მთელ ტომს მოეყარა თავი. ჭგუფ-ჭგუფად იდგნენ. ჩვენმა გამოჩენამ უცნაური ქოთქოთი გამოიწვია.

ტყის პირას ოდნავ ამაღლებულ ადგილზე იჯდა მამაკაცი, რომელსაც სახე საშინლად ჰქონდა დასახიჩრებული. გრუზა თმამი ჭრელი ფრთა გაერჭო. მის გვერდით, ცოტა დაბლა წვერულვამგათეთრებულ მოხუცს მოეკალათა. მასაც ფრთა ეკეთა. მარჯვნივ და მარცხნივ შუბებიტა და მშვილდისრებით შეიარაღებული მეომრები იდგნენ. მარცხენა მხარეს ქალები შეჯგუფებულიყვნენ. მათ მოყავისფრო მკერდს ბალები ეთამაშებოდნენ. მარჯვნივ ქალიშვილები ერთობოდნენ. ყოველ მათგანს ფოლადისფერი ფრთა უმშვენებდა მხარს. ცალკე ჭგუფად შეყრილიყვნენ მოხუცები და აჭალბუჭულები.

ჩვენ ბელადთან მიგვიყვანეს. შევნიშნე, რომ მის გვერდით მჭდომი მოხუცი ბრმა იყო.

ბელადმა ხელი ასწია.

ბრბო დაწყნარდა.

კესას რალაც ჰკითხეს.

კესა დუმდა.

შეკითხვა გაუმეორეს.

კესამ ზიზღით სავსე მხერა ესროლა ბელადს. მას არც ახლა ამოუღია ხმა.

შემდეგ მე მომმართეს. მხრები ავიჩეჩე, ვერ გავიგე-მეთქი ვანიშნე. შუახნის კაცი გამოეყო მეომართა მწკრივს და დამტვრეული ინგლისური გამესაუბრა. თარჯიმანი ჩემს ნაამბობს მოკლედ გადასცემდა ბრბოს. ვგრძნობდი, რომ ზოგიერთი ჩემი პასუხი გაკვირვებას იწვევდა. მხოლოდ ბელადი და მეომრები არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ. ბრმა მოხუცი დუმდა.

დაკითხვის ცერემონიალი დიდხანს გაგრძელდა.

კავკასია რომ ვახსენე, მოულოდნელად ხელი ასწია ბრმამ.

ბელადმა და მისმა მრჩეველმა ერთხანს ისაუბრეს. არ ვიცი ვისი ბედი წყდებოდა...

თარჯიმანმა მამცნო, რომ ბრმა მოხუცი ტომის მკვიდრი არ არის, შორეთიდანაა. ოთხმოცდაათი წლის წინათ სტამბოლის ბაზარზე გაუყიდიათ. მერმე გემს, რომლითაც ეს ბავშვიც მიჰყავდათ, ჩვენი ტომი დასხმია თავს...

უცებ იჭეჭა ბელადმა.

მეომრებმა შუბებს სტაცეს ხელი.

ასობით შუბი შვეულად ავარდა ცაში.

უკან დაბრუნებულ შუბებს ჰაერშივე იჭერდნენ.

კვლავ იჭექა ბელადმა.

ბუმერანგებმა ბზუილ-ბზუილით შემოხაზეს მრუდი და მსროლელებს დაუბრუნდნენ.

მესამედ გაისმა ბელადის მრისხანე ხმა.

რამდენი მშვილდოსანიც იყო, იმდენი ჩიტი ააფრინეს ქალიშვილებმა. არცერთ ფრინველს არ აცდენია ისარი. ჩიტების სისხლით პირს იბანდნენ ველურები.

არაფერი მესმოდა, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ. ბურანში ვიყავი. თარჯიმანი მიმიხვდა და გამაგებინა, რომ კესა ბრმა მოხუცის ქალიშვილია. იგი ტომის ბელადის სურვილს გაქცევია და ახლა საშინელი სამსჯავროს წინაშე დგას. სასტიკი ადათი ჰქონია ტომს. ბელადის ყველა შეურაცხყოფელს სიკვდილით სჯიან.

ბელადმა ისევ იჭუხა.

მინდვრის შუაგულში უმაღლვე კოცონი გააჩაღეს.

კესა მამასთან მიიჭრა და ხელზე ეამბორა. შემდეგ ფრთა მოიგლიჯა და ჩემსკენ აფრინა, ბელადს კი ზიზლით შეხედა და შეჰკივლა.

შეკივლება და ასპიტის გამოჩენა ერთი იყო. კესამ იგი ორივე ხელით გულზე მიიხუტა და ბაგეებზე დაეკონა.

ბელადის მრჩეველს ცრემლით აევსო თვალთა უბენი.

კესა ასპიტთან ერთად ჩაიკეცა იქვე.

გონება დავკარგე...

გონს მოსული კატამარანში ვიწექი.

რამდენიმე დღე დავყავი ოკეანეში. მერე ევროპისაკენ მომავალმა გემმა ამიყვანა...

ბაბუა პანტელეიმონი გაჩუმდა.

ჩვენ სუნთქვა შეკრული ვისხედით.

ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ეს დღემილი, გემის შორეულ დვარის რომ არ გაეპო უშფოთველი ღამის მდუმარება.

ბისკაი
მაისი, 1970.

၆ ၁ ၆ ၃ ၇ ၁

სიხშირით გათანგულ გორებს და კორდებს,
თხროზოდ მოსული წვიმა აბოდებს...
დამსკდარი ლოდი ელავს და ბრწყინავს,
სხივი და კენჭი ერთმანეთს ერჩის,
ნეტავ მოვიდეს ბათუმის წვიმა,
მისი შხაპუნა თქორით და თქეშით.

* * *

რა იქნება გაზაფხულზე უბალახო მთები,
რა იქნება უყვავილოდ ეს გორები ნეტა,
ხევებს ლაღად გაუშლიათ ნისლიანი მხრები...
და შორს მიაქვთ,
მალლა მიაქვთ,
ჩუმი ფშვინვა ტყედა.

აქიანე შეკვაშიძე

ლესია

ეპიგრაფიკული მემორა

სვიატოშინო. კოსანების აგარაკი. დიდი, უბრალოდ მორთული ოთახი.

შემოდინ ნოვიჩენკო და ლესია.

ლესია — სალამოს რვა საათია და დედა ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. დილით კიევში წავიდა. დაგვირდა, სალამოს დავბრუნდებიო. (კარებზე აკაკუნებენ). მობრძანდით! (შემოდინ ლევანი და ვასო არაბიძე ხუროჩინით, გუდითა და ბარგიბარხანით) ლევან?! ძვირფასო ლევან! (გადაეხვევა, კოცნის).

ლევანი — სალამო მშვიდობისა, ძვირფასო ლესია! ჰო, ოღლა პეტროვნამ შემოგითვალოთ, რომ ამაღამ სვიატოშინოში ვერ ჩამოვა, მას მიხაილო კოციუბინსკი, ვასილ-სტეფანიკო და მიხაილო სტარიცკი ესტუმრნენ.

ლესია — სამწუხაროა, რომ მე ახლა იქ არა ვარ... იქნებ ამაღამ ჩვენთან წამოხვალთ კიევში?

ლევანი — ერთ საათში ლადო კეცხოველი და შიო ჩიტაძე მოგვაკითხავენ.

ნოვიჩენკო — (თითქმის წამოიყვრება) ლადო კეცხოველი კიევშია?!

ლესია — მაპატიეთ, მეგობრებო, გთხოვთ გაიცნოთ ერთმანეთი. (ლევანი და ნოვიჩენკო ერთმანეთს გამოიცნობენ).

ლევანი — პაელო!

ნოვიჩენკო — ლევან! (ერთმანეთს გადაეხვევიან).

ლევანი — (ვასოზე ანიშნებს) ეს კი პოლიციისა და ჟანდარმთა რისხვა და ჩემი მეგობარი ვასო არაბიძეა. (ვასო მოკრძალებით ჩამოართმევს ხელს ლესიას, მერე ნოვიჩენკოს მიუბრუნდება).

ასი წელი შესრულდა დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას დაბადებიდან. ამ თარიღს მთელი კულტურული კაცობრიობა აღნიშნავს. ლესია დიდხანს ცხოვრობდა ჩვენს მიწა-წყალზე და საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ რევოლუციონერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. სწორედ ეს ურთიერთობაა ასახული ამირან შერვაშიძის პიესაში, რომლის ნაწყვეტსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს. რედ.

ვასო — პავლო, წუთუ ვერ მიცანი, გენაცვალე?

ნოვიჩენკო — გიცანი, ახლა გიცანი და ისიც ე მაგ შენი მჭიდრისტოლა დედასა...
წვერი რა უყავი, ვასო, ძვირფასო?! (ერთმანეთს გადახვევიან)

ვასო — კატორღაში დავტოვე.

ნოვიჩენკო — უკანასკნელად მოსკოვის „პერესილკაში“ დავშორდით ერთმანეთს...
მას შემდეგ სამმა წელმა განვლო... და მაინც გიცანი მაგ თვალებით.

ვასო — ისევ ეს თვალები... როცა იაჭუტიაში ვიყავი... იქ მე...

ნოვიჩენკო — (შეაწყვეტინებს) უმჯობესია ის მოყვე, ახლა რას აკეთებ? კიევში
როგორ მოხვდები?

ვასო — კატორღიდან გაქცევის შემდეგ თბილისში მინდოდა დაბრუნება, მაგრამ ბა-
ქოში ამოვყევი თავი. ახლა ვმუშაობ ბაქოს კომიტეტში, რომელსაც ლადო კეცხოველი
მეთაურობს.

ნოვიჩენკო — როგორც ვიცი, თქვენ იქ სამაგალითოდ მოგწყვიათ არალეგალური
სტამბა.

ვასო — ჩვენმა ლადომ ვლადიმერ ილიჩთან დაამყარა კავშირი და ბაქოს სტამბამ
დაიწყო გაზეთ „ისკრის“ გადამრეკლება.

ნოვიჩენკო — ვიცი... „ისკრა“ და სხვა მასალები, რომლებიც თქვენს სტამბაში
იბეჭდება, ფართოდ ვრცელდება სამხრეთ რუსეთის ქალაქებში.

ვასო — ლადო ყოჩაღი, ჭკვიანი და მოხერხებული კაცია... საქმე ისე აწყობ, რომ
ახლა ვენა-თავრიზი-ბაქოს გზით ვლელულობთ საზღვარგარეთიდან „ისკრის“ მიერ გამო-
ცემულ ლიტერატურას.

ნოვიჩენკო — ცხადია, თქვენი საქმე უფრო ძნელი და საშიშია... „ისკრის“ ლიტერა-
ტურა და თვითონ გაზეთი „ისკრაც“ ჩვენ გადმოგვაქვს ლვოვიდან, რომელიც უფრო ახ-
ლოა, ვიდრე ბაქო, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც საზღვარგარეთია და საზღვრის
გადმოლახვა ასეთი ლიტერატურით ყოველთვის სახიფათოა.

ლესია — საერთოდ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოცემა ჩვენში ძლიერ სავა-
ლადო მდგომარეობაშია. 1876 წლიდან რუსეთში აიკრძალა ყოველგვარი ლიტერატურის
გამოცემა უკრაინულ ენაზე და ახლა ყველაფერს ლვოვში ვგზავნით დასაბეჭდად.

ნოვიჩენკო — ამას წინათ ლვოვში გამოვიდა „კომუნისტური მანიფესტი“, რომე-
ლიც ჩვენმა პატივცემულმა ლარისა პეტროვნამ თარგმანა... ვერც კიევში და ვერც უკ-
რაინის სხვა ქალაქებში მას ვერ იპოვი. კიევის კომიტეტის დავალებით ამ დღეებში
გალიციაში მივემგზავრები, როგორც ჩერნეცკოს სავაჭრო კომპანიის აგენტი... ეს მე სა-
შუალებას მომცემს, შედარებით ურისკოდ გადმოვიტანო გაზეთი „ისკრა“ და უკრაინულ
ენაზე გამოცემული ლიტერატურა, რომელიც ლვოვში დავროვდა.

ვასო — კი, მაგრამ, გენაცვალე, რატომ თქვენ საკუთარ სტამბას არ აწყობთ? ჩვენ-
თან ბაქოში სტამბა აუტანელ მდგომარეობაშია, შეიძლება ჩავარდეს კიდევ. გადაწყდა-
მისი კიევში გადმოტანა აქაურმა კზნანაგებმა უარი გვითხრეს, შეუძლებელია.

ნოვიჩენკო — კიევში ამჟამად ფრიალ მძიმე და დაძაბული მდგომარეობაა.

ვასო — ეტყობა, ჩვენ ისევ უკან დაგბრუნდებით... ჩვენი ლადო კი დიდი სიხარუ-
ლით მოდიოდა კიევში... რას იზამ, არ გამოვიდა... ბაქოში ისევ აწყობთ ჩვენს მუშაო-
ბას. იქ ჩვენ დიდი და მძიმე საქმე გველის.

ლესია — თქვენთან კავასიაში დიდი ამბები ხდება. მე ჟურნალ „ეტიკა ი სლოვო-
ში“ წავეითებ ივანე ფრანკოს მოწოდება „ისწავლეთ რევოლუციური ბრძოლა ქართვე-
ლი მშრომლებისაგან“.

ვასო — ეს ძლიერ სასიამოვნოა, მაგრამ სხვებზე მეტი რა გავაკეთებ?

ლესია — თქვენ სწორ გზას ადგახართ. თქვენი ბრძოლა თვითმპყრობელობის და ბუ-
რჟუაზიის წინააღმდეგ სწორედ იმიტომაც ძლიერი, რომ რუსებთან, უკრაინელებთან, რუ-

სეთვის იმპერიის ყველა ხალხთან ერთად იბრძვით! ჩვენთან კი, ზოგიერთნი და ისინი ცოტანი როდი არიან, გაჰკივიან, უკრაინელი ნაროდოვოლები შეცდომას ჩადიან, როცა რუსებთან და სხვა ხალხებთან ერთად წარმართავენ ბრძოლას ცარისტული დევნა, ეს ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესების შესახებაა.

ნოვიჩენკო — თქვენ მართალი ხართ, ცამდე მართალი, ლარისა პეტროვნა! რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც რევოლუციონერები ერთ დიდ ინტერნაციონალურ ოჯახად შეკავშირდნენ.

ლესია — ეს, მხოლოდ ეს არის ის ძირითადი ძალა, რომელიც გამარჯვებამდე მივდივართ... ყველა ხალხის გამარჯვებამდე.

შორიდან მოისმის სიმღერა.

Дивлюсь я на небо,
Та думку гадаю,
Чому я не сокіл
Чому не літаю .

ვასო — მღერიან, რა კარგად მღერიან (სევდიანად ჩაფიქრდება).

ნოვიჩენკო — რაზე ფიქრობ, ვასო?

ვასო — საქართველოზე, გენაცვალე, საქართველოზე. სიზმარშიც სამშობლოს ვხედავ. მადლობა ღმერთს, რამდენიმე დღის შემდეგ ბაქოში ვიქნები, იქიდან თბილისში წავალ, მერე კი პირდაპირ ჩემს სოფელს ვესტუმრები, გავძლები მშობლიური კუთხის ჰაერით. იცით თქვენ რითი არის გაუღენთილი საქართველოს ჰაერი?

ნოვიჩენკო — ვიცით, მეფის რეჟიმით, ვასო!

ვასო — კარბოლმჟავას სუნით უდის! კატორღის შემდეგ ჩემს ირგვლივ ყველაფერი კარბოლმჟავას სუნით არის გაუღენთილი.

ლევანი — რა ამბავია? ჩურჩხელას კარბოლმჟავას სუნი ასდის! ღვინის გუდას — კარბოლმჟავას სუნი ასდის! თვითონ ვასოსაც კარბოლმჟავას სუნი ასდის... გამაგებინებოლოს და ბოლოს, პროვოზორი ხარ თუ რევოლუციონერი?

ნოვიჩენკო — შემთხვევით იქნებ მართლა რევოლუციონერია.

ვასო — შემთხვევით... ნუ გიკვირს, გენაცვალე! ვასოს ყველაფერი შემთხვევით გამოუღდის... ჟანდარმებმა თბილისში შემთხვევით მიაგნეს ჩემს კვალს. მოსამართლეებმა ათი წელი კატორღა შემთხვევით მომისაჯეს... ერთი წლის შემდეგ კატორღიდან შემთხვევით კანოვიქცი... მაგრამ ვასო შემთხვევით კი არ არის რევოლუციონერი.

ნოვიჩენკო — გახსოვს, რა ოინი გამიკეთე, როცა ხარკოვის ციხიდან გავიქციე?

ვასო — მახსოვს და დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის... დაჭრილი ზურგით რომ გამოვიყვანე ცეცხლის ხაზიდან.

ნოვიჩენკო — ამით შენ საკუთარი ტყავი გადაარჩინე. ზურგზე იმიტომ ამიკიდე, რომ თავი დაგეცვა ტყვიებისაგან... ახლა რა დავაშავე, რომ ბედმა ისევ შეჭხვდრა ამ კარბოლმჟავას სუნით გაუღენთილ გენაცვალეს.

ვასო — ენას მოუარე, ბიძია, თორემ ძირში მიგაჭრი და მერე რამდენიც, გინდა იმაზე გენაცვალე... იცი შენ რას ნიშნავს გენაცვალე? ასეთი ძვირფასი სატყუა, ატყუა ერთი ერის ენას არ გააჩნია.

ნოვიჩენკო — მაინც რას ნიშნავს გენაცვალე?

ვასო — გენაცვალე... ეს არის... გენაცვალე საერთოდ ყველაზე დიდი გრძნობისა და პატივისცემის გამოხატულება.

ნოვიჩენკო — მაინც?

ვასო — გენაცვალე გენაცვალეა და თუ შენ მაინც ვერ გაიგე, ღმერთმა მეტი ჯავრი ნუ მომცა...

ნოვიჩენკო — მაშ გაუმარგოს გენაცვალეს და თუ აცი ხარ თვალებს ნუ მიბრუნებ...
ვასო — ისევ ეს თვალეები... მე რომ იაკუტიაში ვიყავი, იქ...
ლევანი — რა დროს იაკუტიაა, დიასახლისი გავექცა. (შემოდის ლესია ზამბლაძე)
აწყობს).

ვასო — რა გინდათ ჩემგან! ვასო მომთმენი კაცია, ვასო არ ყვირის, ვასო ხელეზს არ იქნევს, ზის თავისთვის და იცდის.

ნოვიჩენკო — ჰო, ზის და უცდის, როდის მორართმევენ ვახშამს.

ვასო — რა დროს ვახშამია, ჩვენ კიევში უნდა დაებრუნდეთ.

ნოვიჩენკო — ვახშამს ლამაზი ქალი გაგვიწყობს... მე კარგად ვიცი, კავკასიელი კაცი შიმშილს მოითმენს, მაგრამ ლამაზი ქალი რომ არ იხილოს, არ შეუძლია... ერთხელ შე-
აელებს თვალს და ორ დღეს მაძლარია. საერთოდ კი, რას უფრო ისურვებდი, ვასო, ლამაზ ქალს, გემრიელ მწვადებს თუ კარგ ღვინოს?

ვასო — მე ვისურვებდი, რომ იმ ლამაზმა ქალმა, ის გემრიელი მწვადები მარანში მომიტანოს...

ნოვიჩენკო — ყოჩაღ, ვასო! (ყველანი იცინიან. ნოვიჩენკო და ვასო არაბიძე ერთმანეთს გადაეხვევიან და მხრებზე ხელებს ურტყამენ. ამასობაში ლესიამ უკვე გააწყო სუფრა).

ლევანი — ვასო, მომაწოდე ეგ გულა! (ვასო თვითონ ასხამს გულიდან ღვინოს. ლევანი ღვინით სავსე ჭიქას აიღებს და სადღეგრძელოს ამბობს). მეგობრებო! ნება მომეცით, ამ ჭიქით ვაღღეგრძელო ადამიანის სულის სილამაზე. ძვირფასო ლესია, შენი შინაგანი, ადამიანური სილამაზე თავისი სხივებით დაჩრდილავს მსოფლიოს უპირველესი ლამაზმანის ბრწყინვალეობას. ბევრჯერ ვიმტვრიე თავი, ვფიქრობდი, რთი შემეძქე, ჰო, რთი დამეშვენებო, როცა შენ თვითონ ხარ დამაშვენებელი ყველა დასამშვენებელი. მე სახსოვრად ჩამოგიტანე ქართული ქედური საყურე, სამკერდე და ბეჭედი ჩვენი მეგობრობის ნიშნად, მეგობრობისა, რომელიც სანთელივით უნდა იწვოდეს და ვინმემ რომ შეუზეროს, მაინც უნდა ენთოს. (საჩუქრებს გადასცემს). დიდხანს ატარეთ და შეამკეთ თქვენი ეს ლამაზი სამკაულები. ას წელიწადს იცოცხლეთ! ჯანმრთელობა, სიხარული, ზედნიერება და გამარჯვებელი ყოფილიყოს თქვენი მუდმივი ხეადრი. (შესვამს).

ნოვიჩენკო — აი სადღეგრძელო... ბრავო, ლევან! თქვენი დღეგრძელობისა იყოს, პატივცემულო ლარისა პეტროვნა (შესვამს).

ვასო — ღრმად პატივცემულო ლარისა პეტროვნა! მე რა შემიძლია დავუმატო ამ სადღეგრძელოს... თითქმის ყველაფერი ითქვა. მე თქვენ პირველად გხედავთ, მაგრამ გიცნობდით არა მარტო ჩვენი ძვირფასი პავლო მიხაილოვიჩის, ლევანის, შიო ჩიტაძისა და თვითონ ლადო კეცხოველის ნამშობობით, მე გიცნობდით თქვენი მოღვაწეობითა და შემოქმედებით, რომელიც განუზომელია. ჩემს წარმოდგენაში თქვენ ყოველთვის იყავით ნაზი და ამავე დროს ვაჟკაცური ქალი, რომელსაც ერთ ხელში ღირა ექრა, მეორეში კი მახვილი. დეე თქვენი ღირა მუდამ უმღეროდეს თქვენს შესანიშნავ ხალხს და ჩვენს ბრძოლას სიმართლისათვის. თქვენი მახვილი კი მუდამ ბასრი ყოფილიყოს მტრების გასანადგურებლად. მე ჩამოგიტანეთ სალამი ყაზბეგის მწვერვალიდან, მტკვრის სანაპიროდან, ალაზნის ველიდან, მგზნებარე კოლხეთიდან და ჩემი ქვეყნის ყველა ვარდი და ყვავილი თავს იხრის თქვენს წინაშე, დიდებული უკრაინელო ქალო, და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ბრძოლას, გამარჯვებასა და ზედნიერებას... გენაცვალე! (შესვამს).

ნოვიჩენკო — ბრავო, ვასო, ყოჩაღ ვასო... სატანა ხარ, ნამდვილი სატანა!

ლესია — მაღლობას მოგახსენებთ, დიდ მაღლობას, ჩემო მეგობრებო! მაგრამ, როგორც ვატყობ, ლევანმა ჩემი თხოვნა არ შეასრულა. (ლევანს) საქართველოში გამგზავრების წინ შემეკითხე, რა ჩამოგიტანო საჩუქრადო... მე ვითხარი — ქართული ხანჯალი.



ნოვიჩენკო — ხანჯალი?!

ლესია — ჰო, ხანჯალი... როგორც ბრძოლის ემბლემა.

ლევანი — მე მიწოდდა იგი გადმოშვებული განსაკუთრებული ვითარებაში, მაგრამ ჩემს გარდასული სიტყვებში მოატანა... (ლევანი ჩემოდნიდან ხანჯალს ამოიღებს) ეს ჩვენი საგვარეულო ხანჯალია... ეს წარწერა კი სახელურზე სამი კვირის წინ არის გაკეთებული (კითხულობს) „უკრაინის სახელოვან შვილს ლესია უკრაინკას ქართველი მეგობრისაგან“ (გადასცემს).

ლესია — გახსოვს, ლევან, გრძელი ღამეები იმ ზამთრისა, როცა ჩვენთან ცხოვრობდი? შენი შემწეობით გავეცანი შენი ხალხის ცხოვრებას, ადამ-წესებს, კულტურასა და მდიდარ ისტორიას... შენ გამაცანი ქართული ანბანი, ქართული ენა... და მე მუდამ ვფიქრობ: რა საინტერესო და საოცარი ქვეყანაა საქართველო! რამდენი ვაჟკაცობა და სიმბნევე უნდა ჰქონოდა ამ ერთ მუქა ხალხს, რომ გადაურჩა იმდენ უბედურებასა და ჭირს, რაც ბედმა არგუნა! უკრაინელი რომ არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი. (ხანჯალს დასცქერის).

სიტყვავ, რად არ ხარ ფოლადი მტკიცე,

ბრძოლაში გმირთა ჯავშანად იქცე?

რატომ არა ხარ ხანჯალი, რომელიც,

მტერს მოსჭრის თავსა დაუნდობელი?

(ხანჯალს გააშიშვლებს)

გაეღრიალებ ცივ ბორცვებზე,

მტარვალთ კოშკისკენ ხალხს დააგვებ,

შემოგზავდებიან იქ მოძმე ხმლებიც,

თავისუფლების წკრიალა ხმებით...

და ერთად გახვალთ თქვენ ბრძოლის ველზე

შურისგებისთვის რომ აიღესეთ...

(მოისმის ეტლის ხმაური, რომელიც ახლოს შეწყდება)

ლევანი — ჩამოვიდნენ. (კარებში ეღუარდი გამოჩნდება).

ედუარდი — სალაში, ბატონებო! ვხედავ აქ ნამდვილი ზეიმია. ოო, ლარისა პეტროვნა, თქვენ შეიარაღებული ხართ?! ეს საშიშია...

ლესია — კი... ეს ძლიერ საშიშია...

ედუარდი — ო, კიდევ ერთი სიახლე... რაღაც უცხოური სამკაულებით მორთულ-ხართ...

ლევანი — ახალგაზრდავ, უმჯობესია ღვინო დალიოთ (გაუწვდის).

ედუარდი — გმადლობთ... მე კიევს მიმეჩქარება... ერთ საათში უკან უნდა დაბრუნდეთ.

ნოვიჩენკო — ლარისა პეტროვნა იქით აპირებს... იქნებ თქვენი ეტლით წაგვიყვანო?

ედუარდი — სიამოვნებით, მაგრამ ყველა ჯერ დავეტებით. (ლევანი და ედუარდი ერთმანეთს თვალებით ზომავენ).

ნოვიჩენკო — მაგ შემთხვევაში თქვენ ლარისა პეტროვნას წაიყვანთ, ჩვენ კი...

ედუარდი — სიამოვნებით. (ლესია ცალკე ესაუბრება ლევანს).

ლესია — თუ მოგენატრა შენი ოთახი კიევში, ჩვენთან გაჩერდი. ბარგი კი აქ დატოვე... ზვალ ჩვენიანებთან ერთად აქ ჩამოვალთ... ოთხი ოთახია, ყველას გვეყოფა. რამდენიმე დღე მაინც დაისვენე სვიატოშინოში. (დანარჩენებს) მე წავედი. გელით კიევში. (ლესია გადის, მას უკან მიყვება ედუარდი, რომელიც ცერემონიულად ემშვიდობება ყველას. ეტლის ხმაური თანდათან მიწყდება).

ლევანი — ვინ იყო ის ახალგაზრდა?



ნოვიჩენკო — საკმაოდ დიდი არამზადა.

ლევანი — კი მაგრამ, რა აქვს ლარისა პეტროვნას მასთან საერთო?!

ნოვიჩენკო — ლარისა პეტროვნასა და იმისი შშობლები ნოვოგრაფ-
არია. მათი ოჯახები კიევშიც განაგრძობენ ურთიერთობას. (ისმის ეტლ-
რომელიც სახლთან შეწყდება. ვასო ფანჯარასთან მივარდება).

ვასო — ლადო კეცხოველი და შიო ჩიტაძე.

ნოვიჩენკო — როგორ ავითამაშდა თვალები.

ვასო — ისეც თვალები... როცა იაკუტიაში ვიყავი, იქ მე...

ნოვიჩენკო — თავი დანებე იაკუტიას... სტუმრებს დახვდი, გენაცავლე! (ვასო
ფართოდ გააღებს კარებს, სამივენი ელიან სტუმრებს, რომელთა ნაბიჯების ხმა სულ
უფრო და უფრო აწლის მოისმის).

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

ეპილოგი

ლესია თავის ოთახში. იგი საწერ მაგიდას უზის და მუშაობს. კარებზე აკაკუნებენ.

ლესია — შემოდით! (შემოდის ლევანი).

ლევანი — დილა მშვიდობისა!

ლესია — მადლობელი ვარ, რომ ღღეს ადრე მომავითხე.

ლევანი — მგონი ხელი შეგიშალე, შენ მუშაობდი.

ლესია — ოო, რა კარგად გამოიყურები...

ლევანი — ვიცი, გიყვარვარ და ამავე დროს ცდილობ გამათავისუფლო შენდამი
სიყვარულისაგან... მაგრამ ჩემთვის ეს რას ნიშნავს არ იცი და ამიტომ...

ლესია — არა, არა ლევან... ასე უკეთესი იქნება ორივესათვის. არ შემიძლია საყ-
ვარულ ადამიანს ბარგად ავეცილო... მე მძიმე ავადმყოფი ვარ... შენ ჩემთვის ძალზე
ძვირფასი ხარ, მე კი შენთვის მძიმე ბარგი.

ლევანი — ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს და ამიტომ უფრო
მეტად...

ლესია — არა, არა ლევან...

ლევანი — მოვა დრო, შენი გმირი იტყვის: „შენთან ერთად მზად ვარ შევებრძო-
ლო“...

ლესია — არც ეს არის საჭირო... მომისმინე ლევან... ავადმყოფში ყოველთვის არის
ისეთი რამ, რაც ჯანმრთელ ადამიანში არა მარტო სიცოცხლის, სიძულვილისაც კი იწ-
ვევს... მე ავადმყოფი ვარ და ჩემმა სენმა დალი დაატყო ჩემს გარეგნობას... შენ კი,
ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი ხარ... გარდა ამისა, შენ ოცდახუთი შეგისრულდა.
მე კი ოცდაათს გადავაცილე... და საერთოდ... მე სიყვარულისთვის არ ვარ გაჩენილი...
თუმცა, მთელი ჩემი არსება სიყვარულისა და სიძულვილისაგან არის შეზავებული...

ლევანი — ჰო, სიძულვილი მე, სიყვარული სხვას...

ლესია — ჩემო ლევან, ჩემო ძვირფასო მეგობარო, არა ხარ მართალი... შენ უსა-
მართლოდ მეპყრობი და პატივს არა სცემ ჩემს მეგობრულ გრძნობას... შენთვის თუ-
რმე არაფერს ნიშნავს უმწიკლო, ნათელი და უანგარო მეგობრობა, რომელსაც მე
გთავაზობ... მეტი რა შემიძლია შენთვის მე, ვისაც არ გამაჩნია არც სილამაზე და არც
ჯანმრთელობა.

ლევანი — (ირონიულად) შენ გგონია, რომ თაყვანს ვცემ ისეთ სილამაზეს, რომ-
ლის წინაშეც გაფითრდებოდა თვით კლეოპატრა? არა, არა და არა... მე კარგად ვი-
ცი, რატომ მიყვარს და ვინ მიყვარს.



ლესია — სიყვარული ეგოისტურია და ამიტომ მუდმივი არ არის. ნამდვილი მეგობრობა კი უფრო ძლიერი და მყარია. გახსოვს, შენ თვითონ მითარგმნე მეგობრობა სიყვარულზე უანგარაო.

ლევანი — რისთვის იმცირებ თავს? რატომ გგონია, რომ შეუძლებელია უყვარდე ადამიანს? გამოდის, შენ თვითონ უკმაყოფილო ხარ, რომ გაჩნდი ამ ქვეყანაზე.

ლესია — არა, ჩემო ძვირფასო... მე არასოდეს არ ვიტყვი: ო, რატომ ჩემი სიცოცხლის პირველი დღე ამავე დროს არ იყო უკანასკნელი. არა, ათასჯერ არა...

მე ბედნიერი ვარ,
ჰო, ბედნიერი,
რომ ვარ ამ ქვეყანაზე...
და როცა მოგვადები,
აინთებიან სიტყვები,
გამთბარი ჩემი ცეცხლით
და
მათში დაფარული ალი
აკიაფდება.

და იგი
ანთებული ლამით,
ღიწვის დღისით.

ლევან, რა დაგემართა? შენს თვალებში სევდა, ნალექი?! არა ლევან, მე მუდამ ვფიქრობ, ჩემს მდგომარეობაში მყოფს უფლება აქვს თუ არა, გათხოვდეს... მაგრამ ვიცი, რომ ცხოვრების და ბრძოლის გზაზე კარგია გვერდით გაყვადეს ახლობელი ადამიანი, ნამდვილი მეგობარი. მე მეგობრობას გთავაზობ ჩემო ლევან, მეგობრობას, რომელიც სიყვარულზე უფრო მაღალია.

ლევანი — დაწყევლილი ბედის ცყოფილვარ, რომ შენზე აღრე არ დავიბადე... რა... რას გავაწყობ... გამოდის, ფარხშალი უნდა დავყარო... მაგრამ ჩვენს მეგობრობას სიკვდილამდე თვალის ჩინივით გავუფრთხილები... მშვიდობით ლარისა კოსაჰ! გაუმარჯოს ლესია უკრაინკას! ვისაც უმწიკვლოდ უყვარს, მან მსხვერპლის გაღებაც იცის.

ლესია — ლევან!

ლევანი — ლესია! (ერთმანეთს გადახევევიან და დიდხანს უცქერენ ურთიერთს თვალებში).

ლესია — ხვალ სამშობლოში მიდიხარ... გაგაცილებ... მე მოკლე ხანში თბილ ქვეყანაში გავემგზავრები.

ლევანი — (უკმაყოფილოდ) ეგვიპტეში... იტალიაში...

ლესია — ამჯერად საქართველოში, მიჯაჭვულ ამირანთან...

ლევანი — მაღლობა ღმერთს... (ხელზე აკოცებს ლესიას და გადის).

ლესია — წავიდა... წავიდა და ვი თუ მეტი ვერ შევხვდეთ ერთმანეთს... მაგრამ არა, უანგარო მეგობრობის ძალა ძლიერ დიდია, იგი კეთილშობილურად ანათესავებს ადამიანებს.

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

პ ა რ ა გ რ ა მ ა

ზაქარია ფალიაშვილი როიალთან ზის და თავისი მომავალი ოპერის „დაისის“ შესახალს უკრავს, ლესია მთელი გულსყურით უსმენს, მისი სახე აღტაცებას გამოხატავს. როცა ფალიაშვილი დაამთავრებს დაკვრას, სიჩუმე ჩამოვარდება.

ლესია — ეს რა ჯადოსნური ჰანგებია, რა დიდებულად ჟღერს... როგორი მუსიკაა.

როგორი მუსიკა... თქვენ, თქვენ ალბათ არც კი იცით რა შეჰქმენით. თქვენ საკუთარი ნიჭის უღიდესი გამნიავებელი ხართ... თქვენ უნდა იჯდეთ და ქმნიდეთ, ქმნიდეთ და ქმნიდეთ. თუ ამას არ გააკეთებთ, თქვენ ჩაიდნენ უღიდეს დანაშაულს თქვენს მომავალ წინაშე, თქვენ მას ვაჰქურდავთ, როგორც ყველაზე დიდი ქურდი ამ ქვეყანაზე.

ფალიაშვილი — ლარისა პეტროვნა, წინასწარ ნუ მლანძღავთ. მე უკვე გადაწყვიტე დავწერო ოპერა და, ალბათ, ის, რაც ახლა მოისმინეთ, ამ ოპერის უვერტიურა იქნება.

ლესია — ალბათ! თქვენ რა, ეჭვობთ?

ფალიაშვილი — ეჭვი? ეჭვი ძნელი, ძალიან ძნელი, ხშირად გამოუვალი მდგომარეობის ნაყოფია. მითხარით ვის, ვის უნდა ჩემი ოპერა, წმინდა ეროვნული მუსიკა ახლა, საშინელი რეაქციისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის თარეშის დროს?

ლესია — ეგ არაფერია... მოვა დრო, შეჰქველად მოვა უკეთესი დრო დამონებული ხალხებისათვის და ორმაგად იქნება დაფასებული მათი შეილებების გმირობა და ამაგი.

ფალიაშვილი — გარდა ამისა, ადამიანები ჯერ კიდევ შურით არიან აღვსილნი. შური კი, როგორც მოგეხსენებათ, უღიდესი ჭირია, რომელიც ხელს უშლის ადამიანს იყოს ადამიანური.

ლესია — მაგრამ კაცობრიობის მომავალი სიმართლისა და ჭეშმარიტების ზეიმი. კი, ეს უეჭველად ასე იქნება, მოვა დრო, როცა სულ სხვაგვარად შეფასდება ადამიანის ღირსება და საქციელი.

ფალიაშვილი — თქვენ მუდამ გულწრფელად ლაპარაკობთ. გულწრფელობა ხომ ნამდვილი ადამიანობაა... მე ქედს ვიხრე თქვენი ნიჭის წინაშე, თქვენი გულწრფელობას წინაშე და ჩემი ბედის მადლობელი ვარ, რომ მე თქვენ გიცნობთ.

ლესია — არა, მეგობარო, მე თვითონ ვარ მადლობელი ჩემი ბედისა, რომ ასეთი მეგობრები შემახვედრა. ეს თუ არა, რა დღეში ვიქნებოდი სამშობლოსაგან მოშორებული, ნათესავებისა და მეგობრების გარეშე... თუმცა მეგობრებიდან ბევრი აღარ არის ცოცხალი. ჩვენს შორის ჯღარ არის მგზნებარე ლადო კეცხოველი, არც ჩემი უახლოესი მეგობარი სერგეი მერჟინსკი, არც შიო ჩიტაძე და ბევრი სხვა... მაგრამ ჩვენ სულით არ დავცევით, ცრემლებს შევიშრობთ და მახვილს აღვმართავთ. (ახველებს).

ფალიაშვილი — (თავისთვის) უძლურ სხეულში ასეთი ძლიერი სული...

ლესია — თქვენ მგონი რაღაც მითხარით?

ფალიაშვილი — მე? არა.

ლესია — ხედავთ, მაგიდაზე აწყვია „მერანის“ ბჭკარედი თარგმანი, რომელიც ჩემთვის სილოვან ხუნდაძემ შეასრულა. ეს არაჩვეულებრივი პოეტური ქმნილება ცხადად მეტყველებს, რომ თქვენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით გყავთ დიდი პოეტი, მსოფლიო პოეზიის დამამშვენებელი. მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, მის ლექსებზე არა ერთ მუსიკალურ ნაწარმოებს შეექმნოდა.

ფალიაშვილი — რაკი თქვენს ხელთაა, როგორც ბრძანეთ, არაჩვეულებრივი პოეტური ქმნილების ბჭკარედი, რატომ არ თარგმნით თქვენს მშობლიურ ენაზე.

ლესია — აი, ვთარგმნე კიდევ... მე ხომ ახალგაზრდა ზარმაცი ქართველი კომპოზიტორი არა ვარ... (იცინის).

ფალიაშვილი — (იცინის) მომავალში უეჭველად დავწერ რამეს ბარათაშვილის ტექსტზე... ჩემთვის, როგორც თქვენ ბრძანეთ, ახალგაზრდა და ზარმაცი კომპოზიტორისათვის ეს საქმე უფრო ძნელია, ვიდრე თქვენთვის — თარგმნით დიდმა პოეტმა გენიალური პოეტის ქმნილებანი.

ლესია — გეწყინათ? ბოდიშს ვიხდი... მაგრამ მინდოდა...

ფალიაშვილი — არა, ლარისა პეტროვნა, ხუმრობა შეიძლება ეწყინოს მხოლოდ



ქარაფშუტას... ისე კი, ძალიან მაინტერესებს, როგორ ჟღერს ბარათაშვილი უკრაინულად.
ლესია — სიამოვნებით წაგიკითხავდი ჩემს მიერ თარგმნილ „მერანს“...
 ლიან მიყვარს და ხშირად ვკითხულობ. თქვენ ვერ გაიგებთ.

ფალიაშვილი — მე მუსიკოსი ვარ და მაინტერესებს თქვენი თარგმანის წმინდა მუსიკალური მხარე... საერთოდ კი, მე ვსწავლობდი ძველ სლავურს და არც თუ ისე ცუდად მესმის უკრაინული ენაც.

ლესია — მაგ შემთხვევაში, ძვირფასო მეგობარო, თქვენ იქნებით პირველი კაცი, რომელმაც მოისმინა და შეაფასა ჩემ მიერ თარგმნილი „მერანი“. წაგიკითხავთ შემოკლებული სახით. (კითხულობს. როგორც კი დამთავრებს კითხვას, ლესია, თითქმის ქვისგან გამოთლილი, თავაწეული საღდაც შორს იცქირება. ფალიაშვილი როიას მოწყდება და აღტაცებული, დრმა პატივისცემის ნიშნად ლესიას ხელებს უკოცნის).

ჩ ა მ ბ ნ ე ლ ე ბ ა

ე პ ი ზ ო დ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ბ ე

იქვე. ლესია, ლევანი და ზაქარია ფალიაშვილი.

ლესია — (ლევანს) თქვენი ცოლი სწორედ ისეთია, როგორსაც მე თქვენთვის გამოვარჩევდი. რაც შეეხება ქორწილს, ძლიერ მომეწონა... ქართველები არა მარტო შრომისა და ბრძოლის რაინდები ხართ... ალბათ, ქიეფიც თქვენი მოგონილია. ერთი სიტყვით, მე ძლიერ კმაყოფილი ვარ თქვენი ბედისა და თქვენს ქორწილზე მიღებული სიამოვნებისაგან.

ლევანი — მე მხოლოდ მადლობა უნდა გითხრათ, ძვირფასო ლარისა პეტროვნა, რომ თქვენი დასწრებით დაამშვენეთ ჩემი ქორწილი, რომ გულწრფელად გაიზიარეთ თქვენი მეგობრის ბედნიერება. ხვალ მეუღლითურთ კიევს მივემგზავრები და იმედი მაქვს არ განმეორდება უსიამოვნო შემთხვევა... გახსოვთ, როგორ გამაცილეთ კიევიდან?

ლესია — ისეთი შემთხვევები უფრო აკაეებს ადამიანთა მეგობრობას... ძვირფასო ლევან. მე უძველესად გაგაცილებ, მაგრამ ერთი პირობით... კიევში აუცილებლად ჩვენთან გაჩერდებით. თქვენ კარგად იცით, როგორ უყვარხართ ჩემს მშობლებს...

ლევანი — თქვენი სურვილი ჩემთვის კანონია... თქვენს მშობლებს მე ყოველთვის თაყვანს ვცემ. მშვიდობით. უფრო სწორად — ხელამდის. (ლევანი დაემშვიდობება ლესიას, ფალიაშვილს და ვადის).

ლესია — ჰო, ხვალ ისინი გაემგზავრებიან და რამდენიმე დღის შემდეგ კიევის მიწაზე დაღვამენ ფეხს. (ოცნებით) ეხ, ზაქარია პეტროვიჩ, რომ იცოდეთ, როგორ მიზიდავს მშობლიური მხარე, როგორ მენატრება სამშობლოს ცა და მიწა.

ფალიაშვილი — ნაცნობი გრძნობაა სამშობლოზე ოცნება, დარდი და ხატერა მისი ხილვისა.

ლესია — მაგრამ, როცა აქედან მივემგზავრები, ვდარდობ თქვენს ქვეყანაზე, რომელიც ჩემ სამშობლოსავით ძვირფასია... მე სწორედ აქ, დიახ, აქ, საქართველოში — თბილისში, ქუთაისში, ხონში, თელავში შეგქმენი ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები „ქვის მასპინძელი“, „ადვოკატი მარტიანი“, „ტყის სიმღერა“ და მრავალი სხვა. როგორც რუსი პოეტების უმრავლესობამ, მეც აქ ვიპოვე ჩემი პარანსი, ჩემი კასტელის გასაღები... და რაც მთავარია, მე აქ შევიძინე ნამდვილი, კარგი, ერთგული მეგობრები. (შემოდის ვასო)

ვასო — საღამო მშვიდობისა, მშვიდობა და ბედნიერება ამ ოჯახს.

ლესია — (გახარებული) ვასო, ძვირფასო ვასო, საიდან, როდის?

ვასო — მე პავლო მიხაილოვიჩთან ერთად წამოვედი. იგი აქ კიევის კომიტეტმა მოაგვლინა... საქმე იმაშია, რომ ქუთაისის ციხეში ოდესის მეზღვაურები გადმოიყვანეს,

რომლებიც ბათუმში დაპატრონეს პეტრო რუდენკოსთან ერთად... ჩვენ კაცობრივად დავემყაროთ მათთან.

ლესია — კი, მაგრამ თვითონ პავლო მიხაილოვიჩი სად არის?

ვასო — მალე მოვა. მას თქვენთვის მთელი ბოხჩა წერილები აქვს ჩამოტანილი კა-
ვეიდან. კლემენტი ვასილიევიჩი სახლშია?

ლესია — კი, თავის კაბინეტშია.

ვასო — შევალ, ვისაუბრებთ, დიდხანია არ მინახავს. (ვასო გადის. კარებში გამო-
ჩნდება ელჟარდ პავლოვიჩი, მას ხელში ყვავილების თაიგული უჭირავს).

ლესია — (განცვიფრებული) ელჟარდ პავლოვიჩი!

ელჟარდი — სავსებით სწორია. (ლესია ელჟარდს არ ეპატიეება, ელჟარდმა კი არ
იცის როგორ მოიქცეს და რა უყოს თაიგულს).

ლესია — ძლივს გიცანიო... როგორ გამოცვლილხართ, როგორი წარმოსადგეი, რო-
გორი ღარბისეული გამხდარხართ. ჰო, მაპატიეთ, გაიცანით კომპოზიტორი ზაქარია
პეტროვიჩი, ჩვენი კიეველი ნაცნობი ელჟარდ პავლოვიჩი... (მეზობელ ოთახიდან მოის-
მის: „ლარისა.“) ახლავ, კლენია! ბოდიშს ვიხდი, ერთი წუთით დაგტოვებთ. (ლესია
გადის. ელჟარდი საიდუმლოდ მიმართავს ფალიაშვილს).

ელჟარდი — თქვენ ალბათ დიდი ხანია აქა ხართ... მე ჩემს კიეველ მეგობარს პაე-
ლო მიხაილოვიჩ ნოვიჩენკოს ვეძებ, აქ ხომ არ ყოფილა? (შემოდის ლესია)

ლესია — ზაქარია პეტროვიჩი, თქვენ კლემენტი ვასილიევიჩი გთხოვთ.

ფალიაშვილი — (ელჟარდს) მაპატიეთ (გადის).

ლესია — კი, თქვენ ძლიერ გამოიცვალეთ.

ელჟარდი — წლები, წლები, ღრმად პატივცემული ლარისა პეტროვნა... ვბერდებით.

ლესია — სიბერემდე კიდევ ბევრი დროა... ეს, ალბათ...

ელჟარდი — ჰო, თქვენ მართალი ხართ — მიზეზია ბედნიერი ცხოვრებისა, რო-
მელიც თქვენ უარყავით.

ლესია — ბედნიერ ცხოვრებას უარყოფენ მხოლოდ სულელები. ნუთუ თქვენ გვო-
ნიათ, რომ მე...

ელჟარდი — ო, როგორ გეკადრებათ... მე მინდოდა მეტყვა, რომ...

ლესია — უმჯობესია, ნუ გაეჩხენებთ წარსულს.

ელჟარდი — წარსული აწმყოს მშობელია და მე ძლიერ ვწუხვარ, რომ
თქვენ ასეთ მდგომარეობაში ხართ. თქვენ ხომ... თქვენ, დიდი ლესია უკრაინკა თითქ-
მის სილატაკის ტყვეობაში ხართ... მხოლოდ ძალიან გთხოვთ, ნუ უარყოფთ, მე ყვე-
ლაფერი ვიცი...

ლესია — თქვენ მდიდარი ხართ?

ელჟარდი — ჰო... და მე საგანგებოდ ჩამოვედი, რათა ხელი გამოგიწოდოთ... თქვენ
დაღუპეთ თქვენი სიცოცხლე იმის გამო, რომ იგი ეგრეთწოდებულ ხალხს შესწირეთ...
მაგრამ ვინ არიან ის ადამიანები, რომლებსაც თქვენ ხალხს უწოდებთ? მაწანწალები,
ღიახ, წყეული მაწანწალები და განა ღირდა მათ გამო უარი გეთქვათ საკუთარ ბედნი-
ერებაზე? სიამოვნებაზე... და ასე უმოწყალოდ შეგეწირათ ჯანმრთელობა და სულის
სიმშვიდე?

ლესია — თქვენ აქ ჩამობრძანდით იმისათვის, რომ ხელი გამოგიწოდოთ ჯიბით
მდიდარმა და სულით ლატაკმა?

ელჟარდი — მე თქვენთან ყვავილების თაიგულით მოვედი, თქვენ კი...

ლესია — მე ბუნების სასტიკ შეტურაცხოფას ვგრძნობ, როცა თქვენს ხელში ყვა-
ვილებს გხვდავ. (შემოდის ვასო). ძვირფასო ვასო, გთხოვთ გააცილოთ ეს ადამიანი.
იგი პირველადაა ქუთაისში და მეშინია არ დაიბნეს უცხო ქალაქში ასე გვიან. (ლესია

მრისხანედ გადახედავს ედუარდს და გადის. ვასო ჯიბიდან მუნდშტუტს გამოაბოლებს, ედუარდი გაკვირებული უტკერის ვასოს მუნდშტუტს).

ედუარდი — ჩემი მუნდშტუტი.

ვასო — თქვენი? საიდან?

ედუარდი — ზედ ჩემი ინიციალები უნდა იყოს... ეს მუნდშტუტი სპეციალური შეკვეთით გააკეთეს და ამიტომ იგი ერთადერთია. (შემოდის ნოვიჩენკო).

ვასო — (უფრადლებას არ აქცევს ახლად შემოსულ ნოვიჩენკოს) რა საუცხოო შემთხვევაა. ბოლოს და ბოლოს ამ მუნდშტუტმა მონახა თავისი ნამდვილი და კეთილშობილი პატრონი... (მუნდშტუტს გაუწვდის) აჰა, აილე. (მრისხანედ მიიწევს ედუარდი-საკენ) ახლა კი მაპატიე, მაგრამ მე თქვენ ტყავს ვაგაძრობთ, გენაცუალე...

ნოვიჩენკო — შეჩერდი, ხელი არ ახლო... ედუარდ პავლოვიჩ, წავიდეთ აქედან.

ედუარდი — ჰო, ჰო, წავიდეთ... მადლობა ღმერთს, ისევ ჩვენიანი გამომესარჩლა.

ნოვიჩენკო — წავიდეთ, ახლავე წავიდეთ აქედან, ედუარდ პავლოვიჩ! (ნოვიჩენკო და ედუარდი გადიან).

ვასო — ჰო, წადი, ჯანდაბამდის გზა გქონია, გენაცუალე!

ჩ ა მ ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

ეპიზოდ ი მ ე ო ც ე

ქართული აივანი, ლესია სავარძელში წევს, შორს თეთრქუდიანი ყაზბეგი მოჩანს, ახლოს კი — სურამის ციხის ნანგრევები.

ლესია — ხატა და ქოზი, მწვანე კორდები, ნისლში გახვეული ტბა, ოქროს სტებები და ლურჯი ცა... დნებრი, ჩვენი დიდებული დნებრი... უკრაინა, ჩემი უკრაინა. ნუთუ ბედმა აღარ მარგუნა კვლავ ვიხილო სამშობლოს ცა და მიწა? მე დამესიზმრა, თითქმის ქართველებმა ჩემი ნეშტი თავის მიწას მიაბარეს. მე მიყვარს ეს ქვეყანა, საქართველო, წარმტაცი მხარე დედამიწისა... მაგრამ მე მინდა ჩემი სამშობლოს განაწამებმა მიწამ ჩამიხუტოს. ლევან, მე გხედავ შენ... რატომ მიყურებ ასე გაკვირებული? ნუთუ გაეჭვება შენი ლესიას სიტყვები და გრძნობათა გულწრფელობა? მე მიყვარს ჩემი მეორე სამშობლო, საყვარელი საქართველო, სულზე უტკებს! გახსოვს ლევან, ეს იყო დიდი ხნის წინათ, მე შენ გითხარი: უკრაინელი რომ არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი-მეთქი. ვიცი, შენ რომ ახლა ჩემს გვერდით იყო, ასე მეტყვოდი: ძვირფასო ლესია, ჩვენ გვწამს, რომ შენს დიდ გულში პატარა ადგილი როდი გეჟიბრავს. მაგრამ შენ ახლა უსაფუძვლოდ დატვირთულხარ შავი ფიქრებით. გაიღიმე, ძვირფასო ლესია... ხედავ, რა რიგ მშვენიერია, როგორი მზიანი და სიცოცხლით სავსეა ზაფხულის ეს დღე. კი მაგრამ შენ ალბათ არ იცი, რომ ზაფხულის ეს დღე, ჩემი შემოდგომის დღეა, ძვირფასო მეგობარო. კარგა ხანია ბავშვი აღარ ვარ და კარგად ვხედავ, შემოდგომის უღმობელმა ქარმა როგორ დასწყვიტა ყველა ფოთოლი ჩემი სიცოცხლის ხეს. მას ეს მზე ვერც ათბობს და ვერც უნათებს. სიკვდილი მიახლოვდება. ის უკვე აქ არის, თავს დამდგომია და თავისკენ მექაჩება. გამშორდი უღმობელო, რას ჩამჟიღებინხარ, მე ხომ ბოლომდე არ მითქვამს ჩემი სათქმელი. წადი, მომშორდი... ვინ მოვიხმო ჩემი სულის აღმამფთოებლად... რად მიწამღავ ჯერ ისევ ახალგაზრდა სიცოცხლეს... არა, არ წამოგყვები... ჰო, რომც მომკლა, მაინც არ დაგნებდები. შენ შევიძლია წამართვა სიცოცხლე, მაგრამ მე მაინც დავჩრები, მე ისევ ვიცოცხლებ. რა სიწყნარეა... მაგრამ იგი ქარიშხალზე ძლიერია, ვინაიდან იგი იყო დასაბამიდან და იქნება

დასასრულს... ქარიშხალი ხომ სიჩუმის ნაშეირია. დე, იყოს ქარიშხალი! (ელვა და ჭექა-ქუხილი) იქნება ქარიშხალი, გადალევას ყველაფერს უწმინდურს და გაიმარჯვებს სიმართლე დედამიწაზე, ამობრწყინდება თავისუფლების მზე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისათვის უკრაინა, ჩემო საყვარელო უკრაინა! (ელვა და ჭექა-ქუხილი) დე, მე დავიღუპო, ოღონდ ამობრწყინდეს იმედის მზე, სიმართლის შარავანდედი. აჰა, მივდივარ ამ ქვეყნიდან პირზე ღიმილით და სამუდამოდ დავრჩები ამ ქვეყანაზე... მომკალი — არ დავნებდებარ... არა, არა... არ დავნებდები (ლესია კვდება).

ჩ ა მ ო ბ ნ ე ლ დ ე ბ ა

(ქორო. ნადელიანი, მაგრამ ხმამაღალი და ბრძოლის ჟინით აღსავსე. სახლის ირგვლივ დგანან დანადგლიანებული ქართველები და ლესიას ნათესაეები. ჩუმში ქვეითინი იძირება სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ სიმღერაში: „წინ, მეგობრებო! წინ. წინ“ ჩამოხვედნად. თითქოს მიწიდან ამოვიდაო, თანდათან აღიმართება ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში) ლესიას ხმა — მე ცოცხალი ვარ. მე მუდამ ვიცოცხლებ. ჩემს გულში არის ის, რაც არასოდეს არ მოკვდება... უსაზღვრო სიყვარული შენდამი, ჩემო ტყბი-ლო უკრაინა!

დასასრული



პირველი შრომანი

ჩვილო შრომანო, მზე გენატრება,
და სხივებს ელტვი თოვლის სარკეში,
რა ქალწულური ნეტარებაა
მაგ სურნელოვან სისპეტაკეში.

რა ელვარეა პირველი სხივი, —
ტკბილი სიზმარი შვებად გულისა,
ძღვენი ხარ ტუტრფა და ღვთაებრივი
მაცოცხლებელი გაზაფხულისა.

შენ ხარ ქალწულის პირველი ოხვრა,
რომლის მიზეზი თვითონც არ იცის
და ოხვრა იგი ჩვენს გასაოცრად
და მოხეტიალი სიცოცხლით იწვის.

გაზაფხულის წვიმა

ფანჯრის წინ შუქი ჯერ კიდევ ნათობს,
მზე გაგლეჯილი ღრუბლიდან ბრწყინავს,
მზერას ბედურას ცელქობა ართობს,
ტანზე წყალივით რომ ივლებს სილას.

და აი უკვე ციდან ნარნარით
ეშვება ფარდა მიმწუხრისფერი,
თითქოს ეღვრება ოქრო გამდნარი,
ისე ჩანს ფარდის მიღმა ტყისპირი.

ორიოდ წვეთი ჩემს მინას მოხვდა,
ცაცხვები თაფლის აკმევინ სურნელს,
ბაღებს რაღაცა მიუახლოვდა
და ლორთქო ფოთლებს აშარიშურებს.

არ გაოცდე, რომ ვარ შავი —
 მზის აღმუროთ დამწვარი ვარ.
 დარბეული აღვასავით
 უფროს დებზე ნარნარი ვარ.
 მინდვრებს თოვლი აღარ ფარავს,
 გაუვიდა ყავლი ზამთარს.
 შეჭფენია ფერდობს ფარა,
 გუთნისდედა გუთანს მართავს.
 მსურს შემარქვა მთების ვარდი,
 დაჭრილი ხარ ჩემი ეშხით.

გავჩენილვარ, რომ გიყვარდე,
 შემოგიწვე სარეცელსა და მთასა
 გაზაფხული ფშვინავს ლაღად,
 თითქოს გულიც ტოვებს ბუდეც,
 მარჯვენს კოცნით დაგიდაღავ,
 მარცხენათი ჩამიხუტე.
 მოვალ ღამით, როგორც ლანდი,
 რომ ვერ მომკრას თვალი ვინმემ.
 შემომიშვი და დილამდე
 ჩემს უბეში ინებიერე.

* * *

როს გაზაფხულის მეხის გავარდნა
 მკერდაყვავებულ მიწას გადივლის,
 როცა ნახდება ზეცის ლაყვარდი
 მსუბუქი ღრუბლით გადობარდნილი,
 მაშინლა ვხარობ, ამქვეყნიური
 მძიმე კირთებით არ ვიტვირთები,
 მძირავს უძირო სიღრმე ციური
 და მის ელვარე შუქში ვინთქმები.
 ცქერა ვეება ღრუბელთა ჭარის
 მახალისებს და ვერასდროს დამდლის,
 და მიხარია, რომ არაა არის
 ღრუბლებზე უფრო მჩატე და ლაღი.

* * *

მშობლიური მხარის
 სურათს ვუმზერ ღელვით:
 გაბადრული მთვარე,
 თოვლიანი ველი.

ცის ნათელი სვეტი
 თოვლზე თეთრად ელავს
 და მარბილი კენტი
 მისრიალებს ველად.

Ave Maria — ბჟუტავს კანდელი,
ოთხი სტრიქონი — მიეის სათქმელი.

წმინდა ქალწულო, ჯვარცმულის დედავ,
გულს განემსვენა მადლობა შენდა
ცის დედოფალო, შუქად კი არა —
გამომეცხადე ზმანებად წყნარად.

Ave Maria — ბჟუტავს კანდელი.
ჩურჩულით წარვსთქვი ჩემი სათქმელი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



თეა ჯიჯიუშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის კუბლიცისტური წერილები

მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს დიდ ბელეტრისტსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილს. მის შემოქმედებაში მკაფიოდ, დიდი სიყვარულით აისახა ხალხთა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სურათები.

მ. ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ბუჩუქუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობის ეპოქაში, იმ დროს, როცა ბიუროკრატ მოხელეთა რუსიფიკატორულ პოლიტიკას წინ აღუდგა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხი. მაშინ, როცა ჯვარ-მედლებითა და მუნდირით დაბრმავებული, მხარეთმცოდნე წამოწოლილი გაბატონებული კლასის უმრავლესობა ივიწყებდა თავის ქართველობას და მეფის მოხელეთა ნასუ-

ფრალით ლხინობდა, მამვრალი, ერის დედაბურჯი გლეხობა გაწვილებულ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებდა. მწერალი ჩაგრულ ხალხს ემსახურებოდა თავისი ფხიანი კალმით. იგი თანამოქალმეთა გასაგონად აცხადებდა: „რეალიზმი დედახეა მხატვრული ლიტერატურის. იგი მიწაზე სდგას და მიწიდანვე ამოდის. ორივენი ერთმანეთს კვებავენ, ზრდიან და ამაგრებენ.

მოწყვეტას მიწისაგან აუცილებლად მოსდევს ერის სულიერი ძალების მოდუნება და შემოქმედების დაქვეითება. ვისაც მიწის ალო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოერღვა და კუნთებიც მოეშალა... რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალო ბელოვნებისათვის და ხალხისათვისაც უებარი დუღაბია — მათი სულისა და სხეულის გამფო-

ლადებელი“.¹ სწორედ „რეალობის მძლავრი გრძნობით“, მშობელი ხალხის ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობით შექმნა მწერალმა თავისი უკვდავი რომანები და მოთხრობები.

ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი მ. ჯავახიშვილს სწორედ ამ რომანებითა და მოთხრობებით იცნობს, მაგრამ ნაკლებ საინტერესო როდია მწერლის პუბლიცისტური წერილები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამოქვეყნებული წერილები. პუბლიცისტმა სწორად შეაფასა რევოლუციის მარცხით გამოწვეული განწყობილება საზოგადოებისა, სწორად შეიცნო მისი ერთი ნაწილის უიმედობის მიზეზები და შეეცადა რეაქციით დაშინებულ მასებში შეეტანა საბოლოო გამარჯვების რწმენა, ჩაგრულ ხალხს წინ დაუდგა მწარე სინამდვილის სარკე, მასში გააღვივა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინი.

მ. ჯავახიშვილმა დააარსა გაზეთი „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო თვითონ მიხეილი, ადამაშვილის გვარით. გაზეთის მიმართულებაზე ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნეს, მოვიტანთ

ერთ ამონაწერს: „გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხების ინტერესებს. მიწა და თავისუფლებაა მიწა მიწის მუშას! გაზეთი ემსახურება მუშუყობს მშრომელი გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და თავისუფლებასავე დამყარებულ ცხოვრებას“. ამ განცხადებით გამოვიდა მ. ადამაშვილი გაზეთ „შრომაში“ გაზეთ „გლეხის“ გამოსვლის წინათვეს.² თუ გავითვალისწინებთ რეაქციის მძიმე წლებს, ცენზურის სიმკაცრეს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ პრესის ფურცლებზე ასეთი გაბედული განცხადებით გამოსვლა, ერთი მხრივ, საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევდა. მაგრამ მეორე მხრივ, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აყენებდა გაზეთსა და მის რედაქტორს.

გადავხედოთ თვით გაზეთს. მის ფურცლებზე დაიბეჭდა ვილჰელმ ლიბკნეხტის იგავი „ობობა და მწერი“. საყურადღებოა მთარგმნელის განმარტება: „ბუზი, რომელსაც სწოვენ და მერე ჰკლავენ,

1 მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, 1964, გვ. 291.

2 იბეჭდებოდა გაზ. „შრომის“ 78-95 ნომრებში.

ვისი სისხლითაც ობობები სძლებიან, — ეგ თქვენა ხართ ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკნი! ეგ ბუზი შენა ხარ, დაჩაგრულო ხალხო, თქვენა, ქარხანა-ფაბრიკის მუშებო, თქვენ, ფრთხალო ქალეზო... ყველა, ვისაც თავისი სიმართლე ვერ გაუტანია, თქვენ, სალდათობის უბედურო მსხვერპლნი, ერთის სიტყვით, ყველა თქვენ, გაქურდულნი და გაყვლეფილნი, ვისაც კარში გყრიან. რაკი გამოსაწოვნი სისხლი ძარღვებში ადარ გიდგიათ“.³

პუბლიცისტი როდი კმაყოფილდება გლეხთა გამოფხიზლებისა და მძიმე ყოფის ჩვენებით. იგი მათ საბრძოლველად აღანთებს: „დასუსტებულებმა შევეერთოთ ჩვენი ძალნი, რომ გავარღვიოთ გარს შემოხვეული ქსელი და დავლევწოთ ბორკილი. განვდევნოთ ჩვენი სისხლის მწოველნი მათი სიმაგრეებიდან, მოვფინოთ ყველგან ცოდნის ნათელი, რომ საზიზღარმა მტარვალმა ვეღარ ჩაიდინოს თავისი ბოროტი საქმე. ოღონდ თქვენ მოინდომოთ... უძლეველნი გახდებით! მართალია ობობები ჯერ კიდევ ძლიერნი არიან, მაგრამ რიცხვით ძალიან ცოტანი. თქვენ კი... თუმცა ცალ-ცალკე უღონონი და უძლურნი ხართ, მაგრამ რიცხვით უთვალავნი და კიდევ ეგ არის თქვენი ძალა, თქვენა ხართ სიცოცხლე და ნათელი! ოღონდ შეერთდით და

თქვენის ფრთების ერთის შემოქნევით გაარღვევთ ყველა მანქანა, ნაკუწ-ნაკუწად აქცევთ ჩომელსაც თქვენი ხელ-ფეხებით უკრავს და გაჭირვების და შიმშილის მორევში ჩაუთრევინებთ“.⁴ პუბლიცისტი შეუნიშნავი არ დარჩენია გლეხთა ინდივიდუალური გამოსვლები, მაგრამ კარგად იცოდა, რომ „ძალა ერთობაშია“. ამიტომაც შეიარაღებული, შეერთებული მოქმედებისაკენ მოუწოდებდა ჩაგრულებს.

მ. ჯავახიშვილს ვერ აშინებდა არეაქციული ძალების შემოტევა. იგი გაბედულად ამხელდა, რომ გლეხს არა აქვს პური, არა აქვს თესლი, არა აქვს საჭმელი და სასმელი, გლეხი მშვიერია, ავად არის. გლეხობა კანონიერად მოითხოვდა მიწას, მაგრამ გაბატონებული კლასი ირონიულად უპასუხებდა. „თუ გლეხს მიწა აკლია, ციმბირში გადავასახლოთ და იქ იმოდენა მიწა მივცეთ, რამოდენიც მას სურდესო“.

მ. ჯავახიშვილს მარტო ქართველი გლეხის ბედი როდი აწუხებდა. იგი იალტაში სწავლის პერიოდში ახლოს გაეცნო უბრალო რუსი კაცის ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამით საგსე დღეებს და დარწმუნდა, რომ „რუსი და ქართველი გლეხი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება, ორივენი ერთ უღელში არიან შეხმულნი, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავ-

³ მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, 1964, გვ. 138.

⁴ მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, 1964, გვ. 141.

რობისგან, მემამულეებისგან, პო-
ლიციისგან და ყაზახ რუსები-
სგან“. სწორედ ამ მსგავსებამ,
მძიმე ხვედრმა შეაყვარა მწერალს
უზბეკი, გამრჯე, პატიოსანი რუ-
სი გლეხი.

ამავე დროს იგი პირუთვნელად
ამხელს ცარიზმს, მის გაუმაძღრო-
ბას: „ჩვენი მეფე არის ყველაზე
მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე.
მარტო იმას და მის ოციოდე ნა-
თესავს მთელ რუსეთში აქვთ სა-
მოცი მილიონი დესეტინა მიწა,
ესე იგი, ათჯერ მეტი მთელ საქარ-
თველოზე“.⁵ სტატიის ავტორი ამ-
ხელს სამეფო კარის მუქთახორო-
ბას, გახრწნილებას, ბიუროკრა-
ტიული აპარატის თვითნებობას,
რაც მეფისათვის უცხო არ არის.
აი, რას წერს მ. ჯავახიშვილი
„გლეხის“ პირველ ნომერში:
„...რასაც მთავრობა სჩადის, მე-
ფის თანხმობით ხდება, განა მე-
ფემ არ იცის, რომ მთავრობა ხა-
ლხის ფულს ფლანგავს? განა მე-
ფემ არ იცის, რომ მთავრობა ხა-
ლხს უზომოდ სტანჯავს, იკლებს
აწიოკებს და აოხრებს? როგორ
არ იცის! მერე რას ამბობს, რას
შვრება? — აჯილდოვებს, აქებს
და თავზე ხელს უსვამს ამ მთავ-
რობას“.⁶ გაოცებას იწვევს რეაქ-
ციის მძიმე პერიოდში მწერლის
ასეთი აშკარა მამხილებელი გამო-
სვლა, ამგვარი გაბედულება.

პუბლიცისტი სამარცხვინო ბოქ-

5 მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6,
1964, გვ. 124.

6 იქვე, გვ. 125.

ზე აკრავდა სასულიერო წოდებას:
„ჩვენი მღვდლები, ეპისკოპოსები
და ყველანი, ვინც ანათროს ატ-
რებენ, მთავრობის ყურმოჭრილი
მონები არიან. ამათზე ორპირი,
ორგული, გამყიდველი, ცრუ და
მატყუარა ხალხი ჯერ ქვეყანაზე
არ გაჩენილა“.⁷ ასე წერდა მ. ჯა-
ვახიშვილი 1906 წელს, როცა დი-
დი იყო ეკლესიის ძალა სახელმ-
წიფოში და მისი გავლენა მოსახ-
ლეობაში.

ექსპლოატაციის საშინელი სუ-
რათების დახატვით როდი კმაყო-
ფილდება მწერალი. იგი მუშებსა
და გლეხებს შთაავგონებს მოძრაო-
ბის, მოქმედების საჭიროებას,
უკეთესი ხვალისდელი დღისთვის
ბრძოლას. მას მნიშვნელოვან ფა-
ქტორად მიაჩნია ხალხთა განათ-
ლება, გათვითცნობიერება. „განა-
თლება რომ მივიღოთ, — წერს
იგი გაზეთ „გლეხის“ 1906 წლის
პირველ ნომერში, — თვალები
რომ ავიხილოთ და ყურები გამო-
ვიჩიქნოთ, ხელი ხელს მივცეთ,
პირს შეგვკრავთ და ვიტყვი „კმა-
რა მონობა“, გვეყო ამდენი ტანჯ-
ვა და წვალება, გვეყო ამდენი
უსამართლობა და ცარცვა-გლეჯა.
დღეის იქით არც ღალას მოგცემთ,
არც ფოსტის ფულს, არც ღრამას,
არც გზირს შეგინახავთ, არც მამა-
სახლისს, არც მღვდელს. ყველა
ჩვენ გვიბრძანებს, გვიყვირის,
გვლანძღავს, გვაფუროთხებს“.⁸

7 იქვე, გვ. 126.

8 ვაჟ. „გლეხი“, № 1, 1906.

მ. ჯავახიშვილი გლეხთა შორის აღვივებდა ეროვნული თვითგამორკვევის გრძნობას: ბურჟუაზია და ბიუროკრატიული აპარატი, მემამულეები და ეკლესია სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ჰყოლოდათ გონებადანისლული, მორჩილი მრევლი, რაც შეეხება სახელმწიფო აპარატს, მისი უმთავრესი საზრუნავი იყო შეიარაღება. „ამჟამად ყველა სახელმწიფოები თავიდან ფეხებამდის იარაღში სხედან. დიდი სახელმწიფოები ყველაზე მეტს ხარჯავენ... ამოდენა ფული რომ თოფებისა და ზარბაზნების გაკეთების მაგივრად ხალხის სწავლაზე და განათლებაზე დაეხარჯათ, დღეს ასეთი სიბნელე, გაუნათლებლობა, სილატაკე და უსამართლობა აღარ იქნებოდა“. მძიმე პოლიტიკური დაძაბულობის, ეროვნული გადაგვარების საშიშროების, მეფის მოხელეთა მძიმე უღელქვეშ ყოფნის პერიოდში სამშობლოს თავისუფლების ტრფიალი საზოგადო მოღვაწე წერდა: „ან სირცხვილი, ან უღელში შებმა, ან სიკვდილი, ან გამარჯვება! ან მუდმივი მონობა, ან მიწა და თავისუფლება, ან ვაჟკაცური ბრძოლა და სახელის მოხვეჭა, სხვა გზა არ არის... ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, საიდგანდაც ჰახა-ჰუხი ისმის და აღმოსავლეთი ცეცხლისფრად შეიღება.

საცაა მზე უნდა ამოვიდეს“.⁹

მ. ჯავახიშვილი მუდამ იმედიან-

ნი თვალთ უყურებდა მომავალს, სჯეროდა, რომ ამომავალი მზესული კეთესა და ბედნიერებას მოუტანდა და ხალხს. განა ადვილი იყო, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა სახრჩობელებით, ტყვიით, მათრახით, ციმბირით უმასპინძლებოდნენ ხალხს, კაცს რევოლუციის სიკეთეზე, ნათელ მომავალზე ეფიქრა და ნაფიქრი და ნაზრევი ასე საჯაროდ ეთქვა.

მწერალი მარტო გლეხის ბედით არ ინტერესდებოდა. მისი ყურადღების ცენტრში იყო მუშაც. მან ხომ ალავერდის ქარხანაში მუშაობისას საკუთარი თვალთ ნახა მუშათა მძიმე ყოფა: „დღეში 10-12 საათს ვმუშაობთ, ფეხთ ჩვენ არ გვაცხია, ქუდი ჩვენ არ გვახუთავს, ტანისამოსი არა გვაქვს. მთელი წლის განმავლობაში ერთი გოჯის სისქე ტალახი გვაცხია, ტანს ვერ ვიბანთ, რადგან ამ ოხერ მაღაროებში წელიწადში მხოლოდ დღენახევარი გვაქვს დასვენება“.¹⁰ ან კიდევ: „მუშების დიდი უმრავლესობა ცოცხალ-მკვდრებსა და სულთმობრძავებს მოგვაგონებდა: ყველა საშინლად გამხდარი, ორად წელში მოხრილი. მთელ ტანში მოშლილი და დაბეჩავებული იყო. ლურჯ და ყვითელ ტალახში ამოვლებული ძონძები ვერა ჰფარავდა იმავე ფერის ტალახით შეგლეხილ, შეთხუზულ ტანს. ფეხებს ძლივს მიათრევენ. ყველა მაღაროში მომუშავეს ერთი განსაკუთრებული

⁹ მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 135-136.

¹⁰ მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 29.

დალი ესვა: თვალეზი ღრმად ჩამძვრალი, მოელვარე და ჩასისხლიანებული ჰქონდა, რის გამოც მომუშავე ავადმყოფს ჰგავდა.¹¹ სწორედ ასეთი მძიმე მდგომარეობა აღელვებდა მოწინავე ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილს. მ. ჯავახიშვილი მარტო არ ყოფილა გაზეთ „გლეხში“. მასთან ერთად იღვწოდნენ და რევოლუციის მარცხით დაშინებულ ხალხს ამხნევებდნენ, იმედის ნაპერწკალს უღვივებდნენ იროდიონ ევდოშვილი, შიო არაგვისპირელი, დავით თომაშვილი, დუტუ მეგრელი და სხვ. გაზეთის მოწინავე კი მუდამ რედაქტორ-გამომცემლის მ. ადამაშვილის ხელიდან გამოდიოდა. „გლეხის“ მეექვსე ნომრის მოწინავეში ვკითხულობთ: „მუშა ხალხი (გლეხობა და ქალაქის მუშები) გაყვლეფილია იმიტომ, რომ მდიდრებს ხელში ჩაუგდიათ მიწა, მადნები, ფაბრიკა-ქარხნები, ხელში ჩაუგდიათ საწარმოო იარაღები. მაშასადამე, რომ მოვსპოთ ეს გაყვლეფა, უნდა ჩამოვართვათ მდიდრებს საწარმოო იარაღები და გადავცეთ მუშა ხალხს; რაც კი საწარმოო იარაღია, იქნება ეს მიწა, მადნები, ქარხანა, ფაბრიკა, რკინიგზები თუ სხვა — უნდა იყოს საზოგადო და ყველა მუშა უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა შეეძლოს თავისუფლად მუშაობა და მისი შრომის ნაყოფი უნდა იყოს მთლად მისი“. ავტორი მარქსის-

ტული პოზიციიდან აშუქებს კითხვას, პოლიტიკურ თვალსაზრისით უფართოებს მკითხველს, აძლევს და უკეთესი მომავლისათვის ამზადებს.

გაზეთი „გლეხი“ ატარებს იმ აზრს, რომ ადამიანმა უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის, მაგრამ აქ კი არ უნდა დაესვათ წერტილი: „ადამიანებს მანამდე არ ეღირსება ტყბილი და მოსვენებული ცხოვრება, სანამ დედამიწაზე არ დამყარდება ჭეშმარიტი ერთობა, სოციალიზმი“.

პუბლიცისტი მთელი ხალხის სახელით აყენებდა მოთხოვნას: „ჩვენ გვინდა, რომ ყველგან მოიხსნას სამხედრო წესები, აიხსნას ეგზეკუციები, სოფლებიდან გაიყვანოთ სალდათები და კაზაკები, მოგვაშოროთ თავიდან გენერალ-გუბერნატორები და მოვასვენოთ ისედაც დატანჯული და ჯვარცმული ხალხი. გვინდა, რომ კანონის წინ ყველა თანასწორი იყოს რუსიც და თათარიც, ქართველიც და სომეხიც, ოსიც და ებრაელიც, ლარიზიც და მდიდარიც, გლეხიც და თავადიც, მღვდელიც და აზნაურიც, ჩვენ გვინდა, რომ კაცის ჩამოხრჩობა და დახვრეტა აღარ იყოს. ჩვენ გვინდა, რომ მონასტრებს, ეკლესიას და ხელმწიფის ნათესავენს მამული ჩამოერთვას და გლეხებს დაურიგდეს... გვინდა ყველა ხალხს ნება ჰქონდეს თავის ენაზე ილაპარაკოს“.¹²

11 მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 121.

12 მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 121.

მძვინვარე რეაქციის პერიოდში მ. ჯავახიშვილს, ცხადია, არავინ აპატიებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ასეთ მძაფრ გამოსვლებს. გაზეთი დახურეს, რედაქტორი იძულებული გახდა სხვისი პასპორტით საზღვარგარეთ მიმალულიყო.

მ. ჯავახიშვილს მშობლიური მიწა-წყლის მიტოვებას სიკვდილი ერჩია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. თავის უბის წიგნაკში ერთხელ კიდეც ჩაუწერია: „რომ მკითხონ, სიკვდილით დასჯა გირჩევნია თუ სამშობლოდან გაძევებაო, ისევ პირველს ავირჩევდი“. სამწუხაროდ, ხალხის მოჭირნახულე მწერალს ხშირად უხდებოდა მშობლიური მიწა-წყლისაგან მოწყვეტა. მოიარა შვეიცარია, იტალია, ჩრდილოეთ აფრიკა, ინგლისი, ბელგია, გერმანია, თურქეთი, მაგრამ მას მაინც სამშობლოს ცადაზიდული მთები და ზურმუხტი ჭალები ედგა თვალწინ. დ. კასრაძის გადმოცემით, მწერალს უთქვამს: ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება ჩვენს მყინვარწყვებს და ვერც ცივ გომბორსო.¹³

საზღვარგარეთ მ. ჯავახიშვილის მოგზაურობა, ცხადია, არ იყო სვებედნიერი კაცის მოგზაურობა, იგი ხომ სამშობლოდან დევნილი იყო, მაგრამ ამ მოგზაურობას, ბევრის ნახვას, გაცნობას ტყუილად არ ჩაუვლია. „მის ნაწერებში ცხოვრება

და შემოქმედება ორგანულად გადაქცეოდა ერთმანეთს, ერთმანეთს გრძელი ჯაჭვის რგოლები“.¹⁴

საყვარელ საქმეს მწერალი დაუბრუნდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. აი რას ამბობს იგი: „განსაკუთრებული მადლიერი ოქტომბრისა პირადად მე უნდა ვიყო. მწერლობა 1903 წელს დავიწყე. 1908 წელს შევწყვიტე და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავუბრუნდი მას, იგი ერთადერთ ხელობად გავიხადე. უკანასკნელ თორმეტ წელიწადში ოცჯერ მეტი დავწერე, ვიდრე პირველ ხუთ წელიწადში“.¹⁵


ოქტომბრის შემდეგ მწერალმა მთელი თავისი ყურადღება პროზაში გადაიტანა. მართებულად აღნიშნავს ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი ტ. კვანჭილაშვილი, რომ „ადრინდელი პუბლიცისტიკა თავისი შინაარსით, გეზით, შემართებით და რევოლუციური სულისკვეთებით არის ისეთი, რომელიც განსაზღვრავს მწერლის მსოფლმხედველობას და ამის საფუძველზე კვებავს მისი მხატვრული შემოქმედების დიდ ნაწილს, თემატურადაც და იდეურადაც განსაზღვრავს მ. ჯავახიშვილის მხატვრული პროზის მიმართულებასაც“.¹⁶

14 გ. კიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. 3, 1959, გვ. 275.

15 მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზ., ტ. 6, გვ. 460.

16 ტ. კვანჭილაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 127.

13 დ. კასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 180.




სამშობლოზე ფიქრი, ხალხის
კეთილდღეობისათვის ზრუნვა უდ-
ევს საფუძვლად მ. ჯავახიშვილის
შემოქმედებას. ახალი, ბედნიერი
ცხოვრებით კმაყოფილ მწერალს
თავისი შვილის, პატარა ქეთევან-
ის ალბომში აი რა ჩაუწერია:
„ყველაფერი რაც გაქვს და გექნე-
ბა, შენი სიცოცხლეც კი — შენს
მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი
მუდმივი მოვალე და განუყრელი
შვილი... ისე იცხოვრე ვითომ ამ
ქვეყნად არც მოვალე გყოლია და
არც მშველელი. გზის გაკვლევა და
გამარჯვება შეიძლება მხოლოდ პა-
ტიოსნებით. ზარმაცობა, ცუდლუ-

ტობა, სიცრუე და სიყალბე ად-
მიანს ადრე თუ გვიან უგზავნის
დაღუპავენ... ბოლოს და ბოლოს
ყველაფერს სჯობია სამი რამ: პი-
რველი — შრომა, მეორე — შრო-
მა და მესამე — კიდევ შრომა“.¹⁷

დიდი ჯათისა და ნიჭის ნაყოფია
მიხეილ ჯავახიშვილის მთელი შე-
მოქმედება, რომელშიც მნიშვნე-
ლოვანი ადგილი უჭირავს პუბლი-
ცისტიკას.

17 ქ. ჯავახიშვილი, მამის დარიგება,
გაზ. „კომუნისტი“, 13 იანვარი, 1962.





პარენე მუხიბაია

საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საბოლოო კრახი

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელს ქვეყანაში. განაპირა მხარეებშიც გაჩაღდა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობას და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას აღფრთოვანებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები. ქალაქებსა და სოფლებში გამართული მიტინგები მისალმების დეპეშებს უგზავნიდნენ პეტროგრადის პროლეტარიატს და რევოლუციურ გარნიზონს. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში, რაც მთელი რიგი მიზეზების გამო 1921 წლის თებერვალ-მარტამდე გაგრძელდა.

ქართველმა მენშევიკებმა მოახერხეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მისი ერთხანს შენარჩუნება.

ქართველ მენშევიკებს მშრომელთა უმრავლესობა არ უჭერდა მხარს. ამას თავიდანვე გრძნობდნენ ისინი და ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნებას გადამითელი იმპერიალისტების დახმარებით ცდილობდნენ. 1918 წელს საქართველოს მენშევიკური მთავრობის სასურველი სტუმრები იყვნენ გერმანელი და თურქი იმპერიალისტები, ხოლო შემდეგ — ანტანტის იმპერიალისტები. ისინი აქ თითქმის სამი წლის განმავლობაში თავს არხეინად გრძნობდნენ. ქვეყნის სიმდიდრე საზღვარგარეთ მიდიოდა, მაგრამ ხალხში ნდობა დაკარგულ მენშევიკებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, სხვანაირად ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებდნენ. ამიტომ საქართვე-

ლოს მენშევიკური მთავრობის მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა თავიდანვე იყო ანტიეროვნული, ანტიხალხური.

ქართველი მენშევიკები ზიზღით უყურებდნენ საბჭოთა რუსეთს და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველნაირად ეხმარებოდნენ საერთაშორისო იმპერიოლიზმს და რუსეთის კონტრრევოლუციას, უხვად უგზავნიდნენ სათბობს, საომარ მასალას. ცოცხალ ძალას და სხვა. მაგრამ წითელი არმიის მიერ ანტანტის მეორე ლაშქრობის განადგურებამ და დენიკინის არმიის ლიკვიდაციამ ქართველი მენშევიკები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საქმე კიდევ უფრო გამწვავდა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. მენშევიკები იძულებული გახდნენ ზავი დაედოთ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან.

1920 წლის შვიდ მაისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება იკისრა საქართველოს ტერიტორიიდან გაქცევებინა უცხოეთის ჯარები და თეთრგვარდიელთა ნაშთები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ შემოეშვა უცხოური სამხედრო შენაერთები და საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი კონტრრევოლუციური ჯგუფები — წითელი არმიის მიერ დევნილი ჯარისკაცები, ოფიცრები და გენერლები. ხელშეკრულების მეო-

რე დიდმნიშვნელოვან პირობას წარმოადგენდა კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაცია პირობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. ციხეებიდან განთავისუფლდა 900-მდე კომუნისტი. დაიწყო დარბეული კომუნისტური ორგანიზაციების აღდგენა, ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წესრიგში მოყვანა, გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთები „კომუნისტი“, „ახალი კომუნისტი“, „კომუნისტ გრუზი“ და სხვ.

ამრიგად, შვიდი მაისის ხელშეკრულებამ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, დადებითი როლი ითამაშა.

მაგრამ კომუნისტური ორგანიზაციების განმტკიცებასა და მშრომელ მასებში მათი ავტორიტეტის სწრაფ ზრდას მენშევიკები ვერ შეურიგდნენ. კომუნისტების მიმართ რეპრესიები კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა. დაიწყო პარტიული მუშაკების მასობრივი დაპატიმრება, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკების გასახლება საქართველოს ფარგლებიდან.

რეპრესიების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდნენ სასოფლო პარტიული ორგანიზაციები. ბევრი მათგანი სრულიად განადგურდა. რაც შეეხება საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებს, არსე-

ბობდნენ მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სამტრედიასა და ბათუმში. შედარებით ძლიერი იყო თბილისის ორგანიზაცია. ქუთაისის ორგანიზაციაში მხოლოდ 200-მდე წევრი ღარჩა, ფოთში — 400, ბათუმში — 150.¹

მკაცრი ხასიათი მიიღო კომუნისტების დევნამ. 1920 წლის პირველ ივლისს საგანგებო რაზმის აგენტებმა დააპატიმრეს ახალი სენაკის სამაზრო კომიტეტის მთელი შემადგენლობა და პასუხისმგებელი ორგანიზატორები — 21 კაცი. იმავე დღეს დალუქეს პარტიული ბიუროები ახალ სენაკში, ძველ სენაკში, აბაშაში, ნოქალაქევი, ბანძაში, მარტვილში, სალხინოსა და სხვა სოფლებში.² ექვს ივლისს დააპატიმრეს ქუთაისის საგუბერნიო³ და ვაგრის რაიონული კომიტეტების მთელი შემადგენლობა.⁴

რვა ივლისს მენშევიკებმა გაჩხრიკეს რსფსრ საელჩო თბილისში და დააპატიმრეს საელჩოს თანამშრომლები.⁵

კომუნისტების მიმართ რეპრესია მთელ საქართველოში გავრცელდა. 1920 წლის შეიქ ივლისს საგანგებო რაზმელებმა

დააპატიმრეს ფოთის საქალაქო კომიტეტის მთელი შემადგენლობა — შეიქი კაცი.⁶ შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის განკარგულებით 17 ივლისს დახურეს გაზეთები „საქართველოს კომუნისტი“ და „კომუნისტი“. რედაქციის თანამშრომლები დააპატიმრეს. სტამბა დალუქეს.⁷

შავი დღე დაუდგა ჭიათურის კომუნისტურ ორგანიზაციას. 23 ივლისს საგანგებო რაზმის აგენტები თავს დაესხნენ რაიონულ კომიტეტს, დაარბიეს იგი და დააპატიმრეს ექვსი ხელმძღვანელი. ამის შემდეგ რეპრესიამ სოფლებში გადაინაცვლა.⁸ მეორე დღეს საგანგებო რაზმელებმა დაარბიეს ბორჩალოს მაზრის კომუნისტური ორგანიზაციები და დააპატიმრეს ათობით პარტიული მუშაკი.⁹

შემდგომ თვეებში რეპრესიები კიდევ მეტი სისასტიკით გრძელდებოდა თბილისში. 25 აგვისტოს საგანგებო რაზმელები თავს დაესხნენ საქართველოს კომკავშირის პირველ ლეგალურ ყრილობას და ჩაშალეს მისი მუშაობა, ხოლო მეორე დღეს დააპატიმრეს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ბორის ძნელაძე და დაუყოვნებლივ გააძევეს საქართველოს ფარგლებიდან.¹⁰

1 გაზ. „უიზნ ნაციონალნოსტი“, № 34 (91), 1920 წ.

2 გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 1, 1920 წ.

3 გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 20, 1920 წ.

4 გაზ. „ერთობა“, № 151, 1920 წ.

5 გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 20, 1920 წ.

6 გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 24-25, 1920 წ.

7 გაზ. „ერთობა“, № 161, 1920 წ.

8 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 7, 19, 1920 წ.

9 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 8, 1920 წ.

10 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 20, 29, 30, 1920 წ.

1920 წლის სექტემბერში კომუნისტების დაპატიმრებას კვლავ მასიური ხასიათი ჰქონდა. პირველ სექტემბერს საქართველოდან გააძევეს 10 კომუნისტი, იმავე დღეს თბილისში დააპატიმრეს „რუს-სოვეტის“ ბინიდან გამოსული 16 კომუნისტი.¹¹ 10 სექტემბერს ადგილობრივი ადმინისტრაცია თავს დაესხა გურიის ბოლშევიკური კომიტეტის ლეგალურ სხდომას და დააპატიმრა კომიტეტის შემადგენლობა.¹² მთელი თვის მანძილზე კომუნისტების დევნა არ შეწყვეტილა. საქართველოს საგუბერნიო და სამაზრო ციხეები პატიმარი კომუნისტებით გაივსო. კომუნისტების დევნა-დაპატიმრება სრულიად უსაფუძვლო იყო და მათ საქმეს არავინ იხილავდა. მენშევიკების ასეთმა თვითნებობამ მშრომელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. პატიმრებმა შიმშილი გამოაცხადეს და ბრალდებათა წაყენება და საქმის განხილვა მოითხოვეს.¹³

კომუნისტური ორგანიზაციების რბევა-აწიოკება და დაპატიმრებანი შემდგომ თვეებშიც მთელი სიმკაცრით გრძელდებოდა, მაგრამ 1920 წლის დეკემბერი მაინც რეპრესიების კულმინა-

ციურ წერტილს წარმოადგენდა. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ მკვეთრად აჩვენა, რესა ქართველი მენშევიკების ისედაც მძიმე მდგომარეობა. მენშევიკური საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა. მენშევიკური დიქტატურა სულს დაფავდა. ამიტომ ქართველი მენშევიკების გაცოფებამ და კომუნისტების დევნამ ზენიტს მიაღწია, განსაკუთრებით თბილისში. 17 დეკემბერს მენშევიკებმა დალუქეს თბილისის კომიტეტის ბინა, აგრეთვე თბილისის მეორე, მესამე და მეოთხე რაიონების კომუჯრედების ბინები და ბიბლიოთეკები.¹⁴

საგანგებო რაზმელები დათარეშობდნენ საქართველოს რაიონებსა და სოფლებში. აპატიმრებდნენ არამარტო კომუნისტებს, არამედ ექვმიტანილ უპარტიო მუშებსა და გლეხებს, ინტელიგენტებსა და თვით მენშევიკური პარტიის წევრებსაც კი. ეს იყო ისტორიულად განწირულ ადამიანთა უკანასკნელი გაბრძოლება. საქართველოს კომუნისტური პარტია სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კომუნისტები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით კვლავ განაგრძობდნენ ლეგალურ მუშაობას და დაუღალავად ამხი-

11 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 37, 1920 წ.

12 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 43, 1920 წ.

13 იქვე.

14 გაზ. „კომუნისტ გრუზიი“, № 50, 1920 წ.

ლებდნენ მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას.

სახელმწიფო ხელისუფლებას სათავეში რომ ჩაუდგნენ, ქართველი მენშევიკები მყვირალა დაპირებებით ქვეყანას აყრუებდნენ. მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, რომ მათ სიტყვასა და საქმეს შორის ღრმა უფსკრული იყო, მენშევიკური მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვისა და მშრომელი მასების გაღატაკების პოლიტიკა იყო.

1920 წლის მეორე ნახევარში მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ერთ-ერთ მოხსენებაში შრომის მინისტრის მოადგილე მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს სწერდა: მუშის წინაშე დადგა მარტივი დილემა — რით უფრო მალე დაიღუპოს, შიმშილით თუ სიცივით?¹⁵

ანტიხალხურმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ძირი გამოუთხარა სახალხო მეურნეობას. დაეცა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. მარტო ბათუმში უმუშევართა რიცხვმა 5.500 მიაღწია. განსაკუთრებით დაეცა სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც საექსპორტო პროდუქტებს იძლეოდნენ — მევენახეობა, მე-

თამბაქოეობა და მეაბრეშუმეობა. ამის გამო მკვეთრად დაეცა მოსახლეობის გადახდისუნარიანობა. ამ გარემოებამ თავის მხრივ საფრთხეში ჩააგდო სახელმწიფო საღარო. ის ხომ გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლით სულდგმულობდა. მოიშალა სახელმწიფო ბიუჯეტი. ეკონომიური კატასტროფა „მენშევიკურ სამოთხეს“ კარზე მიადგა. ამას მენშევიკებიც ვერ ძალავდნენ. 1920 წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ ეკონომიურ თათბირზე ნ. ჟორდანიამ აშკარად განაცხადა: ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამბობდით, ეკონომიურის მხრივ კატასტროფისაკენ მივისწრაფითო, მაგრამ დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწარედ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივიღივართ კატასტროფისაკენ, არამედ უკვე მივედით იქამდე.¹⁶

მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურმა ეკონომიურმა პოლიტიკამ მშრომელ მასებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებდნენ მენშევიკური პარტიის წევრი მუშებიც. ერთ-ერთი მუშა მენშევიკი გაზეთ „ახალი სხივის“ რედაქციას ეკითხებოდა: თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენი პარტია გადაიქცა ამჟამინდელის პარტიად. თქვენ ხომ ხედავთ, რომ ყველა კარიერისტი ამ პარ-

15 კ. ჩარკვიანი, ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ. 1962, გვ. 54-55.

16 გაზ. „ერთობა“, № 235, 1920 წ.

ტიას ეტანება... მუშათა კლასი
ხომ დრტვინავს დღევანდელ პი-
რობებში.

თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშ
რას უტყდით, რატომ არ ებრძვით
ამ უსამართლობას?¹⁷

ერთი სიტყვით, ეკონომიურმა
კრიზისმა საქართველოში 1920
წლის დამლევსა და 1921 წლის
დამდეგს უკიდურეს ზღვარს
მიადწია. მუშა-მოსამსახურეთა
ცხოვრების დონე მკვეთრად დაე-
ცა. მთავრობის სახელზე ყოველ-
დღე ასობით დეპეშა იგზავნებო-
და საქართველოს ქალაქებიდან
და რაიონებიდან. მშრომელები
მტკიცედ მოითხოვდნენ ცხოვრე-
ბის პირობების გაუმჯობესებას.
მოსახლეობა იმუქრებოდა, რომ
წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ
მიიღებდა გადამწყვეტ ზომებს.¹⁸

მენშევიკური მთავრობის ანტი-
ხალხური ეკონომიური პოლი-
ტიკის შედეგად დაიმშა ჯარიც.
სამხედრო მინისტრის ძალაუნე-
ბური აღიარებით მძიმე მდგომა-
რეობის გამო სამხედრო სამსახუ-
რისათვის თავის დანებება „იმდე-
ნად გახშირდა, რომ იგი სერიო-
ზულ საშიშროებას წარმოადგენს;
შესაძლებელია ჯარს სრულიად
ჩამოშორდეს მისი საუკეთესო
შემადგენლობა“.¹⁹

ქართველ მენშევიკებს კაპი-
ტალისტურ სახელმწიფოთა სეს-
ხების იმედი ჰქონდათ, ერმანდამი
იმედი იმედად დარჩა და დემონს-
კაბალურ ხელშეკრულებებს მენ-
შევიკურმა მთავრობამ იტალიის
კაპიტალისტებს გადასცა ქვანახ-
შირი და ტყე, ინგლისელებს —
რკინიგზები და მარგანეცი, ფრან-
გებს — აბრეშუმსახვევი ფაბრი-
კები და ა. შ.

მოსახლეობის მდგომარეობა
სულ უფრო უარესდებოდა. 1921
წლის იანვარში ბათუმის ოლქის
საგანგებო რწმუნებულს საქარ-
თველოს მთავრობის თავმჯდომარი-
სათვის შეუტყობინებია, ორი
თვეა ადმინისტრაციას ხელფასი
არ მიუღია, რაც ათასგვარ ბო-
როტმოქმედებას იწვევსო. დაწ-
ყობილი საქმე ინგრევა, ჩემს გან-
კარგულებაში ერთი გროშიც კი
არაა, ასეთ ვითარებაში პასუხის-
მგებლობას ვერ ვიკისრებ, უფუ-
ლოდ მმართველობა ჯერ არსად
გაგონილაო.²⁰

მენშევიკური საქართველოს
კატასტროფული მდგომარეობის
მიზეზები ზუსტად განსაზღვრა
ი. ბ. სტალინმა: „საქართველოს
კატასტროფული სამეურნეო და
სასურსათო მდგომარეობა ფაქ-
ტია, — ამბობდა იგი „პრავდის“
თანამშრომელთან საუბარში, —
რასაც ახლანდელი საქართველოს
მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ან-
ტანტის ბადეში გახვეული საქარ-

17 გაზ. „ახალი სხივი“, № 2, 1920 წ.

18 საქ. სსრ ორცსა, ფ. 48, ს. 191,
ფურც. 6-25.

19 იქვე, ფურც. 54.

20 საქ. ორცსა, ფ. 48, ს. 142, ფ. 60.

თველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს იოვლის“. ²¹

თვით დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთი ნაწილი პროტესტს აცხადებდა მთავრობის ავანტიურისტული საგარეო და საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ. დეპუტატმა შენგელაიამ თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მთავრობის გადადგომა და ახალი მთავრობის შექმნა მოითხოვა. „მთავრობა უნდა წაიშლეს, — თქვა მან, — და ახალი მთავრობა უნდა შედგეს არა სპეკულანტებისა და ხამებისაგან. არამედ ჭეშმარიტი სოციალისტებისაგან“. ²²

მენშევიკური დიქტატურის უკანასკნელ თვეებში გაიხრწნა და სრულიად მოიშალა სახელმწიფო აპარატი, მოხელეთა შორის ფეხი მოიკიდა საშინელმა სენმა — კორუფციამ. მექრთამეობამ, სახელმწიფო ქონების დატაცებამ საზიზღარი სახე მიიღო. ცნობილი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის განცხადებით, ვინც არ სპეკულან-

ტობს და არ მატყუარობს, ვინც არ მექრთამეობს და ხაზინას არ ძარცვავს, ყველა მშვიდმდებარე ტყველია. ²³

სრული კრაზი განიცადა მენშევიკების ავანტიურისტულმა, ანტიეროვნულმა საგარეო პოლიტიკამ.

ქართველი მენშევიკები უხეშად არღვევდნენ 1920 წლის შვიდი მაისის ხელშეკრულების იმ პირობებსაც, რომლებიც საგარეო პოლიტიკის საკითხებს ეხებოდა. ისინი კვლავ ეხმარებოდნენ ვრანგელს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრებს. რსფსრ სრულუფლებიანი ელჩის ს. მ. კიროვის ენერგიულმა პროტესტებმა დროებით შეანელა ვრანგელისათვის დახმარების კამპანია. ამასთან, თვითონ მენშევიკური მთავრობაც მერყეობდა, არ იცოდა გარკვეულად საითკენ გადახრილიყო — საბჭოთა ხელისუფლებისაკენ თუ ანტანტისაკენ, მაგრამ ეს მერყეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მენშევიკური მთავრობა საბოლოოდ ანტანტის მხარეზე გადაბარგდა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

მართალია, ანტანტა იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი და ბათუმის ოლქი, მაგრამ პოლონეთისა და ვრანგელის ლაშქრობის მარცხის გამო უცხოელმა იმპერიალისტებმა ქართველი მენშე-

21 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446-447.

22 დოკუმენტების კრებული — „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, გვ. 644.

23 ვაზ. „ერთობა“, № 237, 1920 წ.; კ. ჩარკვიანის დასახელებული შრომა, გვ. 56.

ვიკების თანხმობით კვლავ სცადეს ბათუმში გადაექციათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად. იმ დროს ცენტრალური კომიტეტის დავალებით სტალინი კავკასიაში იმყოფებოდა. აქ განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესწავლის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ საქართველოს მთავრობის თანხმობით ანტანტა ხელში ჩაიგდებდა ბათუმს და აზერბაიჯანის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ამის შესახებ 1920 წლის 26 ოქტომბერს დეპეშით ლენინს აცნობა.²⁴

29 ოქტომბერს ლენინმა დეპეშით უპასუხა სტალინს, უმკველად მიიჩნია, რომ საქართველო ბათუმს მისცემს ანტანტას, ამიტომ მოიფიქრეთ და საჩქაროდ მოამზადეთ ბაქოს სახმელეთო და საზღვაო მისადგომების გამაგრების, მძიმე არტილერიის მიზიდვის ზომებიო.²⁵

კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ამბები საბჭოთა მთავრობას სერიოზულ საფრთხედ მიაჩნდა. 1920 წლის 13 ნოემბერს ლენინი ბაქოში მყოფ სტალინს დეპეშით ეკითხებოდა: „როგორ მიდის ბანდებთან ბრძოლა? მართალია თუ არა, რომ მათში 20 ათასზე მეტი ქვეითი და ცხენოსანია? საკმარისია თუ არა კავკასიის ფრონტზე დანიშნული ძალები?.. სავსებით სერიოზულად მიმდინარეობს თუ

არა ბაქოს მისადგომთა გარეშე რების სამუშაოები? გთხოვთ, რეთვე ცნობებს თურქეთის სპარსეთის შესახებ მოკლედ დეპეშით, უფრო დაწვრილებით — წერილით“.²⁶

სტალინმა 15 ნოემბერს დეპეშითვე შეატყობინა ლენინს, რომ წარმატებით მიმდინარეობს ბრძოლა ბანდების წინააღმდეგ და რომ აუცილებელია მაშველი ძალების გაძლიერება ბაქოს დასაცავად მენშევიკური საქართველოს მხრივ თავდასხმისაგან.²⁷

1920 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში სტალინმა დაწვრილებით შეისწავლა ანტანტისა და მენშევიკური საქართველოს საომარი გეგმები და შეეკითხა ლენინს, მიეცა თუ არა დირექტივა იმასთან დაკავშირებით, რომ მენშევიკური საქართველოს აქტიური დახმარებით ანტანტა საბჭოთა აზერბაიჯანის წინააღმდეგ ომს ამზადებდა, ხოლო თურქეთი სომხეთის ოკუპაციას ცდილობდა. სტალინის შეკითხვაზე ლენინმა უპასუხა. პოლიტიბიუროს მოუწვევლად არავითარი პასუხის მოცემა არ შემძღლიაო და ურჩია, დაეჩქარებინა მოსკოვში ჩასვლა მთელი კავკასიის საკითხის გადასაწყვეტად.²⁸

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ კავკასიაში შექმნილ ვითარებას შეეძლო საქმე ნამდვილ ომამდე მიე-

24 დოკუმენტების კრებული „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“, გვ. 623.

25 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 441.

26 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 492.

27 იქვე, გვ. 677.

28 იქვე, გვ. 497.

ყვანა. 21 ნოემბერს მოსკოვის სა-
გუბერნიო პარტიულ კონფერენ-
ციაზე ლენინი ამბობდა, ამჟამად
კავკასიაში იქსელება ძალიან
რთული პირობები, შესაძლებელია
ომი დღე დღეზეც კი თავს მოგვა-
ხვიონო.²⁹ მენშევიკური საქარ-
თველო ერთ-ერთ მთავარ როლს
თამაშობდა საერთაშორისო ვი-
თარების გართულებაში.

1920 წლის 16 ნოემბერს საბ-
ჭოთა მთავრობის დავალებით სა-
გარეო საქმეთა სახალხო კომისა-
რმა ბათუმის ოკუპაციის განზრახ-
ვის გამო მკაცრი პროტესტი განუ-
ცხადა დიდი ბრიტანეთის მთავ-
რობას. გ. ჩიჩერინი აფრთხილებ-
და, ინგლისს არ გადაედგა ასეთი
საბედისწერო ნაბიჯი.³⁰ იმავე დღეს
საბჭოთა მთავრობამ გააფრთხილა
მენშევიკური საქართველოს ელ-
ჩი მოსკოვში გერასიმე მახარაძე,
რომ ანტანტის მიერ ბათუმის ოკუ-
პაციას შეიძლება საქართველოსა-
თვის სერიოზული შედეგები მოჰ-
ყვესო.³¹

1920 წლის 27 ნოემბერს ცენ-
ტრალური კომიტეტის პოლიტიკი-
ურმა მოისმინა სტალინის მოხსე-
ნება კავკასიაში არსებული მდგო-
მარეობის შესახებ. ლენინის წინა-
დადებით მიღებულ იქნა გადაწყ-
ვეტილება ომის თავიდან აცილე-
ბის მიზნით საქართველოს, სომ-

ხეთის, თურქეთის და სპარსეთის
მიმართ მაქსიმალური შემაღლე-
ბით პოლიტიკის გატარების შეს-
ახებ.³²

ქართველმა მენშევიკებმა რსტსრ
მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა
მის სისუსტედ ჩათვალეს და ავან-
ტიურისტული პოლიტიკა კიდევ
უფრო გააღრმავეს. არ ისვენებდა
ანტანტა. ამიტომ გ. ჩიჩერინმა 18
ნოემბერს მოწოდებით მიმართა
ანტანტის ქვეყნების მუშებსა და
გლეხებს. მიმართვა გადაიცა რა-
დიოთი. იგი ასე მთავრდებოდა:
თქვენს მძლავრ პროტესტს შეუძ-
ლია ახლაც ჩაშალოს რეაქციის
ინტრიგები. ჩვენ გვჯერა, რომ ან-
ტანტის მუშათა კლასის მძლავრი
ჩარევა ხელს შეუშლის იმპერია-
ლიზმის ახალი ვერაგული გეგმე-
ბის განხორციელებას და დაგვეხ-
მარება ახლო აღმოსავლეთში
მშვიდობისა და თავისუფლების
დამყარებაში.³³

რსტსრ მთავრობის ენერგიულ-
მა ჩარევამ ამჯერად საქართველო
გადააჩინა ანტანტის ოკუპაციას.

მაგრამ სომხეთში საბჭოთა ხე-
ლისუფლების გამარჯვებამ კიდევ
უფრო გააბოროტა საერთაშორი-
სო რეაქცია. ვითარება კვლავ და-
იძაბა. ქართველი მენშევიკები
ბით შეეჩერებინათ ბოლშევიზმის
ცდილობდნენ ანტანტის დახმარე-
ტრიუმფალური სვლა და ჩახშობთ

29 იქვე, გვ. 507-508.

30 სსრკ საგარეო პოლიტიკის დოკუ-
მენტები, ტ. 3, (რუს.) 1959. გვ. 329-330.

31 იქვე, გვ. 330.

32 ვ. ი. ლენინი, თხზ., (რუს.). ტ. 42,
გვ. 47.

33 სსრკ საგარეო პოლიტიკის დოკუ-
მენტები, ტ. 3, გვ. 332.

საბჭოთა ხელისუფლება ამიერკავკასიაში.

ქართველი მენშევიკების მიზნით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა საბჭოთა სომხეთი. ხალხის მიერ განდევნილი დაშნაკები თბილისში მოკალათდნენ და ანტანტის მიითითებით გააჩაღეს მზადება ანტისაბჭოთა აჯანყების მოსაწყობად. ამ გეგმაში საქართველო გათვალისწინებული იყო, როგორც ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ქართველი მენშევიკები სომხეთში არ უშვებდნენ მატარებლებს, რომლებსაც საბჭოთა რუსეთიდან სურსათი მიჰქონდათ დაშნაკების მიერ გაძარცვული, დამწყვდილები მოსახლეობისათვის. ამასთან დაკავშირებით ლენინი ამბობდა: არავის არ ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები, განცხადებები და პროტესტები, რომლებითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო.³⁴ 1921 წლის თებერვალში დაშნაკებმა აჯანყება მოაწყვეს ერევანში და დაამხეს საბჭოთა ხელისუფლება. მაშინ ქართველი მენშევიკები სიხარულით ცას ეწიენ და დახმარების ხელი გაუწოდეს მემამოხეებს.

1921 წლის იანვარ-თებერვალში საქართველო გადაიქცა საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ შეტევის მომზადების მთავარ ბაზად. თბილისში იმყოფებოდნენ საფრანგეთის უმაღლესი კომისარი შევალე, გენშტაბის უფროსი დიუჟენი, გენერალი დიუმენილი და

საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა წარმომადგენლები. თბილისში ჩამოვიდნენ თურქეთის წარმომადგენელი ჰაიდარ ბეი, პოლონეთის წარმომადგენლები ოსტროვსკი და მოლოდეცკი, ყუბანის, თერგის, აზერბაიჯანის, სომხეთის კონტრრევოლუციური „ხსნის კომიტეტები“ და სხვა ავანტიურისტები. თბილისში იყრიდა თავს კონტრრევოლუციურ მემამოხეთა ყველა გზა. ქართველი მენშევიკები აშკარად ამზადებდნენ ომს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ამ გარემოებას.³⁵

ქართველმა მენშევიკებმა 1920 წლის შემოდგომაზე 20 წლის, ხოლო 1921 წლის იანვარში 21 წლის ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია გამოაცხადეს, თბილისში სამხედრო წესები შემოიღეს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროს თურქეთს ანტანტასთან ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთი. მიუხედავად ამისა, კავკასიის საქმეში იგი ზურგს უკან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებდა. მაშინ, როცა მოსკოვში რსფსრ და თურქეთს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, იმპერიალისტებმა ლონდონში კონფერენცია მოიწვიეს, რათა ჩაეშალათ მოსკოვის მოლაპარაკება. ამ კონფერენციაზე თურქეთის წარმომადგენელმა ბექირ სამი ბეიმ წინადადება მის-

34 ვ. ი. ლენინი, თხზ. სრული კრებული, ტ. 32, გვ. 176.

35 ლენინური კრებული, გვ. 234, (რუს.) 1945 წ.

ცა ინგლისის მთავრობის პრემიერს
ლოიდ ჯორჯს, ერთობლივად
გამოსულიყვნენ ამიერკავკასიის
საბჭოთა რესპუბლიკების დასაპყ-
რობად. მაგრამ ამ საიდუმლო ავა-
ნტიურას ფარდა აეხადა და საბჭო-
თა მთავრობამ პროტესტი განუც-
ხადა თურქეთის მთავრობას. შემ-
დგომში ქემალისტა ავანტიური-
ზმი კიდევ უფრო გაღრმავდა და
მენშევიკურ საქართველოსთან ან-
ექსიონისტური ხელშეკრულების
დადებით დასრულდა, რომლის
თანახმად თურქეთის ხელში გა-
დადიოდა ბათუმი თავისი ოლქით,
ახალქალაქი და ახალციხე.

ამის გამო 1921 წლის ორ მარტს
გ. ჩიჩეოინმა თურქეთის ელჩს მო-
სკოვში ალი ფუადას პროტესტი
განუცხადა.³⁷ თურქეთის მთავრო-
ბამ ივალთმაქცურად უარყო მენ-
შევიკურ საქართველოსთან ხელ-
შეკრულების დადება. მაგრამ ცნო-
ბილი ანდაზისა არ იყოს, ფიცი
მწამს და ბოლო მაკვირვებსო, —
ქემალი ერთს ფიცულობდა, ხო-
ლო ზურგს უკან სხვას აკეთებდა.

საიდუმლოებით მოცული ლა-
ლათის გამჟღავნებამ ქემალის
მთავრობა მძიმე მდგომარეობაში
ჩააყენა. საბჭოთა რუსეთი იყო
ერთადერთი დიდი სახელმწიფო,
რომელიც კრიტიკულ მომენტში
მხსნელად მოევლინა თურქეთის
რესპუბლიკას. ამიტომ გასაკვირი

არ არის მინისტრის პოსტიდან ბე-
ქირ სამი ბეის გადადგომა.³⁷
ასე დაიხლართა პოლიტიკური
ინტრიგები თბილისში, რომლებიც
მიმართული იყო რსფსრ და ამიერ-
კავკასიის საბჭოთა რესპუბლი-
კების წინააღმდეგ. სწორედ ეს ვი-
თარება ჰქონდა მხედველობაში
ლენინს, როცა მოსკოვის საბჭოს
სხდომაზე განაცხადა, ჩვენ დიდი
ომის მიჯნაზე ვიმყოფებითო.³⁸

ასეთ ვითარებაში 1921 წლის 12
თებერვლის წინაღამით საქართვე-
ლოში მენშევიკური დიქტატურის
წინააღმდეგ შეიარაღებული აჯან-
ყება დაიწყო. საქართველოს რევ-
კომის თხოვნით აჯანყებულთ წი-
თელი არმია დაეხმარა.

მენშევიკები დიდ იმედს ამყა-
რებდნენ დაშნაკებზე და ანტან-
ტის იმპერიალისტებზე. როცა
ნ. ჟორდანიამ დამფუძნებელ კრე-
ბაზე (21 თებერვალს) განაცხადა
— ჩვენი საგარეო მდგომარეობა
განმტკიცდა, სომხეთში გადატრი-
ალება მოხდა, ხოლო საფრანგე-
თის ესკადრის დახმარებით გაგ-
რასთან მტერი დავამარცხეთო, გა-
ისმა მოწონების შეძახილები. დე-
პუტატმა ვეშაპელმა აღფრთოვა-
ნებით წამოიძახა „აი, ეს უკეთესია
ვიდრე სომხეთი!“.³⁹

37 ს. ვ. ხარმანდარიანი, ლენინი და
ამიერკავკასიის ფედერაციის დამკვიდრე-
ბა (1921-1923), ერევანი, 1969, გვ. 175.

38 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 175.

39 ნ. მახარაძე, დიდი ოქტომბრის გა-
მარჯვება საქართველოში, გვ. 349.

36 სსრკ საგარეო პოლიტიკის დოკუ-
მენტები, ტ. 3, გვ. 556.

მენშევიკებმა ახალ მანევრს მიმართეს — 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ რესპუბლიკის კონსტიტუცია დაამტკიცა, რაც მეორე დღეს რადიოთი მთელ მსოფლიოს შეატყობინეს. მაგრამ განწირული დიქტატურის ხსნა უკვე არ შეიძლებოდა, რადგან ხალხში დასაყრდენი არ გააჩნდა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ კაპიტალისტებს.⁴⁰

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა. მენშევიკური მთავრობა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში გაიქცა. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით მენშევიკებმა 11 მარტს ბათუმში თურქეთის ჯარი შემოუშვეს. მათ ეგონათ, რომ ეს ჯარი

წითელ არმიას შეეჯახებოდა და ამღვრეულ წყალში თევზს ატყევენ ლად დაიჭერდნენ — ხელახლა დაიწყო ლეხას შეინარჩუნებდნენ. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო — თურქები ბათუმის ოლქის დაპყრობას შეუდგნენ. თურქეთის ყოფილმა თბილისელმა ელჩმა ქიაზიმ ბეიმ თავი ბათუმის გუბერნატორად, ხოლო ბათუმის ოლქი თურქეთთან შეერთებულად გამოაცხადა.

გაკოტრებული მენშევიკური მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა. ქართველმა ხალხმა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა თვითონ დაიცვა. თურქი ოკუპანტები განიდევნა ბათუმის ოლქიდან.

მენშევიკური დიქტატურის დაცემა გარდუვალად მოჰყვა ქართველი მენშევიკების ანტიხალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაკოტრებას.

მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ი

1878 წლის აგვისტოში ასრულდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება — აჭარა შეუერთდა დედა-სამშობლო საქართველოს. ამისთვის დიდხანს მზადდებოდა ნიადაგი, განსაკუთრებით მე-19 ს. დასაწყისიდან, როცა სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა სახელმწიფო-ქილი ქართველი პატრიოტი სელიმ ხიმშიაშვილი (1755-1815 წ. წ.).

შემდგომ წლებში სამხრეთ საქართველოს პატრიოტები შეუძლებელ ბრძოლებს ეწეოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ (ახმედ კივანძე, ღიზეთ დვალაძე, ჩახალოღლი-ბერიძე, ქორბუსეინ, შერიფ, ნური და სელიმ (მეორე) ხიმშიაშვილები, ემრულა მალქვაძე და სხვები), მაგრამ 1878 წლამდე ამ ბრძოლებს შედეგი არ მოუყოლია.

აჭარის განთავისუფლების საქმეში შერიფ ხიმშიაშვილის ღვაწლზე ჩვენს დროში ბევრი დაიწერა, გარკვეულად შეფასდა ამ პატრიოტის დამსახურება მის სიცოცხლეშიც, ამიტომ შერიფის შესახებ ნათქვამს დავჯერდებით.

ჩვენ მიზნად დავისახეთ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ კი-

დეგ ერთ პატრიოტს, რომელმაც ხელი აიღო პირად სამფლობელოზე, საკუთარ სახლ-კარზე და უსიტყვოდ დაუთმო იგი რუსეთის არმიას. ეს იყო სელიმის შვილის აბდის (1789-1859 წ. წ.) ვაჟი ნური ხიმშიაშვილი.¹

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ მთელი სამხრეთ საქართველო მისმა შვილებმა გაიყვეს. ახმედს წილად ხვდა აჭარა და არტანუჯი, აბდის — შავშეთ-იმერხევი და სათლელო, ქორბუსეინს — ფანაკი, ხოლო ღურსუნი თავასკერს დაეუფლა.

აბდის გარდაცვალების შემდეგ შავშეთ-იმერხევი მისი შვილების სელიმის და ნურის მფლობელობაში იყო.

ნური ხიმშიაშვილის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ ჩვენთვის უცნო-

1 აბდის ცოლად ყავდა სიმონ გურიელის (გარდ. 1792 წ.) ასული კესარია (1785-1861). მისგან შეეძინა სამი ქალი და ერთი ვაჟი. უმცროსი ქალი ესმა (1819-1893 წ. წ.) გათხოვდა ოდიშელ თავად ჯაიანზე. 1819 წელს კესარიას სურვილის გარეშე, კავკასიის მეფისნაცვლის ა. პ. ერმოლოვის განკარგულებით მამია გურიელმა კესარია გურიაში გამოიწვია და აჭარაში აღარ გაუშვა. აბდიმ მეორე ცოლი შეირთო. მისგან შეეძინა ქამილი, სელიმი, ნური და შაქირი.

ბია, მაგრამ მწირი დოკუმენტებითაც შესაძლო ხდება იმ დედაწლის დადგენა, რომელიც მან თავისი მხარის მოსახლეობის განთავისუფლების საქმეს დასდო.

ჩვენ არ ვიცით ნური ხიმშიაშვილის დაბადების ზუსტი თარიღი. ამის ოფიციალური საბუთი არ გვაჩნია. გ. ყაზბეგმა 1874 წელს, ხოლო ა. ფრენკელმა 1878 წელს ნახეს ნური. მათი ჩანაწერით „ნური ხიმშიაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაღალი ტანის კაცი“, ნურის მამა აბდი ხიმშიაშვილი გარდაიცვალა 1859 წელს, 70 წლისა. ამიტომ მისი შვილი 1859 წელზე გაცილებით ადრე უნდა დაბადებულიყო. შაქირი ნურის უმცროსი ძმაა, სელიმი და ქამილი უფროსები იყვნენ. სელიმზე გ. ყაზბეგი წერს, რომ 1844 წელს თანზიმათის გატარების საწინააღმდეგოდ მოწყობილი აჯანყების მეთაური სელიმ-ბეგი (აბდის შვილი) 15 წლისა იყო, ე. ი. ის დაბადებულა 1829-30 წლების ახლოს. ამგვარად, ნური ხიმშიაშვილის დაბადების თარიღი 1830 წელზე შორს არ უნდა ვეძიოთ. თუ გავითვალისწინებთ გ. ყაზბეგის და ა. ფრენკელის აღნიშნულ ჩანაწერებს (რომ იგი 1874-78 წლებში ჯერ კიდევ ახალგაზრდაა), ვფიქრობთ, საძიებელი თარიღი 1840 წელს არ უნდა სცილდებოდეს. ამგვარად, ნური დაბადებულია დაახლოებით 1830-1840 წლებს შორის.

ხიმშიაშვილთა ოჯახის, კერძოდ, სელიმისა და ნურის შესახებ პირველი წერილობითი და სარწმუნო

ცნობები მოგვაწოდა გ. ყაზბეგმა, რომელიც 1874 წელს ემოგზავნა, რომდა სამხრეთ საქართველოში.¹ „20 იენისს — წერს იგი — მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ დავბრუნდით სოფელ სათლელში, სადაც დავისვენეთ სტუმართმოყვარე სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის სახლში“. ამ უკანასკნელს გ. ყაზბეგი მთელს შავშეთში ყველაზე ძლიერ და გავლენიან პიროვნებად გვისახავს.

გ. ყაზბეგი პოლკოვნიკ გრიგოლ გურიელთან ერთად, როგორც მისი „მსახური“, სოფელ შინდობანში ეწვია ნური ხიმშიაშვილისაც. ამ უკანასკნელს სტუმარი ახასიათებს, როგორც კარგ მეურნეს, შრომისმოყვარე და განსწავლულ კაცს.

„ნური-ბეგი, სელიმ-ბეგის ძმა, ახალგაზრდა და ახალი წრთობის კაცია. მის მამულში (შინდობანში) მიეცა დასაბამი აბრეშუმის ჭიის წესიერ განვითარებას კონსტანტინოპოლში გამოცემული სახელმძღვანელოს მიხედვით. აქ სწორად არის დაგეგმილი თუთის ბაღი, აგრეთვე ბაღჩა, სადაც იზრდება ფერადი კომბოსტო. გარდა ამისა აქვს რამდენიმე ძირი ლივანური ვაზი. საერთოდ ნური-ბეგის კარმიდამო თავის პატრონთან ერთად წარმოადგენს სასიამოვნო გამონაკლისს“...²

როგორც ცნობილია, გრ. გური-

2 სამი თვე ოსმალეთის საქართველოში, 1876, გვ. 73.

ელმა და გ. ყაზბეგმა შავშეთში ჩასვლამდე იმოგზაურეს აჭარაში. ინახულეს შერიფ ხიმშიაშვილი, რომელსაც გააცნეს თავიანთი მიზანი — დაკავშირებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და დახმარებოდნენ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებაში. ასეთივე რეკომენდაცია მიიღო ნურიმაც, რომელიც სიხარულით შეხვდა მას.

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვ. ი. ლისოვსკი, როცა აფასებს რუსეთის არმიისადმი შერიფ ხიმშიაშვილის დახმარებას, ეხება ნური ხიმშიაშვილსაც, რომელმაც კიდევ უფრო მეტი დახმარება გაუწია რუსეთის ჯარს. „თურქეთთან უკანასკნელი ომის დროს. — წერს იგი, — შერიფ-ბეგმა, რომელიც აჭარის მმართველი იყო, საბოლოოდ დაიჭირა ჩვენი მხარე და შავშეთის მმართველის ნური-ბეგის თანაბრად გაგვიწია მნიშვნელოვანი სამსახური“.³

ა. ფრენკელიც ეხება ნური-ბეგის პიროვნებას და აღნიშნავს, რომ მას „დიდი ნდობა ჰქონდა თავის ხალხში. საკმაოდ დახელოვნებული იყო სოფლის მეურნეობაში და ითვლებოდა განვითარებულ, განათლებულ ადამიანად. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურობდა თურქეთის მილიციას, დიდი ხანია ურთიერთობა აქვს რუსეთთან, წინასწარი მოლაპარაკებით მან თავისი ათასეული სახლებში გაუშვა, თურქეთის სარდლობას კი აცნო-

ბა, ჯარისკაცები გაიქცნენ“.⁴ 1877 წ. 2 დეკემბერს რუსეთის არმიის ქვედანაყოფმა, ენფერისკი არდაგანის რაზმმა გეზი შავშეთისაკენ აიღო და სოფელი ხევა დაიკავა. 4 დეკემბერს რუსეთის ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, რომელშიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ მაღაქვადის რაზმელები, არტანუჯი, სოფლები ზემო და ქვემო ბაცა გაათავისუფლეს. ამით რუსეთის არმიას გზა გაეხსნა ბათუმისაკენ.

გარდა ამისა, შავშეთის მცხოვრებნი მატერიალურადაც დაეხმარნენ რუსებს, გადასცეს აკრეფილი გადასახადების ნაწილი, რომელიც ოსმალეთის მთავრობას დაუხარჯავი დარჩა: 2.000 ფუთი ხორბალი, 1.200 ფუთი ქერი და ამდენივე სიმინდი. პირადად ნური ხიმშიაშვილის თაოსნობით შესაძლებელი გახდა არამარტო პროდუქტებით, არამედ იარაღით დახმარებაც. ამის შესახებ იგი გენერალ კ. ბ. კომაროვს სწერდა: „2.000 ცალი თოფი და 50.000 კილოგრამი ორცხობილა ჩამოიტანეს, იჩქარეთ, ართვინი დაიკავეთ“.⁵ როცა მოვლენათა მსვლელობამ ნური-ბეგს საშუალება აღარ მისცა კვლავ ფარულად ემოქმედა რუსების სასარგებლოდ, მისივე თანხმობით საქმე

4 А. Френкель, Очерки Чурук-Су и Батума, Тифлис, 1879 г., стр. 95.

5 Томкеев, Материалы для описания русско-турецкой войны 1877—1878 гг., т. II, Тифлис, 1908, стр. 337—338.

3 ვ. ი. ლისოვსკი, ჭოროხის მხარე, (რუს.), გვ. 36, 1887 წ.

ისე მოეწყო, თითქოს პროდუქტები რუსებმა ძალით წაართვეს. „ერთი რაზმი, არდაგანის შტაბის უფროსის კაპიტან ლევანოვის წინამძღოლობით, არდაგანის ოლქის მმართველთან მ. მეფისოვთან ერთად მოულოდნელად თავს დაესხა ნური-ბეგის მამულს, წამოიღეს ყველაფერი, რაც იქ იყო: ფურაჟი, კვების პროდუქტები და წამოიყვანეს თვით ნური-ბეგი, ვითომც სამხედრო ტყვე“.⁶

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ განთავისუფლებულ ქართულ პროვინციებში ფართო მასშტაბი მიიღო მოსახლეობის ემიგრაციამ — მუჰაჯირობამ. მოსახლეობის ნაწილს ოსმალეთის ხელისუფლება ძალით მიერეკებოდა. სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი ვერ ურიგდებოდა ამ საშიშ მდგომარეობას; როგორც გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, ნური ხიმშიაშვილს გრიგოლ გურიელისათვის ოფიციალურად უცნობებია, რომ ოსმალები ხალხს ძალიად მიერეკებოდნენ და დახმარებას ითხოვდა. გურიელს არ დაუყოვნებია, სასწრაფოდ გაუგზავნია შეიარაღებული რაზმი, რომელმაც გზა გადაუჭრა ოსმალებს და აჭარლები თავიანთ სახლებში დააბრუნა. ნური ხიმშიაშვილის ამ სიგნალით გასახლებას გადაურჩა ქობულეთის მოსახლეობაც. მათ რუ-

სეთის საგანგებო რაზმმა მიიწვიწვიო იმ მომენტში, როცა აჭარლები ბულ ბავშვებს და ქალებს მძალადობრივ ტანებით ყრიდნენ გემებში.⁷

1878 წლის 30 აგვისტოს ბათუმში გენერალ კ. კომაროვთან ერთად შეაშეთიდან, ართვინიდან და მაჭახლიდან ჩამოვიდა დეპუტაცია, იგი შედგებოდა სასულიერო და საერო პირებისაგან. მათ ნური ბეგი ედგა სათავეში. ბათუმში, „სარისუსთან“ და „ბურუნთაბისთან“ მოეწყო თურქეთისაგან ბათუმის განთავისუფლების ცერემონია, რომელიც ფაქტიურად აჭარის, შავშეთ-იმერხევისა და სხვა პროვინციების განთავისუფლების ზეიმიც იყო. ასევე აქტიურად მონაწილეობდა ნური ხიმშიაშვილი ისტორიულ ბანკეტზე, რომელიც დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით ქართველმა საზოგადოებრიობამ გაუმართა აჭარის დეპუტაციას თბილისში, 1878 წლის 20 ნოემბერს. აქ ნურის გარდა ესწრებოდნენ ხუსეინ ბეჟანიძე, ხუსეინ აბაშიძე, ხასან ბეჟანიძე, სული-ბეგ მაჭახელი, ახმედ ხალვაში, ოსმან მაკარიალელი, მუთი სურმანიძე და სხვები. დეპუტაციას ხელმძღვანელობდა შერიფ ხიმშიაშვილი. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ახლად დაბრუნებულ ძმებს.

1880 წლის 6 აგვისტოს „დროებაში“ გამოქვეყნდა გენერალ-გუ-

6 А. Френкель, Очерки Чурук-Су и Ватума, Тифлис, 1879, стр. 35.

7 გაზ. „დროება“, № 90, 1878.

ბერნატორ კ. კომაროვის ცნობა იმის შესახებ, რომ ნური ხიმშიაშვილი განწყობილია უზნის უფროსად შავშეთსა და იმერხეში.

1881 წელს ბათუმში შეიქმნა მილიცია, ნურის მაიორის წოდება მიენიჭა და დაინიშნა მილიციის ინსპექტორად. „დროების“ კორესპონდენტის სიტყვით „ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დანიშნულებამ მთელს მხარეზე“.⁸

სამწუხაროდ, ცარიზმის უმაღლესმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ნური ხიმშიაშვილის დამსახურება და რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან. ამ ამბავმა უკმაყოფილება გამოიწვია თვით რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს მოხელეთა შორისაც. 1881 წლის პირველ მაისს კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ წერილში კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დ. ს. სტაროსელსკი ეხება მუჰაჯირობის საკითხს. მოსახლეობის მასიური ემიგრაციის მიზეზად იგი ასახელებს რუსეთის მოხელეთა უმსგავსო მოქმედებას მცხოვრებთა მიმართ, აგრეთვე იმასაც, რომ თანამდებობაზე დანიშნული მაღალი ფენის ადგილობრივი მკვიდრნი (თევფიყ-ბეგ ათაბეგოვი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, მარჯან-აღა მარშანია, დურსუნ-ბეგ თავდგირიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვები) ამქამად განთავისუფლებული არიან თანამდებობი-

დან. ამ ამბავმა ხელი შეუწყო მოსახლეობის აყრა-გადასახლებაში.

ცარიზმის მესვეურები გულუხვი არც გრიგოლ გურიელის მიმართ გამოდგნენ. როგორც ცნობილია, რუსეთისადმი აჭარისა და შავშეთის მმართველების — შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ერთგულების გამოცხადებაში გარკვეული როლი ითამაშა გრ. გურიელმაც. იგი ხიმშიაშვილთა დიდი ნდობით სარგებლობდა ნათესაური და კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამო. ესეც ხელშემწყობი პირობა აღმოჩნდა იმისათვის, რომ აჭარა-შავშეთის მოსახლეობას რუსეთისათვის ერთგულება გამოეცხადებინა. გრიგოლი რუსეთის ხელისუფლებასა და აჭარა-შავშეთის მმართველთა შორის შუამავლის როლში გამოდიოდა. გურიელის დამსახურება, ერთობ საგულისხმოა. მიუხედავად ამისა, ომის დამთავრების შემდეგ მას სამხედრო ხარისხიც არ მოუმატეს, „კვლავ პოლკოვნიკად დარჩა და გენერლობა მხოლოდ მაშინ მიიღო წესისამებრ, როდესაც შეუტრაცხყოფილი სამსახურიდან გადადგა“.⁹

მეფის ხელისუფლებაზე განწყობილ ნური-ბეგს გრიგოლ გურიელისათვის შემოუთვლია: „თუ ეგრეთი იყო რუსის მთავრობა, რომ შენც კი არ გცა პატივი, ჩვენ რაღად გვირჩიე აქ დარჩენა, უმ-

9 შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, თბილისი, 1964, გვ. 81, 82.

10 ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968 წ. გვ. 292.

8 გაზ. „დროება“, № 4, 1881.

წეო მდგომარეობაში რომ ჩავვარდით“.¹¹

ნური ხიმშიაშვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ბათუმის ქართველ ინტელიგენციაში, რომელთანაც ქონდა ახლო ურთიერთობა. დ. კლდიაშვილი იგონებს, რომ ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის მელიტონ ლორთქიფანიძის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ გულო კაიკაციშვილი, დედე ნიჟარაძე, თუფან შერვაშიძე, ბეჟანიძეები, აბაშიძეები, ხიმშიაშვილები და სხვები. ერთ-ერთი მათგანი ნური ხიმშიაშვილი იყო. მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. თვით ილია ნური ხიმშიაშვილს აფასებდა როგორც მოწინავე ადამიანს, ქართული კულტურისა და განათლების მოამაგეს, მგზნებარე პატრიოტს. საყურადღებოა, რომ ბათუმში ქართული სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოსულმა ილიამ ადგილობრივი მცხოვრებლების საგანგებო თათბირი სწორედ ნური ხიმშიაშვილის სახლში მოაწყო. თათბირს მასპინძლის გარდა ესწრებოდნენ მოწინავე ადამიანები: ხუსეინ ბეჟანიძე და ხუსეინ აბაშიძე, აგრეთვე ბათუმის უბნის უფროსი ლუკა პეტრეს ძე გაბუნია.¹²

როცა რუსეთის ხელისუფლებასაგან განაწყენებულმა ქართველმა მსახურიდან დათხოვნილმა ნურიმ გადაწყვიტა ბათუმიდან წასვლა, ილიას წერილი მისწერა, რომლითაც ატყობინებდა, რომ ის ტოვებს ბათუმს, მიდის შავშეთში თავის მამულში საცხოვრებლად. ამასთან ერთად თხოვს ილიას, ბათუმის მსგავსად შავშეთშიც გახსნან ქართული სკოლა, რათა ჩვენმა შვილებმა დედაენა ისწავლონ.

საყურადღებოა, რომ ნური ხიმშიაშვილი პირად ხარჯებსაც არ ერიდებოდა, ოღონდ ქართული სკოლა გაიხსნას. იგი ილიას პირობას აძლევს, რომ შეკრებს 60-80 მოსწავლეს, აქედან 12 შეძლებულუბის შვილები იქნებიან, დანარჩენებს, ე. ი. 49-68 ბავშვს, ღარიბებს და ობლებს მე თვითონ მივცემ სარჩოსო.

ნური ხიმშიაშვილის წერილში გამოხატულია შავშეთ-იმერხევის მმართველის მამულიშვილობა, იმის იმედი, რომ ამ კუთხის ქართველობა დაეწაფება თავის დედაენას, მშობლიურ კულტურას. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ წერილის მთლიანად და უცვლელად გამოქვეყნება:

„ბათუმი, 31 მარტს 1882-საწელსა!

მოწყალეო ხელმწიფეო, კნიაჟილია გრიგორიევიჩი.

11. იქვე.

12. საქ. ცსა, ფ. 481, ს. 26, ფურ. 45.

უპირველესად თქვენს ბედნიერებას და კეთილდღეობას ვისურვებ და ვთხოვ ყოველად შემძლე ღმერთს თქვენს წარმატებას და თქვენს ღვებრძელობას. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, ღვთის წყალობით კარგათა ვარ, ამ მოკლე ხანში ვტოვებ ბათუმს და მივდივარ ჩემს მამულში, შავშეთის მაზრაში. გწერთ ამ წერილს, რადგანაც თქვენი ნახვა შესაძლოა ბევრს ხანს არ მომიხდეს რაიმე მიზეზების გამო და რადგანაც თქვენთან ცოტა რამ შესახვეწნი საქმე მაქვს. საქმე იმაშია, რომ მე მსურს შავშეთში სკოლა დაარსდეს, რათა იქა მცხოვრებთა, რომელნიც ქალაქებს მოშორებულნი არიან, მიეცეს საშვალეობა, აღზარდონ თვისი შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა ენა. თუ შესაძლებელია, კნიაზო ილია გრიგორიევიჩი, თქვენ გთხოვთ იშუამდგომლოთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წინაშე, რომლის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით, რომ ბათუმის სკოლა, რომელშიც მაჰმადიან ქართველთა შვილები არ მოიპოვებიან, გარდმოიტანონ შავშეთში. თუ ეს რაიმე მიზეზების გამო შეუძლებელი იქნება, მაშინ გთხოვთ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მასწავლებელი დაგვინიშნოს და მისცეს მას ჯამავირი; რაც შეეხება სახლსა სკოლისათვის და მასწავლებლისათვის, მე მივცემ მუქათათ სადგომს და მის მოწყობილობას, და ვალად ვიდებ შევკრიბო ყმაწვილები რიცხვით 60-

80, მათ შორის 12 ბეგლუის ყმაწვილები, ღარიბებს დაუროვნებელს მე თვითონ მივსცემ სახსრებსაც. შემეხება მე, ჩემ მიერ დაპირებულს ჯეროვანათ აღვასრულებ და იმედი მაქვს, რომ თქვენც მიაცემეთ ყურადღებას ჩემს წინადადებას. მე ამ საქმეზე მქონდა მოლაპარაკება კნიაზ ნიკო ერისთავთან, რომელიც ამ მოკლე ხანში თბილისში წამობრძანდება, და იმედი მაქვს, თქვენც გადმოგცემს ჩემს სურვილს.

აქ, ბათუმში ბევრს გვიჭირს ყმაწვილების ჩამოყვანა, ზოგს ბათუმის ჰავის აუტანლობის გამო და ზოგს ქალაქის სიშორის და სიღარიბის გამო. იქ კი შავშეთში ჩემს მეცადინეობას არ მოვაკლებ, რადგანაც მე იქ ვაპირებ დარჩენას ჩემს სახლობაში. იმედი მაქვს, ყოველივე ამაზე გვაცნობებთ თქვენს გარდაწყვეტილებას და შეძლებისამებრ დაგვეხმარებით. მერმე მშვიდობით.

თქვენი პატივისმცემელი და ერთგული ნური-ბეგ ხიმშიაშვილი¹³.

სკოლის გახსნის საჭიროების შესასწავლად საზოგადოებამ შავშეთში გაგზავნა ს. მესხი, რომელმაც, მართალია, იქ ჩასვლა ვერ შეძლო, მაგრამ საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი შავშეთში ქართული სკოლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მატერიალური ხელმო-

¹³ საქ. ცსა, ფონ. 481, ან. 1, საქმე 33, ფურც. 72-73.



კლეობის გამო საზოგადოებამ ვერ დააყმაყოფილა ნური ხიმშიაშვილის თხოვნა.¹⁴

არსებული საბუთებით მტკიცდება, რომ ნური ხიმშიაშვილმა 1904 წელს თადარიგის პოდპოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია. მისი ავტორიტეტი შავშეთ-იმერხევში იმდენად დიდი იყო, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკებისაგან შევიწროებული მოსახლეობა ყველა საკითხზე (ეს ეხებოდა თუ არა მას) ნური-ბეგთან მიდიოდა. აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში¹⁵ დაცული დოკუმენტიდან სჩანს, რომ შავშეთ-იმერხევის უბნის უფროსს სეიფულა-ბეგ ათამალიბეკოვს წაუქეზებია სოფლების დაბაწვრილის და სათლელის მამასახლისები ახმედ-ალა ჯიმშერაძე და ალი სულეიმან-ოღლი, რომელთაც 1904-1906 წლებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორთან, გენერალ-მაიორ მ. ნ. დრიაგინთან შეუტანიათ საჩივარი. მასში აღნიშნული იყო, რომ თითქმის ნური და მისი შვილი ფერთო ხიმშიაშვილები ავიწროებდნენ ამ სოფლების მოსახლეობას და ღებულობდნენ ქრთამებს. გუბერნატორმა დაავალა ართვინის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს კაპიტან ბ. პ. ჩიქოვანს და არტანუჯის უბნის უფროსს კაპიტან პ. მ. სტაროსელსკის, შეესწავლათ ეს საკითხი. დაკითხვის დროს ნური-ბეგს არ უარუყვია, რომ ამ სოფლების მოსახლეობამ მადლობის ნიშნად საჩუქარი მიართვა. უსაფუძვლო საჩივარი უარყოფილ იქნა. ინტრიგანი სეიფულა-ბეგი სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო ნური-ბეგს მიეცა ოფიციალური უფლება, ზედამხედველობა გაეწია ართვინის ოლქის ზოგიერთ სოფელზე. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მეტყველებს ნური ხიმშიაშვილის პოპულარობაზე.

რაც შეეხება ნური-ბეგის ოჯახს და ახლობლებს, ზოგიერთის შესახებ არსებობს კანტიკუნტი ცნობები. უფროსი ძმა ქამილი ნურისაგან განსხვავებით სულთნის სამსახურში შესულა და ერთხანს მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. შემდეგ მას, როგორც აჭარელთა გადასახლების მომხრეს, მუჰაჯირთა გამგეობა დაავალეს. სამწუხაროდ, ხიმშიაშვილთა ეს წარმომადგენელი გულმოდგინედ ასრულებდა ამ უღირს საქმეს.¹⁶

უმცროსი ძმის შაქირის შესახებ სხვა არა ვიცით რა, გარდა იმისა,

¹⁴ გ. ნიორაძე. პირველი ქართული სკოლა ბათუმში. ბათუმი, 1950 წ. გვ. 18, 19.

¹⁵ აჭარის ასსრ სახ. არქივი. ფ. I, საქმე № 103.

¹⁶ გაზ. „დროება“, № 4, 1881 წ.

რომ მოწამვლით დაიღუპა. ნურის ცოლად ყავდა ძენწმანელი (ქედის რაიონი) ხეირულა სურმანძის ქალი ადილე. მისგან ნურის ერთი ვაჟი ფერთო შეეძინა, რომელიც რუსეთის არმიაში მსახურობდა და პოდპორუჩიკის ჩინამდე მიუღწევია. მას ცოლად ყავდა შერიფ ხიმშიაშვილის ქალი ნიზამი (თედო სახოკიას შეცდომით აქვს აღნიშნული, თითქოს ნიზამი ნურის ყავდა ცოლად). ნიზამსა და

ფერთოს ყავდათ ერთი ვაჟი ნური-ბი.

ჩვენთვის სრულიად უცნობია ნური ხიმშიაშვილის შემდგომი ცხოვრება, მაგრამ ის, რაც ვიცით, საკმარისია იმისათვის, რომ ნური ხიმშიაშვილი დავაყენოთ დამპყრობთაგან მიტაცებული ქართული პროვინციების განთავისუფლებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მამულისწილთა გვერდით.



მენსლიანობა აჭარაში

აჭარლებს ნახირი წინათ საცხოვრებელი სახლის პირველ სართულში — ახორში ჰყავდათ, ახლა კი ბოსელში ათავსებენ.

გაზაფხულზე, როდესაც მთის საძოვრები მწვანით შეიმოსება, ზემო აჭარის — ხულოს, შუახევისა და ქედის, გურიის ზოტისა და ჩხაკოურას აჭარლები, როგორც წესი, და შედარებით ნაკლებ — ქვემო აჭარლებიც, ნახირს მთის საძოვრებზე — იაილებზე მიერეკებიან პირდაპირ ოჯახიდან ან ყიზშლიდან (იხ. ქვემოთ). ამის შემდეგ ოჯახის რამდენიმე წევრიც იქვე ზაფხულობს. შინ მხოლოდ ისინი რჩებიან, რომლებიც მეურნეობისათვის არიან აუცილებელნი. ოჯახიდან დროებით გასულთ შორის არის ისეთი ქალი, რომელმაც პირუტყვთა, ე. წ. საქონლის, მოვლა, წველა-დღეობა — ფურის წველა და რძის დამუშავება იცის. მას დამხმარედ ახლავს შვილი ან შვილები და ოჯახის სხვა თავისუფალი წევრებიც, ზოგჯერ — მოხუცებიც კი, ე. წ. დამსვენებლები — მოაგარაკეები.

აქ ისინი „მეორე სახლში“ თავ-

სდებიან, რომელსაც კონახი ეწოდება (შდრ. გურული კონახი — კარავი, მეგრული — კარე). კონახის პირველ სართულზე, ხბორებისაგან განცალკევებით, მეწველ ფურებს აჩერებენ. მეორე სართულზე კი ადამიანები ცხოვრობენ და იმავე სართულის სპეციალურ ნაწილში — სარძიეში — ნაღებს, კარაქს, ყველს, დოსა და ნაღულს (ხაჭოს) აკეთებენ და აგროვებენ.¹ ასეთ პროდუქტებს ნამთივარი ჰქვია.

ბეგების დროსაც და ახლა მით უფრო. ცნობილია, მთის რომელი საძოვარი რომელ სოფელს ან კოლმეურნეობას ეკუთვნის. შეიძლება და ახლაც შეიძლება, ნახირს პატრონი არ გაჰყვეს; იგი სხვა წამსვლელს გაატანოს (გააბაროს) და გასამრჯელო მისცეს. უფრო მეტად ასე იქცეოდნენ და იქცევიან ქვემო აჭარლები; მათ

1 შდრ. სტ. მენთეშაშვილი. აჭარის ეთნოგრაფიული მასალები. — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, 1, თბილისი, 1937 წ., გვ. 170. ქვემოთ შემოკლებით — ენმკის მოამბე.

„საძოვარი მთები არ ჰქონდათ, ისინი ზემო აჭარლებს ატანდნენ თავიანთ საქონელს იაილებზე“ (ენიმკის მოამბე, II, 1, გვ. 171).

მთაში რომ ნახირი არ დაიფანტოს, ან მხეცმა არ ავნოს, მას ახლავს საერთო მწყემსი და არა ყოველი პატრონი. ეს მთელი სეზონის მენახირე არის. ცხოველთა პატრონები მას აძლევენ პროდუქტს, ფულს ან, თუ ის კოლმეურნეობის საქონელს უვლის, მას კოლმეურნეობა უწერს შრომადღეს.

მენახირეს ხბორები არ მიჰყავს საძოვარზე, ისინი კონახის ახლომახლო სძოვენ ბალახს; საღამოს, როცა მეწველი ფურები უნდა მოვიდნენ, ხბორებს კონახში შერეკავენ, რათა დედები ღრომდე არ გამოსწოვონ (გამოღეჭონ).

მთაში ნახირი საშუალოდ ოთხ თვეს რჩება.

შემოდგომაზე, როცა ყანები აიღება ან სათიბები განთავისუფლებულია, ნახირი მთიდან ყიშლაში — მთასა და სოფელს შორის არსებულ საყანე სათიბებში, — ზეგნებზე ჩამოჰყავთ. აქ მათ აჩერებენ დაახლოებით ორ თვეს. ცხოველები ღამით აქვე ბოსელში, ნალიის ან ღია ცის ქვეშ ჩერდებიან.

მახლობელ მთაზე თოვლს დაჰყრის თუ არა, მეპატრონეები ნახირს სოფელში ჩამორეკავენ და ექვსი ან მეტი თვის განმავლობაში დგას იგი ხმელ საკვებზე.

* * *



ძირითად ოჯახში დარჩენილთაგან იაილას დღესასწაულზე წასვლელს მენხლიანი (ჩხაკურაში მენდლიანი-ც გავიგონეთ) ეწოდება. იაილაზე მყოფს მემთიურე (მემთივრე) ან მემთევრე ჰქვია.

შ. ნიჟარაძის განმარტებითაც, მემთევრე ან „მემთიურე“ ის პირია, რომელიც საზაფხულო საძოვრებთან დაკავშირებულ შრომასაქმიანობას ეწევა იაილაზე ან ყიშლაში.²

მენხლიანთა იაილაზე კოლექტიურად შუამთობის დროს გამგზავრებას მენხლიანობა-ს უწოდებენ (ზოტში მეხრიანობა-ც გავიგონეთ).

სტ. მენტეშაშვილის მასალებში მენხლიანობას მიმხლიობა, მიმხლიანობა ანუ ნახლიობა ჰქვია (ენიმკის მოამბე, II, 1, გვ. 170). პირველი ტერმინი აზ. ახვლედიანსაც გაუგონია.

აჭარის ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის ჯემალ ნოლაიდელის პირად არქივში სათაურით „მენხლიანობა“ (1942 წ., ე. ი. დაწერილია შუახევის გამოყოფამდე) დაცულია ფურცელი, რომელზეც ვკითხულობთ:

„შუამთობა, ანუ როგორც

2 იხ. მისი „ქართული ენის ზემოაქართული დიალექტი“, ბათუმი, 1957 წ., გვ. 150; 1961 წ. გამოცემა. გვ. 256; შდრ. ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969 წ., გვ. 117-120; ავტორს მემთევრეს გარდა მემთევრე-ც უწერია, გვ. 14.

ადგილობრივად უწოდებენ — მე ნ ხ ლ ი ა ნ ო ბ ა, ძირითადად გავრცელებულია ხულოსა და ქედის რაიონებში, უფრო მეტად — ხულოს რაიონში. მენხლიანობა დაახლოებით პირველი აგვისტოდან იწყება და 20 აგვისტომდე ვრძელდება. ამ დროს ბარში შედარებით მოცილილი არიან. 1 აგვისტოდან ხალხი შედარებით თანისუფალია, რადგან თიბვა და ყანის აღება ჯერ დაწყებული არაა, და არც თამბაქოს შეტეხვის დროა. ამიტომ 1 აგვისტოდან როგორც კაცები, ისე ქალები, როგორც მოხუცები, ისე ახალგაზრდები გუნდგუნდად, განუწყვეტელ ნაკადად მიედინებიან აგარაკებზე სამენხლიანოდ...

აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარაში გარკვეულ სოფელს ან სოფლებს გარკვეული აგარაკი მოეპოვებათ თავიანთი საძოვრებით (იაილები).

ბარდან სამენხლიანოდ გამოსული ხალხი, თავისი დამკვრელებით და ინსტრუმენტებით, აწყობენ ვართობა-სანახაობებს“...

აქ აღნიშნული შუამთობის დაწყების დრო მთლად ზუსტი არაა. ჯერ ერთი, აგარაკობის შუა დრო აგვისტო არაა, — იგი უფრო ივლისის მეორე ნახევარია, მაგრამ შუამთობა მაინც იმ დროს ჰქვია, როდესაც მენხლიანები მიდიან იაილანე. ეს წასვლაც დამოკიდე-

ბულია ადგილსა და ამინდზე. იგი ზოგან უფრო ადრე იწყება, ზოგან — მოგვიანებით. ლოს რაიონში შუამთობა დაახლოებით აგვისტოს პირველ რიცხვებში იწყება, ზოტ-ჩხაკოურაში, თუ კი სოფელში ოჯახის საქმეები მააწყვსრიგეს, იგი უფრო ადრე, ან, თუ ოჯახის საქმეები გაგრძელდა, უფრო გვიანაც — ივლისის 20-დან ან აგვისტოს მეორე ნახევრიდანაც შეიძლება დაიწყოს. თანაც ვართობა — მენხლიანობა 3-5 დღეს გრძელდება.

წასვლა დამოკიდებულია მენხლიანთა შეთანხმებაზეც. როგორც ითქვა, მიდიან მაშინ, როდესაც მშრომელები შედარებით თავისუფალნი არიან.

გამგზავრების დროს რომ ერთმანეთს უთანხმებენ, მენხლიანობის ლექსის ზოგიერთი ვარიანტიდანაც ჩანს. ერთ ვარიანტში ნათქვამია: ხათრიანი კაცი ვარ, სხვას ვუცდი, ჯერ იაილაზე ვერ წავედიო: —

ერთი თვეა, სხვასა ვუცდი,
ჩემო გულო, ხათრიანო.
კილო დროზე ვერ გესტუმრე,
ჩემო იელავ, კატრიანო!³

იაილაზე მიდიან მართლაც ზემოთ, — მღერა-სიცილით, ხუმრობა-ვართობით. ასულთ დამხედურნიც მხიარულად ხვდებიან,

3 იხ. ჩვენი „ლაზარობა აჭარაში“. — ჟურნ „ქოროხი“, 1970, № 4.

4 აბ. წულაძე. აჭარული სასიმღერო ლექსები და გ. კ. ფოცხვერაშვილი. — გაზ. „საქართველო“, 1916 წ. 6 გიორგობისთვე, № 2, გვ. 3.

გრძელდება „სეირანი“ — სიმღერა, ცეკვა-თამაში, გიტარა-ჩონგურზე დაკვრა, გარმონის შეკუმშვა-გაშლა, სხვა ინსტრუმენტთა ახმაურება და მათზე დამღერება, რაც მახლობელი მთიდან მთაზეც კი ისმის.

ხალხური ლექსის სიტყვებით, იაილაზე ნახირიც კი იმღერის —

„ხარები დეიწყებენ კივანს,
ერთად გეპირებთან;
ძროხები დეიწყებენ ბლავილს,
ხფიებს ეეტირებთან.

დეილოცა თქვენი სახელი,
ლამაზი ხარ შენ, ჯილველი,⁵
რვა თვეს ნაწყყრევ

საქონლისთვის
ჯენეთი⁶ ხარ შენ პირველი.“⁷

როგორც ითქვა, ეს შუამთობა გრძელდება 3-5 დღეს, მაგრამ მენხლიანად ასულნი შეიძლება კიდევ იქ დარჩნენ 15-20 დღე; ესაა დღეობამდე სოფელში დარჩენილთა იაილაზე დასვენება. ამიტომ ხდება ასეც, რომ ვინც აქამდე ოჯახში იყო, ახლა მას სცვლის იაილაზე უკვე ნამყოფი, — ეს ჩამოდის და ის მიდის „სახაიეროთ“ — საავარაკოდ.

არაიშვიათად გასათხოვარ-საცოლოები სწორედ ამ შუამთობაზე აირჩევენ ხოლმე მომავალ მეუღლეებს.

5 სანდომიანი, მიმზიდველი.

6 ჯენეთი — სამოთხე.

7 „აჭარის ხალხური პოეზია, I“, თბილისი, 1969 წ., გვ. 54, შდრ. გაზ. „საქართველო“, 1916, № 2, გვ. 2, და ქვემოთ — მ. ხუბუაშ პუბლიკაცია.

შუამთობაზე სარძლო და მისი მახლობლები (უმთავრესად მესამე სიდედროები) ზოგჯერ სასიძოვს აპყავთ იაილაზე ცხენით ან მანქანით. ასევე საპატარძლო მემთევრე და მისი მშობლები ან მახლობლები სასიძოს ჩამოჰყავს ოჯახში.

თავის მხრივ საპატარძლოებიც ცდილობენ სადედამთილოებისა და სამამამთილოების ნდობა დაიმსახურონ, მათ ასიამოვნონ, რათა სარძლოზე უარი არ თქვან და ნიშნობა და ქორწილი დაჩქარდეს...

მენხლიანობას ანუ შუამთობას სეირანი ან სეირობაც ეწოდება. ეს სახელებიც გვეუბნება, რომ შუამთობა კოლექტიური გართობაა და ჩანს, ეს ჩვეულება ძველთაგან მოდის.

ეტიმოლოგიურად, თუ ფორმა მეხრიანი(?) და მენხრიანიც ნორმად დადასტურდება, მაშინ იგი შეიძლება დავუკავშიროთ ტერმინ მეხარე-მეხრეს, არა მხოლოდ ხარების, არამედ ტერმინის ფართო მნიშვნელობით — საერთოდ მწყემსს, — მენახირეს. მაგრამ მაშინაც დაისმის კითხვა: მეხრიანი-მენხრიანი როგორ შეიცვალა მენხლიანად?

მეორეს მხრივ, ძველ ქართულში ცნობილია ტერმინი მეხრენი (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამოცემა, გვ. XVI), რომელიც მხარით — მხრივ, გვერდით მდგომთ, თანამომღერლებს აღნიშნავს. სემანტიკურად ეს შეფერება გართობას, — სეირანსა და სეირს, მაგრამ ფონეტიკურად აქაც ძნელი ასახსნე-

ლია, თუ ეს ასეა. როგორ მოხდა.
რომ მე მხრენი შეიცვალა
მე ნ ხ ლ ი ა ნ ა დ?!

არაა გამორიცხული შესაძლებ-
ლობა, რომ მე ნ ხ ლ ი ა ნ ი მი-
მღეობა მ ხ ლ ე ბ ე ლ ფორმისა-
გან იყოს ნაწარმოები. მაგრამ
ესეც დასადგენია.

როგორადაც უნდა იყოს, ამ სი-
ტყვის ე ტ ი მ ო ლ ო გ ი ა თუ
ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი ა, მისი ლ ე ქ-
ს ი კ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა
ზ უ ს ტ ა დ გ ვ ე ს მ ი ს. ფ ა ქ-
ტის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორუ-
ლად აღსაწერად ეს ს ა კ-
მ ა რ ი ს ი ა.

ამ რიტუალთან დაკავშირებუ-
ლი წესები და ლექსი ვარიანტე-
ბითურთ გვაფიქრებინებს, რომ
მ ე ნ ხ ლ ი ა ნ ო ბ ა ძ ვ ე ლ მ ო-
მ თ ა ბ ა რ ე მესაქონლეთა დღე-
ს ა ს წ ა უ ლ ის გადმოწამაშ-
თ ი ს.

* * *

ზოტში ჩვენ მიერ 1948 წლის
აგვისტოში გავაწილი და მოხუც
კოლმეურნეთა სიტყვებით ჩაწე-
რილი მენხლიანობის წესი და ლე-
ქსის ფრაგმენტები ასეთია: „მ ე ნ-
ხ ლ ი ა ნ ო ბ ა“ (მენხრიანობა) ივ-
ნისში ან ივლისში სოფლის ახა-
ლგაზრდები თავზე (საძოვრებზე)
წავლენ. იქ რჩებიან ორი-სამი
დღეი ან მეტი, მღერიან, გარმონს,
გიტარას უკრავენ, სამვენ (ცეკვა-
ვენ), ერთობიან და შინ ბრუნდე-
ბიან. ამაზეა ლექსი.

შუქურ-ზაფხული გამევდა,
თხა და ცხვარი ქვეყანაში
მემიევერები ველარ ძლებენ, —

სული შოუწუხთენ ბარში.
ქალნი ქმრებს ებნევიან
ჰაიდ,⁸ წვედეთ ერთათ შთაში.

— ჰაით⁹ წვედეთ, ჩვენი სიტყვა
რატომ არ შეგდიან ყურში?!
თივის ბედი ამევწყევლოთ,
ცხვარი რომ გევდა პურში...
რადგან შაფათ ვერ წავედით,
კვირას წავალთ აღრიანზე...

ამავე ლექსის კიდევ უფრო
ფრაგმენტული ვარიანტები გვხვ-
დება ჩხაკოურასა და ქვაბლის აჭა-
ოლებშიც.

ესევე ფრაგმენტულია, მაგრამ
თავისებურია მე ნ ხ ლ ი ა ნ ო-
ბ ის ხალხურად წოდებული ის
ლექსი, რომელიც ჯ. ნოლაიდელის
ზემოხსენებულ არქივშია დაცუ-
ლი. აქ ვკითხულობთ:

ჯაჯახეთის კორდიანო,
მენხლიანი მოდიანო;
დედაბრები დაჟლეტილან,
გოგუები მორბიანო;
ალმურის¹⁰ კოხტა ქალები
გარეთ არ გამოდიანო.

ამავე ლექსის შედარებით სრუ-
ლი ვარიანტი სათაურით —
„(მ)თ ი ე ბ ის დ ე ს ტ ა ნ ი“ —
დაბეჭდილია მაქარ ხუბუას წიგნ-
ში — „აჭარის ენობრივი მიმოხი-
ლვა“ (ბათომი, 1932 წ., გვ. 39).

ლექსი მთლიანად მოგვაქვს და
კილოურ სიტყვებს შენიშვნებს
ჩვენ ვუყეუებთ.

8 აბა, წამო!

9 საით.

10 სოფელ დიდაქარის იაილაა.



შუქურ ზაფხულ გაშეულდა თხა და ცხვარი ქვეყანაში
მემთევრები ველარ ძლებენ, სული შაუწუხთენ ბარში.
უმაღ დეეშურებიან ერთ ლამაზ გამოსულ დარში,
თაგის ქმარებს ებნევიან — ჰაიდე, წეუდეთ ერთთ თაში!¹¹
ჰაიდე, წეუდეთ, ჩვენი სიტყვა რატომ არ გესმიან ყურში!
ავი ბედი ამეფწყველე, ცსურები გეიქცენ პურში.
თელზე ადრე გეიბარგვის კატრიანზე და გრძელ გორში.¹²
დროით თაზე ვერ წეველი, ველარ გევიარე ბარში.
მეჭთევრებსაც არ ვამტყუნებ, შარშან მეც ვიყავი თაში,
გეგონა, რომ დამწყდული ვარ საქონლიანდა ახორში.
რათგან შაფათ ვერ წეველი, კვირას წეუდე ადრიანა;
თაზე წასლის დრო მევიდა, ჰაიდე, წეუდენ კატრიანა;
ერთი თვეა და სხვას უცდი, ჩემო გულო ხათრიანო!...
სელამ ალეიქუმ,¹³ თიებო, ჩემო ნამლავო გზიებო!
სალაიეთო და ტყიებო, ჩემო საპათო,¹⁴ დღიებო.
გძელგორი და კატრიანი თელზე¹⁵ ადრე აწვანდება,
ქვეყანასაც მიტომ მოსწონს, მთი და შენ ნუ მოქწონდება!
ოი, უმაღ დეგემშვიდობე, ზაფხულში, ჩემო, თიებო!
ახლა თქვენ გემშვიდობებით, დედავ, მამავ და დიებო!
შვიდობით ჩემო მამულო, ქვაო, მიწავ და ხიებო!
გომარდულბარათაულო, სალაიეთო,¹⁶ თიებო!
რადგან შავათი გამიარა, სიცოცხლეც, ჩემო დღიებო!
ახლა მივალ და შვიდობით თლათ ღორჯუმის¹⁷ აღიებო!
თელმა ხელალი მიყავით ნოყვარეც და დიანებო!
ჯერჯერობით აქაურობას თავიც უნდა დაეანებო.
ამ დერდმა და ამ მერაყმა¹⁸ შემშალა და გადამრია,
უნდომ¹⁹ ქალ-ბალნის დატევამ დამწვა, დამლანდა, დამლია.
მე საწყალს ჩემი სიცოცხლე უცბათ, საჩქაროთ გამლია,
ვეცილები სუმეველასა, მომზდივა თვალზე ცრემლია.
შენ გებარება, მოწყალეც, ერთი უნდომი ქალია...
დერდიდან თავი ვერ ეხსენ, რაც გავახილე თვალია.
ამიტომ ჩემი ნამსხვანი,²⁰ სადე, გამხმარი ძვალია.

ხასან ირემაძე (ჯინოლლი) ღორჯომი, 3/VIII 1926 წ.

- | | |
|----------------------------------|---------------------|
| 11 მთაში. | 16 მთის საძოვრებია. |
| 12 კატრიანი და გრძელიგორი საძოვ- | 17 სოფელი ღორჯომი. |
| რებია მთებში. | 18 დარდი და ჯავრი. |
| 13 სალამი, გამარჯობა თქვენ! | 19 ავადმყოფი. |
| 14 საათი, დრო. | 20 ხელ-ფეხი. |
| 15 ყველაზე. | |

ამავე ლექსის კიდევ უფრო გავრცელებული სახეობა არსებობს, რომელიც „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ლ ე ქ ს ი ს“ სათაურით არის გამოქვეყნებული (გაზ. „საქართველო“, 1916 წ. № 248, გვ. 3).

მისი პუბლიკატორი აბ. წულაძე შენიშნავს: ესა და მეორე ლექსიც (იხ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 671, გვ. 3), ზუსტად და უცვლელად არის ჩაწერილი. მაშინ გ. კ. ფიცხვერაშვილს მასალის ჩაწერაში ა. წულაძის²¹ შევლოდა. აჭარული სიმღერების ამ ჩანაწერშიც კატრიანს, გრძელგორს, გომარდუელსა და ბარათავლს ეხებიან.

მაკ. ხუბუას პუბლიკაციაში რომ დ უ რ ჯ ო მ ე ლ (ღორჯომელ) აღიებულია ნათქვამი, აქ — ა. წულაძის პუბლიკაციაში — ღორჯომის მეზობელი სოფელი — ჭ ვ ა ნ ა (იხ. ქვემოთ) იხსენიება. აქ ჩვენ მოგვაქვს ა. წულაძის მიერ გამოქვეყნებული ლექსის მხოლოდ ერთი ნაწილი.

21 აღ. მ ს ხ ა ლ ა ძ ე. აჭარის ფოლკლორის კვლევის ისტორიიდან. — ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“, 1962, № 6, გვ. 86.

„გრძელიგორი და კატრიანი
თელზე ადრე ამწვანდებდა
ქვეყანას მიტომ მოსწონს,
მოიდა, შენ ნუ მოგწონდება!..
ოი, უმალ დაგემწვიდობე
ზაფხულში, ჩემო თიებო!
ახლა თქვენ გემწვიდობებით,
დედა, მამავ და დიებო!
მწვიდობით ჩემო მამულო,
ქვევო, მიწავ და ხიებო,
გომარდუელო, ბარათავლო,
სალაიეთებო, ტყიებო,
რადგან შავთ გამიარა,
სიცოცხლეც, ჩემო დღიებო.
ახლა მივალ და მწვიდობით
თლათ ჭვანისა აღიებო!“.

ეს ლექსი და მისი ვარიანტები ძალიან გავრცელებულია აჭარაში. თვით მენხლიანობის რიტუალის წარსულისა და სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის დამატებითი მასალის შეკრებაა საჭირო. საერთოდ კი ამ რიტუალის რაობა ჯერჯერობით ცნობილი მასალითაც არ უნდა იყოს სადავო. იგი მომთაბარე მესაქონლეთა დღესასწაულის გადმონაშთია.

სიტყვა და წიგნი

კლემბროტე — სოკრატეს მოწაფე, როდესაც პლატონის „ფედონი“ წაიკითხა, აღგზნებული წამოვარდა, „სალამი შენდა, მზეო!“ შესძახა და ზღვაში გადაეშვა. ეს ლიტერატურული მაგალითი როდია, ცხოვრებაში მომხდარი ფაქტია, რასაც სავსებით მატერიალისტური ახსნა აქვს — სიტყვას უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე.

სიტყვის ამ უზადლო ძალის მაგალითს იძლევა შექსპირი თავის „იულიუს კეისარში“. როცა კეისარი მოჰკლეს ბრუტოსის მომხრეებმა, ყველასაგან შეგინებული გვამის წინაშე სიტყვას ითხოვს ანტონიოსი. ბრუტოსი თანხმდება მიუხედავად იმისა, რომ მისი თანამზრახველი კასიოსი წინააღმდეგია: „არ იცი განა, რომ სიტყვის თქმით შესაძლო არის ხალხი ერთიან ააღელვოს“. მაგრამ მასების ერთგულებაში ღრმად დარწმუნებული ბრუტოსი არად აგდებს ამ გაფრთხილებას, და ხდება სწორედ ის, რაც კასიოსმა იწინასწარმეტყველა. ანტონიოსი ისე ბრწყინვალედ იჭადაგებს, რომ წუთის წინ კეისარის მაგინებელი მოქალაქენი ანტონიოსის გარშემო ირავებიან, პატივისცემით აიტაცებენ

კეისარის ცხედარს და აღშფოთებული ბრუტოსის მოსაკლავად გაემართებიან.

ჯერ კიდევ ელინურ ხანაში კარგად ესმოდათ სიტყვის დიდი მნიშვნელობა და შეუდგნენ მის შესწავლასა და გამოყენების ხერხების დამუშავებას. ორატორული ხელოვნების დაუფლება სავალდებულო იყო ყველა განსწავლული ადამიანისათვის. ხშირად მასწავლებელი იმით ფასდებოდა, თუ რაოდენად იყო იგი დაოსტატებული მეტყველებაში.

სიტყვა ზოგ შეთხვევაში გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე თვალით ნანახი. ეს იმიტომ, რომ მისი საშუალებით გაცილებით უკეთ შეიძლება შინაგანი თვისებების გამოვლენა. რომელი მეცნიერი და მწერალი ელიანი ხაზგასმით ამბობს, რომ ორატორსაც, თუ კი ის ფლობს გამომსახველობით ხერხებს, არანაკლები შესწევს უნარი, ვიდრე მძერწავსა და მხატვარს, ასახოს საგანი.

მაგრამ საქმე მარტო ასახვაში როდია. მთავარი მაინც მისი ზემოქმედების უნარია. ფსიქოლოგებს ამ ზემოქმედების მექანიზმი სავსებით შესწავლილი და ახსნი-

ლი აქვთ. თვით ჰიპნოზი, შთაგონებანი ფხიზელ მდგომარეობაში, სხვა არაფერია, თუ არა სიტყვით ზემოქმედება ადამიანზე. იცოდნენ სიტყვის ეს თვისებანი და ადამიანები მრავალმხრივ იყენებდნენ მას. სიტყვა არის მკურნალი. სიტყვა არის საწამლავეიც. სიტყვის ეს ორმხრივობა მეტად მოხდენილად დახატა ეზოპემ თავის იგავში ყველაზე ტკბილი და ყველაზე მწარე კერძის შესახებ. მონამ თავის პატრონს ყველაზე ტკბილ კერძადაც ენა მიართვა და ყველაზე მწარე კერძადაც ის დაუმზადა.

მრავალი ისტორიული ფაქტი ნათლად გვისურათებს, როდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანები სიტყვას; განსაკუთრებით განუზომელი იყო მისი როლი კლასობრივ ბრძოლაში. ცნობილია ფაქტი, რომ ყველა დიდი პოლიტიკური მოღვაწე უპირველეს ყოვლისა დიდი ორატორი იყო.

სიტყვის წარმოთქმა რთული ხელოვნებაა. ის ადამიანისაგან მოითხოვს ბუნებრივ შინაგან თუ გარეგან თვისებებს, თავისებურ ტალანტს. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ორატორის დიქციას, ხმის ტემბრს, მიმიკას, ჟესტიკულაციას, გარეგნობას, ყველაფერს რაც აძლიერებს სიტყვის ემოციურობას. მაგრამ სიტყვა თუ ადამიანზე რაიმე ზეგავლენას ახდენს არა იმიტომ, რომ სასიამოვნოდ წარმოითქმება და ძლიერ-

დება გარეგნული ეფექტებით, არამედ იმიტომ, რომ იგი ადეკვატურად გამოხატავს აზრს, მიმიკა, ჟესტიკულაცია და სხვ, დამხმარე საშუალებანია, რომლებიც საერთოდ აძლიერებენ სიტყვის ეფექტს. ციცერონი მოითხოვდა, სიტყვა ყოფილიყო გარეგნულად ლამაზად აგებული, მოხდენილად ნათქვამი, მაგრამ მთავარი ყურადღება აზრის სიღრმესა და სიმახვილეს დათმობოდა.

სიტყვის ძალას შემდეგი ფაქტორები განაპირობებენ: ნააზრევის ხარისხი (რამდენად ღრმა, ჭეშმარიტი და ნათელია აზრი), ნააზრევის საფუძვლიანად გადმოცემის უნარი (რამდენად ადეკვატურია სიტყვა აზრისა, რამდენად დამაჯერებელი, ლოგიკური და არგუმენტირებულია), სიტყვის აგების ოსტატობა (აზრის გადმოცემის ხერხები, მხატვრული მეტყველება, ლექსიკის სიმდიდრე), მეტყველების ანუ თქმის ტექნიკა (დიქცია, მიმიკური და პანტომიმური საშუალებანი, სახიობური გარდასახვის უნარი), სიტუაცია და გარემო პირობები (სიტყვის წარმოთქმის მომენტი, მსმენელთა განწყობილება, მთქმელისა და მსმენელის კონტაქტი).

ყოველივე ეს ერთად აღებული განაპირობებს სიტყვის ზეგავლენას ადამიანზე, რამდენადაც უფ-

რო მაღალხარისხოვანია თითო-
ეული ფაქტორი ცალკე თუ
მთლიანობაში, იმდენად უფრო
ეფექტურია სიტყვა და მისი ზე-
მოქმედებაც უფრო ძლიერია.

სიტყვა აზრის გამოვლენის
საშუალებაა, ხელშეუხებელი,
აბსტრაქტული მოვლენაა. წერა
ამ აბსტრაქტული საგნის ერთგვა-
რი კონკრეტიზებაა, რასაც ვამბ-
ობთ, იმას ვწერთ და მათ შორის
აზრის გაგების მხრივ რაიმე სხვა-
ობა არ არის.

სიტყვის თქმის დროს დიდი
მნიშვნელობა აქვს სიტუაციას.
რაც უფრო მეტად შეესატყვისე-
ბა პირობები და სიტუაცია სიტ-
ყვას, მით უფრო შთაბეჭდავია
იგი. მაგრამ ამ მოვლენასთან წიგ-
ნის კითხვის დროსაც გვაქვს სა-
ქმე. მაგალითად, წიგნი თუ აქტუა-
ლურია, პასუხობს არსებულ სი-
ტუაციას, გაცილებით უფრო დიდ
გავლენას ახდენს, ვიდრე ამას
სხვა დროს შეძლებდა. ან ის პი-
რობები, რომელშიც ვკითხულ-
ობთ — მყუდრო ოთახი, შესატყ-
ვისი გარემოება, თავისუფალი
დრო — თუ კეთილგანწყობილად
მოქმედებს ჩვენზე და წიგნის კი-
თხვაც ჩვენს ინტერესებში შედის,
წაკითხულს სულ სხვაგვარი გავ-
ლენის მოხდენა შეუძლია.

როგორც ვხედავთ, ძალიან დი-
დი განსხვავება არ უნდა იყოს
ნათქვამი და დაწერილი სიტყვის
ზემოქმედების ძალაში. მაგრამ
განსხვავება მაინც არის და ძნე-
ლია ვთქვათ, ეს განსხვავება საი-

თკენ ხრის სასწორს, ზეპირი თუ
წერილობითი სიტყვისაკენ.

საქმე იმაშია, რომ გავლენისა-
რობების შექმნა, სიტუაციისა-
დმი სიტყვის შეხამება ზეპირი მე-
ტყველებისას უფრო ადვილია.
ამას გარდა, ზეპირ სიტყვას აძ-
ლიერებს გარეგანი ფაქტორები.
მაგრამ წიგნს გააჩნია ის უტყუა-
რი უპირატესობანი, რომელსაც
ზეპირი სიტყვა ვერ ფლობს. ადა-
მიანის ბუნებისათვის ყურადღე-
ბის ვარირება ჩვეულებრივი
მოვლენაა, ის ხან ინტენსიურია,
ხან თავისთავად ჩაქრება და მერე
ისევ ანთება. სიტყვის წარმოთ-
ქმისას ყურადღებას ამსხლტარი
საკითხები გონებას აღარ მოუ-
ბრუნდება, მაშინ როდესაც და-
წერილს შეიძლება იმდენჯერ მი-
ვუბრუნდეთ, რამდენჯერაც ჩვენ
ეს მოგვესურება. განმეორება
ხომ ცოდნის დედაა და ამდენად
შეიძლება ითქვას, რომ დაწერი-
ლი სიტყვა გაცილებით დიდ ზე-
გავლენას ახდენს ადამიანზე, ვი-
დრე ზეპირნათქვამი, რომ ასეთი
გავლენის ფესვები გაცილებით
ღრმაა.

ზეპირი სიტყვა შეიძლება უფ-
რო ემოციური იყოს, ვიდრე და-
წერილი, მაგრამ საბოლოოდ ნა-
კლები გავლენა მოახდინოს ადა-
მიანზე. ცნობილია, რომ ზოგჯერ
ზეპირად წარმოთქმულ სიტყვას
არნახული შთაბეჭდილება მოუ-
ხდენია, ხოლო იგივე სიტყვას,
ქაღალდზე გადატანილს, ერთობ
მცირე. საქმე იმაშია, რომ ხში-

რად ლამაზ ფრაზათა კორიანტე-
ლში, გარკვეული სიტუაციით გა-
მოწვეულ მოჭარბებულ გრძნო-
ბათა ღელვაში ჩაძირულა სიტყ-
ვის მთავარი კომპონენტი—აზრი,
და როდესაც ვნებები დაცხრა,
უკვე იგრძნობოდა აზრის სიმჭ-
ლევე.

რავინდ ძლიერი არ უნდა იყოს
ზეპირი სიტყვა აზრის სიღრმი-
თაც და გარეგნული ელვარები-
თაც, მისი ზემოქმედება მაინც
ხანმოკლეა. დაწერილი სიტყვა,
თუ მოკლებული არაა ღრმა ში-
ნაარსს, საფუძვლიან არგუმენტა-
ციას, მტკიცე ლოგიკასა და ემო-
ციურობას, უფრო მეტ ზეგავ-
ლენას ახდენს, ვიდრე წარმოთქ-
მული სიტყვა.

მოწინააღმდეგე კლასები ყოვე-
ლთვის შიშით შეკუთრებდნენ
საპირისპირო აზრის გამოხატვის
ორივე საშუალებას — თქმასა და
წერას, მაგრამ დაწერილისა უფრო
ეშინოდათ. მთქმელი შეიძლება
მოსპო, აღგავო პირისაგან მიწისა,
მაგრამ რას უზამ დაწერილსა და
ხალხში გავრცელებულს. ტყუი-
ლად როდი ამბობს ხალხური ან-
დაზა — რაც კალმით დაიწერა,
ნაჯახითაც ვერ ამოაგდებო, სწო-
რედ ამიტომ შიიღო წიგნმა ყვე-
ლაზე მახვილი იარაღის სახე
კლასობრივ ბრძოლაში.

გ. ი. ლენინი პეგელის ერთ-
ერთი ნაწარმოების შესახებ წერს
ბოლს, რომ მან ამით შეიტყუა
მიომხრო მკითხველი მასები და
პოპულარული წიგნაკი კლასობ-
რივი ბრძოლის იარაღად გადაა-
ქციაო.¹ ლენინი აქ ნათლად გამო-
თქვამს აზრს, თუ რაოდენ დიდი
როლის შესრულება შეუძლია
წიგნს იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ილია ჭავჭავაძემ წიგნის ამ
დიდ შესაძლებლობებზე ხატოვ-
ნად თქვა:

ხმალი იმოდენს ვერას იქმს,
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

წიგნის ეს ძალა ყოველთვის
ჰქონდათ შეგნებული გაბატონე-
ბულ კლასებს, ამიტომაც დიდი
მონდომებით დევნიდნენ მოწინა-
აღმდეგეთა წიგნებს. ეკატერინე
მეორემ, როცა რადიშჩევის „მო-
გზაურობა...“ წაიკითხა, პირზე
დორბლმომდგარმა განაცხადა,
რომ მისი ავტორი პუგაჩოვზე უფ-
რო საშიში პიროვნებააო, ხოლო
„ვადიმ სინიავსკი“ დააწვევინა,
ავტორი კი სულის ამოხდომამდე
გააროზგვინა. ბელინსკის წიგნის
„წერილები პუშკინზე“ კითხვისა
და გავრცელებისათვის ა. პლეშ-
ჩევი კატორლაში გაგზავნეს. ტა-
რას შევჩენკოს არა თუ წერა, ხა-
ტვაც კი აუკრძალეს.

1 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 445.

ისტორია უამრავ ფაქტს იც-
ნობს, თუ როგორ სპობდნენ და
ანადგურებდნენ რეაქციონერები
მათთვის არასასურველ წიგნებს,
როგორ იღვენებოდა პროგრესუ-
ლი წიგნი. მაგრამ წიგნს თავის-

თვად კი არა აქვს ესოდენ დიდი
ძალა, როგორც საგანს. სწორად
შენიშნავს საბჭოთა მწიგნობარი
მ. ნ. კუფაევი: „არა წიგნი, მისი
ფორმა და ტიტული, არამედ სი-
ტყვა და მასში ჩაქსოვილი აზრი
არის წყარო ზეგავლენისა“.





ადექსანდრე სამსონია

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მწერალი აპოლონ გომარელი ხომ გავიგონიათ? არა? მის კალამს რა ეკუთვნის, ვერ გავიხსენებ. ისე, ცნობილი მწერალი უნდა იყოს, სხვანაირად იმ მშვენიერი ბინის ნაცვლად, რომელშიც ახლა მე ვცხოვრობ, უფრო მშვენიერ ბინას არ მისცემდნენ.

თქვენ არ იფიქროთ, ამ სიტყვებს შური მალაპარაკებდეს. მე ბრაზილიელი გულშემატკივარით ბედნიერი ვარ. აპოლონ გომარელზე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ასეთი ბინა რომ დამიტოვა.

ნაცნობობა და მეგობრობა აქ არაფერ შუაშია. რიგით მეკუთვნოდა და სწორედ მისი გამოწვევით ბინა მომიწია. სიტყვა „გამონაცვალ“ ძალიან უხერხულად ჟღერს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამოვიცვალე.

რაც ზემოთ ითქვა, მთავარი არ არის. მთავარი ამბავი, ესე იგი, ძალის თავი აპოლონ გომარელის სარდაფშია დამარხული.

ეს სარდაფი ბინასთან ერთად თავისი ნაყარ-ნუყარით ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა. ნაყარ-ნუყარში მე კონიაკის, არაყისა და შამპანურის ბოთლებს ვგულისხმობ.

— სხვა თქვენს ადგილზე ამ ბოთლებით „ზაპოროჟეცს“ იყიდდა, — მითხრა აპოლონ გომარელმა წასვლის წინ, როცა თავის „ვოლგაში“ ჯდებოდა. — მაგრამ ქართველებს ცარიელი ბოთლი მარტო ტყემლის ჩასასხმელად გვინდა...

— სუფრაზე თუ ვინმემ გული მოგაყვანინა, არც მაშინაა ცუდი, — გავახსენე მე.

— ჩხუბში საესე ბოთლი უფრო საიმედოა, — მირჩია აპოლონმა, — ვიცი ალბათ და კამათი არ დამიწყო!

მე არც კამათი დამიწყია და არც ბოთლებში ტყემალი ჩხუბში უფრო მხოლოდ იმ ბოთლების გვერდით აპოლონ გომარელის პირადი არქივი აღმოვაჩინე.

ვიცი ახლა, საყვედურს დამიწყებთ, თუ აღმოაჩინე, რატომ პატრონს არ ჩაბარეო, სხვისი წერილების კითხვა რა ვაჟკაცის საქმეაო და ასე შემდეგ...

თავის დასაცავად სხვა გზა არ დამრჩენია: აპოლონ გომარელი ან საავტომობილო კატასტროფაში უნდა მოვახვედრო ან ციხეში.

თქვენ, ალბათ, ციხე გირჩევენიათ. კეთილი და პატიოსანი!

რატომო თუ იკითხეთ, მე გეტყვით, ავანსი შემოეჭამა, პლაგიატობა დაუშტკიცეს ან ალიმენტი არ გადაიხადა-მეთქი. თქვენ მეთყვით, მაგისტრის ახლა ვის იჭერენ და რავა გეკადრება, ჩემო ბატონო.

ამიტომ, სიტყვა რომ არ გავგიგრძელდეს, როგორც თქვენ გავგებარდებათ, ისე ჩათვალეთ. ოღონდ მთავარ საკითხში შევთანხმდეთ: აპოლონ გომარელი ამჟამად ჩვენს შორის აღარ არის და სწორედ ამიტომ საზოგადოებას ნუ დაუჟუარგავთ მისი პირადი არქივის ზოგიერთ წერილს.

სიტყვა ზოგიერთს მე ხაზი უნდა გავუსვა, რადგან გარკვეული მიზეზების გამო არ ვაქვეყნებ ისეთ წერილებს როგორიცაა ოჯახური:

„ჩემო ისიდორე, აპოლონთან ერთად ხურჯინს გიგზავნი. უკან არცერთი არ დამიბრუნო“.

სამსახურეობრივი:

„რედაქტორს რომ ვუთხარი, აპოლონი კარგი მოკრივე არის-მეთქი, თავი დამიქნია, მოთხრობების წერაც კარგი ცოდნიაო“.

მაშ ასე, როგორც უკვე შევთანხმდით, აპოლონ გომარელის პირადი არქივიდან მე საზოგადოებასათვის საინტერესო წერილები შევარჩიე.

აი ისინი.

მონადირის წერილი

ბატონო მწერალო!

შაბათი და კვირა სანადიროდ ვიყავი. ორი დასვენების დღე ბუნების წიაღში გავატარე. „სტალიჩნი“ და ბაზრის მწვადები ღიდებულად გვახვლით. ნადირის რა მოგახსენოთ, მაგრამ საკუთარი ძალი კინაღამ შემომაკვდა.

სალამოს ქალაქში დავბრუნდი, მაგრამ სანამდი დავბრუნდებოდი, საღურში თქვენი წიგნი ვიყიდე, „მონადირის ჩანაწერები“ რომ ჰქვია, ვიფიქრე გზაში თავს შემაქცევინებს-მეთქი.

თქვენს მტერს, მაგ წიგნმა რომ მე თავი შემაქცევინა! გულის ფიცარი

ჩამემტვრეოდა მეგონა, იმდენი ვიბრაჟუნე მუშტი ზედ. თუ გაინტერესებდ, რამხელა მუშტი მაქვს, მესტუმრეთ ერთი და არ დაგამადლით. *ეროვნული პარტიის*
რალა ბევრი გავაგრძელო, ხალხი კი არა, ძალდი კინალამ *გაბაშვილი*,
რას შვები, კაცო, რატომ იკლავ თავსო.

— რატომ ვიკლავ და, წაიკითხეთ ერთი აგი წიგნი-მეთქი, — ვუ-
თხარი მგზავრებს.

— „მონადირის ჩანაწერები“ თუა, ტყუილი იქნებაო, — დამამშვიდა
ხალხმა.

მონადირე მეც კი ვარ, მაგრამ შუბლის ძარღვი არ უნდა გაიწყვიტოს
კაცმა-მეთქი! — ვიყვირე და გაღვირე მე.

ეს ვაგონში იყო. ამ წერილს სახლიდან გწერ. ახლა დაწყნარებული
ვარ და კარგად მომისმინე.

„ვეფხისტყაოსანი“ არ წამიკითხავსო, მაგას ხომ ვერ მეტყვი? ტარიე-
ლი რომ ტარიელია, ავთანდილი რომ ავთანდილია, ფრიდონი რომ ფრიდო-
ნია, სამივეს არ მოუკლავთ ერთად იმდენი ნადირი, მარტო თქვენმა გმირმა
რომ დახოცა.

ამდენი მხეცი და ფრინველი ზოოპარკის გარდა თუ გეგულებათ სად-
მე, საიღუმლოდ მითხარით და პატივისცემა ჩემზე იყოს.

ხუთი მგელი და ხუთი დათვი რომ გააგორა ერთად თქვენმა მონადი-
რემ, მაგისტანა ტყუილი სხვებს შეშურდებოდა, მაგრამ მე უკეთესი მოვი-
გონე. ნახეთ ერთი, თუ მოგეწონებათ.

მაშ ასე, წავიდა მონადირე ტყეში, მიაყუდა ნაძვზე კიბე და დაუწყო
დათვებს ცდა. გავიდა ერთი საათი, გავიდა მეორე, მაგრამ კაციშვილი არ
ჩანს.

— რა ჭკუაზე ხართ თქვენ თუ იცითო, სინამდის უნდა მაცდევინო-
თო! — გადასძახა მონადირემ დათვებს.

— აქეთ იძახი რამესო? — გამომხედა ერთმა დათვმა.

ესროლა მონადირემ და გააგორა გულადმა.

თოფის ხმა რომ გაიგონა, ქორწილი ხომ არაა სადმეო? — იკითხა
მეორე დათვმა. ესროლა მონადირემ და იგიც გააგორა გულადმა, მერე
კიდევ სამი მიუწვინა გვერდით და ასე ვიცი მეო, დააყოლა.

ობლად დარჩენილმა ბელებმა ღრიალი ატეხეს, დათვი და გადარე-
ული შენ ყოფილხარო, თუ ვაჟკაცი ხარ, მაგი კიბე ჩამოუშვი დაბლა და
მაშინ ნახავ შენს სეირსო!

— არ ჩამოვშვებო, — უთხრა მონადირემ.

— არ ჩამოუშვებ და მაინც ამოვალთ ზედო!

— როგორ თუ ამოხვალთო, — სიცილით მოკვდა მონადირე, — თქვენ
ანდაზა არ გაგიგონიათ, დათვი ხეზე როგორ გავა, ივენანინაო?

დათვები თაფლის ჭამაში არიან მაგარი, ანდაზებში კი მაინცდამაინც

ვერ ერკვევიან, მაგრამ, ბედად მგლები წამოეშველნენ და დაბლიდან ასძახეს:

კიდევაც დაიზრდებიან

ალგეთს ლეკვები მგლისანიო.

მონადირემ გაკვირვებისაგან პირი დააღო, აგენს შაირი ვინ ასწავ-
ლაო. მგლებმა კი კბილები დააკრაჭუნეს, წითელქუდაც წაკითხული
გვაქვს, და ჭკუით თუ არ იქნები, უარესსაც გეტყვითო.

— კი ვიქნები ჭკუითო, — იყვირა მონადირემ, — ოღონდ ახლა გა-
მიშვით და ტყისაკენ სულ არ ვიზამ პირსო!

მხეცებს კაცის გული ვინ მისცა, აგი ერთი გვიბატიებიო, დაუბ-
რიალეს თვალები და მერე გაუშვეს სახლში.

იმის შემდეგ ტყეში ნადირმა დაისვენა და სახლში მონადირის
ცოლ-შვილმა.

როგორ ფიქრობთ, ცუდი ფინალი არ უნდა იყოს. თუ მოგეწონებათ,
მეორე გამოცემაში შეიტანეთ. ჩემთვის თავს ნუ შეიწყუხებთ, მე არც სახე-
ლი მინდა და არც ჰონორარი.

„სტილიაგების“ წერილი

პრივეტ, ძია აპოლონ!

ხომ გვიცანით? — თქვენი ძველი მეგობრები ვართ, სამწერლო მოლ-
ვაწეობის გარიჟრაჟზე „სტილიაგები“ რომ გვიწოდეთ და იმის მერე ეს
სახელი არ მოგვაცილეთ.

რატომ, რა დაგიშავეთ? ხომ გახსოვთ, რამდენი წელი გავიდა მას
შემდეგ: თქვენ ცოლიც გამოიცვალეთ, ბინაც და მანქანაც, ჩვენთვის კი
ახალი სახელი ვერ გაიმეტეთ.

თქვენთვის ცუდი რამ გაგვიკეთებია? არა, ხომ?

თქვენ რომ კალოშებით დადიოდით რუსთაველის პროსპექტზე, ჩვენ
კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმელები გვეცვა და მაინც სიცილი დაგვაყარეთ,
„სტილიაგები“ ხართო. მერე თქვენ რომ კალოშები გადაყარეთ და კაუჩუ-
კები ჩაიცვით, ვინ გამოვიდა მართალი?

კაუჩუკის შემდეგ თქვენი შემოქმედება ვიწრო შარვლების პრობლე-
მამ გაიტაცა. ხომ გახსოვთ, რამდენი დაიწერა მაგ საკითხზე და შემდეგ
ის მოყვა, ყველამ ვიწრო შარვალი ჩაიცვა.

ეს ორით ნოლია არა? მესამე კიდეც ისაა, ჩვენ რომ ახლა ფართო
შარვლებზე გადავდით და თქვენც რომ მალე ასეთს ჩაიცვამთ. ჭკუით
თუ არ იქნებით, ძველებურად კალოშებით გაისეირნებთ რუსთაველის
პროსპექტზე.

თქვენისთანა ხალხმა არც ქალიშვილებს დააყარა კარგი დღე. ხომ

გახსოვთ, პომადას თუ ვინმე წაისვამდა, უმაღლესში რომ მიეღოთ, მაგარი პატრონი უნდოდა.

დღეს შეხედეთ აბა: პომადა კი არა, მოკლე კაბებიც არ უშლით ხელს. ვაჟკაცურად თქვით, რამდენჯერ დაგიხევიათ კალმით ეს მოკლე კაბები. მერე ვინ გამოდგა მართალი — თქვენ თუ თქვენი ცოლ-შვილი?

ასე და ამრიგად, ძია აპოლონ, დამარცხებულმა კაცმა ორივე ხელი უნდა აწიოს და ჩვენ რომ მექსიკაში თასი ვერ ავიღეთ, ისიც „სტილია-გებს“ არ უნდა დააბრალოთ.

სხვათა შორის, „სტილიაგა“ ლექსიგონიდან კარგა ხანია ამოღებულია და ახალი სიტყვა უნდა გამოძებნოთ.

ბიუროკრატიის წერილი

პატივცემულო აპოლონ ვარდენოვიჩ.

მაგი როგორ იფიქრეთ, ბიუროკრატზე დაწერილ ჩემს მოთხრობას ბიუროკრატი არ წაიკითხავსო! მე წიგნებს კი არა, მომჩივანთა განცხადებებსაც ვკითხულობ.

ღიაჰ, მე ბიუროკრატი ვარ, ოღონდ ისეთი არა, თქვენ რომ მოთხრობაში დახატეთ, ხალხნო, აი ვის ხელში ხართ ჩავარდნილიო.

ასეთი ბიუროკრატი, აპოლონ ვარდენოვიჩ, მამაჩემი იყო ომამდე. მწვანე და წითელი ფანქრებით იგი აწერდა განცხადებებზე რეზოლუციას. მე ავტომატური კალმისტარი მაქვს და რეზოლუცია ყველა ფერში შემიძლია გადავწყვიტო. თქვენ თუ ფიქრობთ, წითელი ფერი უარს ნიშნავს და მწვანე თანხმობასო, ძალიან შეცდებით. მე არც ერთ მთხოვნელს უარს არ ვეუბნები, ყველას ტკბილი სიტყვით ვისტუმრებ. საქმეს თუ ვერ გაუკეთებ, კმაყოფილი მაინც დარჩება კაცი. აი ასეთია დღევანდელი ჩვენი მუშაობის სტილი, პატივცემულო აპოლონ ვარდენოვიჩ.

ერთ ადგილას თქვენ წერთ: „ისე დაბლვერილი გიყურებს, თითქოს მისი რაიმე გემართოთ. ქუჩაში რომ შეგხვდეს, სახეს მოგარიდებს, რადგან უბრალო ხალხისთვის სალამის მიცემა არ უყვარსო“.

იმაზეც მადლობა უნდა გითხრათ, პატარა ბავშვებს ჰამსო, რომ არ დამაბრალოთ. ისე კი, ჩემო ვარდენოვიჩ, ქუჩაში მე სალამს არავის ვუკავებ. საიდუმლოდ გეტყვი, ავტორიტეტი სწორედ მაქედან იწყება. კაი გამარჯობაო, რომ ეტყვი, კაი კაცი ყოფილაო, იტყვიან.

თქვენ კი ასეთ რამეს საიდან მოიგონებთ: „სერიოზული კაცია და გაღიმებულს ვერ ნახავთ. მხოლოდ უფროსმა იცის, რომ ამ სერიოზულ კაცს უკანა სამი კბილი ოქროსი აქვს. ხანდახან მხარზე ხელს დაარტყამს და ეტყვის:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, კარგი ღვინო დაგიყენებია ოჯახში .

ამას თქვენებურად „პადხალიმობა“ ჰქვია არა? იცით რას გეტყვით, კვირა არ გავა, უფროსმა საკუთარ ოჯახში არ დაგვპატიჟა, დიდი სასჯელი რა იქნება, მთელი ღამე სვა ღვინო და იმღერო მოავალ-ჟამიერი.

„ბიუროკრატი წამოდგა და ღიბი მაგიდაზე ჩამოდო“, — წერთ თქვენ. ღიბიან ბიუროკრატებს ახლა ვარდენოვიჩი, ხორცის დამზადებაშიც ველარ ნახავთ. ჩვენ ყოველდღე ვვარჯიშობთ და აუზში დავდივართ. ერთი სიტყვით, ტანის სილამაზეს ძალიან ყურადღებას ვაქცევთ. სხვათა შორს, გიტარაზე დაკვრაც ვიცით და გალაკტიონის ლექსებსაც გეტყვით ზეპირად. აბა როგორ გეგონათ, ასეთ ადგილზე დანიშნვას განსაკუთრებული ტალანტი უნდა.

„ბიუროკრატი საკუთარ მანქანაში საკუთარი შოფრის უკან ჩაჯდა და საკუთარ აგარაკზე გაემგზავრა“.

საკუთარი მანქანა და საკუთარი აგარაკი რომ მაქვს, მაგაში მართალი ბრძანდებით (სხვისი რატომ გიკვირთ!), მაგრამ საკუთარი შოფერი ახლა აკადემიკოსებსაც არ ჰყავთ.

ღიბს, მეოცე საუკუნეა აბოლონ ვარდენოვიჩი და ტექნიკა სწრაფად ვითარდება. თქვენ, სამწუხაროდ, ეპოქას ჩამორჩით. ჩამორჩენილებს კი, მოგესხენებათ, მატარებელი არ მოუცდის.

ავტორისაგან: ამის შემდეგ ღირდა კი აბოლონ ვარდენოვიჩი ცოცხალი დაგვეტოვებინა? რას იტყვი, შენ მკითხველო?

ფან 40 კკ.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118